

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## ქრისტინე ჭოხონელიძე

### პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის ლინგვოპრაგმატიკული ანალიზი

(ინგლისური და ქართული პოლიტიკური მედიადისკურსის მასალაზე)

დარგი/სპეციალობა 1005 - ფილოლოგია

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი მადონა მეგრელიშვილი

ქუთაისი

2014

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	4
<b>თავი 1. პრაგმატიკული მარკერების შეპირისპირებითი შესწავლის თეორიული წინაპირობა</b>	<b>12</b>
1.1. შეპირისპირებითი ლინგვისტიკა - თანამედროვე ენათმეცნიერების ახალი დარგი	12
1.2. შეპირისპირებითი პრაგმატიკა - შეპირისპირებითი ლინგვისტიკის ახალი მიმართულება	16
1.3. პრაგმატიკა და სამეტყველო აქტთა თეორია	19
1.3.1. სამეტყველო აქტის ქვეაქტები	21
1.3.2. ილოკუციური ძალა და მისი ინდიკატორები	24
1.4. პრაგმატიკული მარკერის ცნება თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში	27
1.4.1. პრაგმატიკული მარკერის არსი	27
1.4.2. პრაგმატიკული მარკერის კვლევის მეთოდოლოგია	41
<b>თავი 2. პოლიტიკური ინტერვიუს ანალიზის თეორიული წინაპირობა</b>	<b>44</b>
2.1. ჟანრის პრობლემა ლინგვისტიკაში	44
2.2. ინტერვიუს ჟანრული დახასიათება	52
2.2.1. ინტერვიუ - პუბლიცისტიკის დიალოგური ჟანრი	65
2.3. ინტერვიუ, როგორც კომუნიკაციის აქტი, სამეტყველო აქტთა თეორიის პრიზმაში	68
2.4. პოლიტიკური მედიადისკურსის ასპექტები	74
<b>თავი 3. პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის შეპირისპირებითი ლინგვოპრაგმატიკული ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში</b>	<b>84</b>
3.1. პრაგმატიკული მარკერების ფუნქციურ-სემანტიკური ტიპოლოგია	84
3.2. ძირითადი პრაგმატიკული მარკერები ინგლისურსა და ქართულ ენებში	92
3.3. კომენტარის პრაგმატიკული მარკერები	100
3.3.1. კომენტარის პრაგმატიკული მარკერების შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში	117

3.4. პარალელური პრაგმატიკული მარკერები	120
3.4.1. პარალელური პრაგმატიკული მარკერების შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში	124
3.5. დისკურსის პრაგმატიკული მარკერები	127
3.5.1. დისკურსის პრაგმატიკული მარკერების შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში	144
3.6. პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში	147
3.7. პრაგმატიკული კატეგორიები პრაგმატიკულ მარკერებში	151
დასკვნა	155
გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა	158
გამოყენებული ლექსიკონები	168
გამოყენებული მასობრივი საინფორმაციო საშუალებები (საანალიზო კორპუსი)	169

## შესავალი

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის შეპირისპირებით ლინგვოპრაგმატიკულ შესწავლას ორი არამონათესავე (ინგლისური და ქართული) ენის პოლიტიკური მედიადისკურსის მასალაზე. პრაგმატიკული მარკერები, როგორც ილოკუციური ძალის გამომხატველი ინდიკატორები, თითქმის ყველა ენაში შეიძლება დაიძებნოს. არ არსებობს ენა, რომელშიც არ მოიძებნება შეფასების, დასკვნის გაკეთების, სიცხადის, კონტრასტის გამომხატვის და სხვა ილოკუციური ძალის გამომხატველი ენობრივი ერთეულები. მაგრამ მათი რეალიზაცია და ფუნქციობის თავისებურებანი ნებისმიერ ენაში დამოკიდებულია ერისა და თვით ენის თავისებურებებზე. მასმედიის პოლიტიკურ დისკურსში პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობას ერის ლინგვოკულტუროლოგიური ხასიათი განაპირობებს, რაც მათი ფუნქციობის თავისებურ ხასიათში გამოიხატება.

ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გარკვეული ენობრივი ფენომენის ორ ენაში შეპირისპირებისას, პირველ რიგში, ყურადღების ცენტრში ექცევა მისი ფუნქციობის პრაგმატიკული ასპექტი, რომელიც გულისხმობს კომუნიკაციის განხორციელების პირობებს, მიზანს, მეტყველ სუბიექტებს, კომუნიკაციის სახესა და ამასთან, მეტყველი სუბიექტების ერთმანეთთან დამოკიდებულებას. სხვადასხვა ენობრივი საზოგადოება სამყაროსეული კონტინუუმის ან მისი რომელიმე ფრაგმენტის სხვადასხვაგვარ ენობრივ რეალიზებას შეიძლება ახდენდეს, შეიძლება განსხვავება დაფიქსირდეს დისკურსის წარმართვის კულტურაშიც. ეს ყველაფერი აზროვნების სხვადასხვაობითა და კულტუროლოგიური თავისებურებებით შეიძლება აიხსნას.

**სადისერტაციო თემის აქტუალურობა** განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

პრაგმატიკული მარკერების ფენომენი სრულყოფილად არ არის გამოკვლეული მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ათეული წელია პრაგმატიკულ მარკერთა კვლევა ენათმეცნიერთა ყურადღების ცენტრშია. ეს განსაკუთრებით

ითქმის ქართულ ენათმეცნიერებაზე, სადაც ამ კუთხით უაღრესად მცირე რაოდენობით კვლევებია ჩატარებული.

ამასთან, პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობა ჯერ არ ქცეულა ინტერდისციპლინური კვლევის საგნად შეპირისპირებით ჭრილში. სრულიად შეუსწავლელია პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტი კონტრასტულ პლანში - ინგლისური და ქართული ენების მასალაზე.

თემის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ პოლიტიკური მედიადისკურსი სულ უფრო ხშირად ხდება ლინგვისტური კვლევის ობიექტი მსოფლიო მასშტაბით. ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან შეიმჩნევა საზოგადოების მზარდი ინტერესი პოლიტიკური კომუნიკაციის მექანიზმებისა და საშუალებების მიმართ, რომელიც, თავის მხრივ, რთული მექანიზმია და ამიტომაც, ხშირად ხდება ინტერდისციპლინური კვლევის საგანი.

თანამედროვე პოლიტიკურ კომუნიკაციაში აქტუალურია დისკურსის მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხების კვლევა, როგორც მისი ძირითადი მიზნების განხორციელების წინაპირობა. პრაგმატიკული მარკერები კი ისეთი ენობრივი ერთეულებია, რომელთაც აღნიშნულ საკითხში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ.

თანამედროვე მეცნიერები ინტერვიუს განიხილავენ, როგორც ენობრივი რეალიზაციის ერთ-ერთ აქტიურ ფორმას და მიიჩნევენ, რომ მის რეალიზაციას სხვადასხვა ენაში თავისი დამახასიათებელი თვისებები აქვს. ინტერვიუს ჟანრული თავისებურებების შესწავლა კი ცხადად წარმოაჩენს პოლიტიკურ დისკურსში მეტყველი სუბიექტების მიერ პრაგმატიკულ მარკერთა ამა თუ იმ ტიპზე არჩევანის გაკეთების წინაპირობას.

ჩატარებული კვლევის აქტუალობა ასევე განისაზღვრება შეპირისპირებით პრაგმატიკაში არასაკმარისი რაოდენობის შრომებით, რომლებიც სხვადასხვა სამეცნიერო კულტურაში, კერძოდ, პოლიტიკურ ინტერვიუში ცალკეული გამონათქვამის პრაგმატიკული სტრატეგიის გამოვლენის საშუალებას იძლევა. განსხვავებული ენობრივი კულტურის კომუნიკაციისას კომუნიკაციური ქცევის

ადეკვატური გაგება კი შეცდომების, გაუგებრობებისა და კომუნიკაციის კრახის თავიდან აცილების გარანტიაა.

**ნაშრომის მიზანია:**

ა) განსაზღვრულ იქნეს პრაგმატიკული მარკერების რაობა, შემუშავდეს მათი ფუნქციურ-სემანტიკური ტიპოლოგია და დადგინდეს პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის თავისებურებანი პოლიტიკური მედიადისკურსის გამოვლენილი სპეციფიკური ასპექტების გათვალისწინებით;

ბ) გამოვლენილ იქნეს უნივერსალიები მოცემული თემის შესაბამისად და არსებული თავისებურებების განხილვისა და ჩატარებული შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე დადგინდეს, რა თანხვედრა თუ კონტრასტი არსებობს პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის პრინციპებში ორ არამონათესავე ენას შორის - ინგლისურსა და ქართულში;

გ) განზოგადებულ იქნეს თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმებზე (ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური და ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმები) დაყრდნობით მიღებული შედეგები;

დ) გადმოცემულ იქნეს კონცეფცია პრაგმატიკულ მარკერებზე, როგორც ენობრივ ფენომენზე.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომში ეტაპობრივად არის გადაჭრილი შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

1. შესწავლილია პრაგმატიკული მარკერის არსი, მისი კვლევის ისტორია და მეთოდოლოგია;
2. განხილულია ინტერვიუს, როგორც ჟანრის, თავისებურებანი და პოლიტიკური მედიადისკურსის ასპექტები;
3. დადგენილია შეპირისპირებითი პრაგმატიკის ძირითადი პრინციპები და პრაგმატიკის ამ მიმართულებაში სამეტყველო აქტთა თეორიის ადგილი;
4. შედგენილია საკვლევი კორპუსი ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, რომლის ბაზაზე შესწავლილია პრაგმატიკულ მარკერთა თითოეული ტიპის თავისებურება და ხდება მათი ფუნქციობის შეპირისპირება საანალიზო ენებში;

5. დადგენილია საკვლევი ფენომენის ფუნქციობის შესაბამისობა შესაპირისპირებელ ორ ენაში ემპირიული კვლევის შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემების განზოგადების საფუძველზე;
6. გამოვლენილია ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური და ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმების ჭრილში პრაგმატიკული მარკერების პოლიტიკურ მედიადისკურსში ფუნქციობის ენობრივ-პრაგმატიკული და ლინგვოკულტუროლოგიური ფაქტორები.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტმა და მიზანმა განაპირობა კვლევის მეთოდოლოგია. ისეთი ენობრივი ფენომენი, როგორც პრაგმატიკული მარკერებია, საჭიროებს კომპლექსურ ინტერდისციპლინურ მიდგომას და კვლევაც დაეფუძნა ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ და ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომებს, რაც შეპირისპირების ეფექტურად განხორციელებისა და მიღებული შედეგებით პოლიტიკურ მედიადისკურსში საკვლევი ობიექტის ფუნქციობის თავისებურებების დადგენის საშუალება გახდა ორ ენაში - ინგლისურსა და ქართულში.

დასახული ამოცანების გადაჭრისათვის ნაშრომში გამოყენებულია ისეთი კონკრეტული მეთოდები, როგორც არის შეპირისპირებითი ანალიზის მეთოდი, ენობრივ ერთეულთა სემანტიკური, სინტაქტიკური, პრაგმატიკული ინტერპრეტაცია, ემპირიული, კლასიფიკაციისა და საუბრის ანალიზის მეთოდები. შეპირისპირებითი მეთოდი საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის თავისებურებანი ინგლისურსა და ქართულ პოლიტიკურ მედიადისკურსში. კვლევა წარმოებს ენათა უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, რადგან ეს გზა შედარებით მარტივი და თვალსაჩინოა. კვლევისას ამოსავალია ინგლისური ენა, ჯერ ხდება საკვლევი ობიექტის გაანალიზება აღნიშნულ ენაში, შემდეგ კი ხდება მისი შეპირისპირება ქართულ ენასთან.

საკვლევი ობიექტის არსი და თავისებურებანი ყველაზე ეფექტურად მათი სხვადასხვა ენაში შეპირისპირებით ვლინდება. კონტრასტული ანალიზი იძლევა ენაში ისეთი სპეციფიკური შტრიხების დანახვის საშუალებას, რაც შიდაენობრივი კვლევისას შეიძლება არ გამოვლინდეს. შეპირისპირებითი კვლევა უაღრესად

პროდუქტიულია პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის შესასწავლად ინგლისურსა და ქართულ მედიადისკურსში.

მეტყველი სუბიექტის ენა განიხილება თავად ინდივიდთან, მის აზროვნებასთან, მსოფლმხედველობასთან, ეროვნულ კულტურასთან და პრაქტიკულ მოღვაწეობასთან მჭიდრო კავშირში. ამ კონტექსტში პოლიტიკური მედიადისკურსის შეპირისპირებით პრაგმატიკული შესწავლა ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში წარმოდგენილია, როგორც კვლევის საინტერესო და მნიშვნელოვანი ასპექტი.

**საკვლევ მასალად** აღებულია ქართული და ინგლისური ბეჭდური და ინტერნეტმედიიდან შერჩეული, პოლიტიკურ თემაზე აღებული ინტერვიუებისაგან შემდგარი საანალიზო კორპუსი (სულ 47 ინტერვიუ). წინამდებარე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, დაიძებნა 1000-1000 პრაგმატიკული მარკერი. საანალიზო კორპუსის ქართულენოვანი სეგმენტი შეადგენს 36 ინტერვიუს პოლიტიკურ თემაზე, რომლებიც აღებულია გაზეთებიდან: „კვირის პალიტრა“, „ქრონიკა“, „ასავალ-დასავალი“ და საინფორმაციო სააგენტოდან „ინტერპრესნიუსი“. ინგლისურენოვანი სეგმენტი კი წარმოდგენილია 11 ინტერვიუს სახით, რომლებიც მოპოვებულია შემდეგი ინტერნეტ-საიტებიდან: [www.guardian.co.uk](http://www.guardian.co.uk), [www.independent.co.uk](http://www.independent.co.uk), [www.realclearpolitics.com](http://www.realclearpolitics.com), [www.rollingstone.com](http://www.rollingstone.com), [www.nytimes.com](http://www.nytimes.com).

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე** მდგომარეობს იმაში, რომ ემპირიული მასალის სამგანზომილებიანი ლინგვოსემიოტიკური შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე პირველად წარმოჩინდება პოლიტიკურ ინტერვიუში, როგორც პოლიტიკური მედიადისკურსის უმნიშვნელოვანეს სეგმენტში, პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის ასპექტებს შორის არსებული იზომორფიზმები და ალომორფიზმები შესაპირისპირებელ ენებში ენობრივ-პრაგმატიკულ და ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტებში. ამასთან, თანამედროვე პარადიგმების (ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური და ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმები) ფარგლებში პირველად ხდება იმ ენობრივი ერთეულების ახლებური ხედვა ქართულ ენაში, რომლებიც წინამდებარე კვლევაში შემუშავებული კონცეფციის მიხედვით განიხილება როგორც პრაგმატიკული მარკერი.



**ნაშრომის თეორიულ ღირებულებას** განაპირობებს კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი და მიღებული შედეგები, რომელთა ერთობლიობაც სრულად წარმოაჩენს პრაგმატიკულ მარკერებს, როგორც ენობრივ ფენომენს და მათი ფუნქციობის ლინგვისტურ და ლინგვოკულტუროლოგიურ თავისებურებებს. ნაშრომი გარკვეულ თეორიულ წვლილს შეიტანს შეპირისპირებითი პრაგმატიკის შემდგომ განვითარებაში, კერძოდ, იმ პრობლემების შემუშავებაში, რომლებიც დაკავშირებულია პრაგმატიკული მარკერების კვლევასთან.

წინამდებარე კონტრასტული კვლევის შედეგები შეიძლება გახდეს საფუძველი შემდგომი კვლევებისთვის, მაგალითად, ქართულ ენაში პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის უფრო ფართო სპექტრში შესასწავლად უკვე გამოვლენილი თავისებურებების გათვალისწინებით.

**ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება** მდგომარეობს იმაში, რომ კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები საინტერესოა როგორც ლინგვისტებისათვის, ისე ჟურნალისტიკით დაინტერესებულ პირთათვის. გარდა ამისა, კვლევის შედეგები და დისერტაციაში წარმოდგენილი ემპირიული მასალა, შემუშავებული ანალიზის მეთოდოლოგიით შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმაღლეს სასწავლებლებში შეპირისპირებითი ლინგვისტიკის, ლინგვოპრაგმატიკის, კომუნიკაციური ლინგვისტიკის, პრესისა და ტექსტის ანალიზის სწავლებისას. პრაგმატიკული მარკერების ასეთი კვლევა დიდ დახმარებას გაუწევს ენის შემსწავლელებს სასაუბრო მეტყველებისა და კომპეტენციის გაუმჯობესებაში. გარდა ამისა, ნაშრომი გარკვეულ წვლილს შეიტანს ინგლისურიდან ქართულ ენაზე, ან ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის სწორად წარმართვის საქმეში.

**ნაშრომის სტრუქტურასა და მოცულობას** განსაზღვრავს კვლევის მიზნები და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე აწყობილ 171 გვერდს, შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან. მას თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის, ლექსიკონებისა და გამოყენებული მასობრივი საინფორმაციო საშუალებების (საანალიზო კორპუსი) სია.

**შესავალში** დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის არჩევანი, განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, ხაზგასმულია კვლევის

მეცნიერული სიახლე და აქტუალურობა, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. ასევე, განსაზღვრულია კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი და ანალიზის კონკრეტული მეთოდები.

**პირველ თავში - „პრაგმატიკული მარკერების შეპირისპირებითი შესწავლის თეორიული წინაპირობა“** - განისაზღვრება საკვლევი ობიექტის - პრაგმატიკული მარკერების შეპირისპირებითი შესწავლის თეორიული წინაპირობა. თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველთა თანამიმდევრობით ჩამოყალიბების შემდეგ ხდება პრაგმატიკული მარკერის ცნების განსაზღვრა. აქვე წარმოდგენილია პრაგმატიკულ მარკერთა კვლევის ისტორია და მიმართულებები, ტერმინთან დაკავშირებული პრობლემა და კვლევის მეთოდოლოგია.

**მეორე თავი - „პოლიტიკური ინტერვიუს ანალიზის თეორიული წინაპირობა“**- ეძღვნება პოლიტიკური ინტერვიუს ანალიზის თეორიული საფუძვლების კვლევას და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: ჟანრის პრობლემა ლინგვისტიკაში, ინტერვიუს ჟანრული დახასიათება. აქვე მოცემულია ინტერვიუს, როგორც კომუნიკაციის აქტის ანალიზი სამეცნიერო აქტთა თეორიის პრიზმაში და წარმოდგენილია ინტერვიუ, როგორც კომუნიკაციის ორპლანიანი პროცესი. ბოლოს ხდება პოლიტიკური მედიადისკურსისათვის დამახასიათებელი ასპექტების ჩამოყალიბება, რომლებიც აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს პრაგმატიკულ მარკერთა ლინგვოპრაგმატიკული ანალიზისას.

**მესამე თავში - „პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის შეპირისპირებითი ლინგვოპრაგმატიკული ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში“** - განხორციელებულია პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის შეპირისპირებითი ლინგვოპრაგმატიკული ანალიზი ინგლისურსა და ქართულ პოლიტიკურ ინტერვიუში. კერძოდ, წარმოდგენილია პრაგმატიკულ მარკერთა ფუნქციურ-სემანტიკური ტიპოლოგია, რომლის საფუძველზეც ხდება მათი თანამიმდევრული დახასიათება და ფუნქციობის შეპირისპირებითი შესწავლა ინგლისურსა და ქართულ პოლიტიკურ მედიადისკურსში. დასასრულ, გაანალიზებულია პრაგმატიკული მარკერებით გამოხატული ილოკუციური ძალის მიმართება, ერთი მხრივ,

პოლიტიკური მედიადისკურსის ასპექტებთან, მეორე მხრივ, პრაგმატიკულ კატეგორიებთან.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია კვლევის შემაჯამებელი თეორიული განზოგადებები.

კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენებათა სახით წარმოდგენილ იქნა საერთაშორისო კონფერენციებზე: „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და კუმანიტარული აზროვნება“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი; II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, ქუთაისი; II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები“, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიებსა და ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის სამეცნიერო სემინარებზე, კოლოკვიუმებზე. სადისერტაციო ნაშრომის პრეზენტაცია ჩატარდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის გაფართოებულ სამეცნიერო სემინარზე 2014 წლის 15 იანვარს.

## თავი 1 - პრაგმატიკული მარკერების შეპირისპირებითი

### შესწავლის თეორიული წინაპირობა

#### 1.1. შეპირისპირებითი ლინგვისტიკა - თანამედროვე ენათმეცნიერების ახალი დარგი

შეპირისპირებითი ლინგვისტიკა თანამედროვე ენათმეცნიერების ახალი დარგია. მან, როგორც მეცნიერების დარგმა, ჩამოყალიბება დაიწყო XX საუკუნის მეორე ნახევრიდან - მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მეცნიერების, ეკონომიკის, ვაჭრობის აღმავლობამ, გლობალიზაციის პროცესმა და XX საუკუნის უდიდესმა ტექნიკურმა მიღწევებმა ურთიერთობის ახალი ფორმები და სახეები შექმნა. ყოველივე ამის ფონზე, განსაკუთრებული სიმწვავეთ წამოიჭრა მრავალენოვნების პრობლემა და დღის წესრიგში დადგა უცხოური ენის სწავლისა და სწავლების, უცხოური ტექსტების თარგმნისა და ინტერპრეტაციის, ორენოვანი ლექსიკონების შექმნის საკითხი. შედეგად, გამოყენებითი ლინგვისტიკის წიაღში საფუძველი ჩაეყარა ენათმეცნიერების ახალ დარგს - შეპირისპირებით ლინგვისტიკას. ამ დარგის ერთ-ერთი საფუძველი იყო მოთხოვნა, კონტრასტულ ჩარჩოებში თავი მოეყარა, თეორიულად განეზოგადებინა შესაბამისი მონაცემები და უცხოური ენების სწავლების მეთოდის გასაუმჯობესებლად მისთვის თეორიული საფუძველი მოემზადებინა.

დღეისათვის შეპირისპირებითი ლინგვისტიკა ენის შემსწავლელი დამოუკიდებელი დისციპლინაა. იგი მიზნად ისახავს ორი, როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენის ყველა ენობრივ დონეზე შეპირისპირებით შესწავლას სინქრონულ ასპექტში მსგავსება-განსხვავების გამოვლენის მიზნით. ენათმეცნიერებაში დამკვიდრებულია მისი საერთაშორისო სახელწოდება - კონტრასტული ლინგვისტიკა.

კონტრასტულ ლინგვისტიკას ხშირად უცხოური ენის სწავლებისა და თარგმნის საკითხებს უკავშირებენ. მას საფუძველი ჩაეყარა რ. ლადოს შრომით "Linguistics Across Cultures" (1957) და შ. ბალის შრომებით, რომლებსაც საფუძველად დაედო ფრანგულენოვანი აუდიტორიისათვის გერმანული ენის შესწავლის აუცილებლობა (ბალი 1955). ამრიგად, შეპირისპირებითი ლინგვისტიკის მიზნები და

ამოცანები გამოყენებითი ლინგვისტიკის ამოცანებიდან გამომდინარეობს, რომელიც ენათა შორის არსებული კონტრასტების ლინგვოდიდაქტიკურ ასპექტს შეისწავლის (კაშკინი 2007:6). გამოყენებითი ლინგვისტიკის დაინტერესება შეპირისპირებითი ლინგვისტიკის მიღწევებით განპირობებულია იმით, რომ კონტრასტული გამოკვლევები გვეხმარება შევიჭრათ ენობრივი პროცესების არსში და უფრო ღრმად გავიაზროთ კანონები, რომლებსაც ეს პროცესები მართავენ. ამიტომ, კონტრასტული ლინგვისტიკა ის ზონაა, სადაც თეორიისა და პრაქტიკის გზები ერთმანეთს კვეთს (იარცევა 1981:4). როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენების შეპირისპირებითი ანალიზი შესასწავლი ენების თავისებურებების უფრო მკაფიოდ და ნათლად გამოვლენის საშუალებას იძლევა (მეგრელიშვილი et al 2012:11), რადგან დედა ენაში არაფერია შესამჩნევი - მასში ყველაფერი მარტივი და თავისთავად ცხადია და არავითარ ეჭვს არ იწვევს. უცხოური ენა კი, რომელიც შეპირისპირებით პლანში შეისწავლება, შესაძლებლობას იძლევა გადმოვცეთ იგივე აზრები სხვა საშუალებებით. გარდა ამისა, იგი გვეხმარება გამოვავლინოთ გამოხატვის სხვადასხვა საშუალება დედა ენაშიც ... შევამჩნიოთ აზრის გამოხატვის განსხვავებული ელფერი, რომელიც აქამდე ვერ შევნიშნეთ დედა ენაში (შჩერბა 1947:44). რ. დი პიეტროც თავის ნაშრომში “Language Structures in Contrast” (1971) აღნიშნავს, რომ ენობრივი პროცესების მიერ მართვადი კანონების აღქმისადმი სწრაფვაში იკვეთება ენის თეორიისა და მისი სწავლების პრაქტიკის გზები (კაშკინი 2007:7). ბევრი სხვა ლინგვისტიკ მიუთითებს კონტრასტული კვლევების აუცილებლობას, რადგან მხოლოდ სტრუქტურული ლინგვისტიკა ენის სწავლებისას სწორ მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში მასალის გადაცემის საშუალებას არ იძლეოდა.

უცხოური ენის სწავლების მეთოდიკაში კონტრასტული ანალიზის მეთოდი ცნობილია კონტრასტული ანალიზის ჰიპოთეზის სახელით (Contrastive Analysis Hypothesis), რომლის მიხედვით, ენის შესწავლისას წარმოქმნილი სიმძნელები გამოწვეულია ორი ენის ერთმანეთზე უარყოფითი ზემოქმედებით ანუ ინტერფერენციით. ეს ჰიპოთეზა პოპულარული იყო 1950-60-იან წლებში. ტერმინი „კონტრასტული ლინგვისტიკა“ თავად სტრუქტურალისტებმა შემოიტანეს და ყურადღება მიაქცევს უცხოური ენის სწავლებაში ენათა სისტემების

შეპირისპირებითი აღწერის მნიშვნელობას. გამოყენებითი ლინგვისტიკის ენციკლოპედიაში ვკითხულობთ, რომ ყველაზე ეფექტური მასალა არის ის, რომელიც ეფუძნება შესასწავლი ენის პარალელურ აღწერას დედა ენასთან შეპირისპირების გზით (ჯონსონი,ჯონსონი 1999:86).

ენათა შეპირისპირებითი შესწავლა ღირებულია ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისითაც. იგი ფასეულია ზოგად კანონზომიერებათა დასადგენად, რომლებიც ზოგადენათმეცნიერულ ასპექტში არის აქტუალური.

კონტრასტული ანალიზის მეთოდი ერთ-ერთია იმ სამი ლინგვისტური კონფრონტაციის მეთოდიდან, რომელთაც მიზნებისა და ობიექტების მიხედვით ენათმეცნიერებაში გამოყოფენ, ესენია: ისტორიულ-შედარებითი, ტიპოლოგიური და კონტრასტული. თუმცა, მათ შორის ზღვარი ჯერ კიდევ საკმაოდ მერყევიანია (მეგრელიშვილი et al 2012). ამიტომ, ქვემოთ შევეცდები მოკლედ წარმოვადგინო ამ სამ მეთოდს შორის არსებული კავშირების ხასიათი.

შედარება ის საერთოა, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ მეთოდებს აერთიანებს. იგი კვლევის ძირითადი საშუალებაა როგორც ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში, ისე ტიპოლოგიაში. შეპირისპირებაც, ბუნებრივია, გულისხმობს შედარებას.

შეხედულება კონტრასტულ და ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას შორის არსებული განსხვავების შესახებ პირველად გამოითქვა შ. ბალის მიერ, რომელიც თვლიდა, რომ ორი ენა ისტორიული და სტატისტიკური თვალსაზრისით შეიძლება შეუპირისპირდეს (ბალი 1955:77). ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მიზანია დაადგინოს ენათა საერთო წარმომავლობა, სტატისტიკური კი ცდილობს გამოავლინოს ენის ორიგინალობა და ზოგადი ტიპი.

ამას გარდა, არსებობს მათ შორის გარკვეული თანხვედრა-სხვაობები, რომლებიც ქვემოთ ცხრილის სახით წარმოვადგინე (ცხრილი №1).

რაც შეეხება ტიპოლოგიას, ბუნებრივია, ტიპოლოგიასა და შეპირისპირებით ლინგვისტიკას შორის განსხვავებები ნაკლებადაა გამოკვეთილი, ვიდრე შეპირისპირებით და ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას შორის. ტიპოლოგიური და კონტრასტული კვლევები წარმოებს სინქრონულ ასპექტში და

ორივე იკვლევს როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენებს. რაც შეეხება განსხვავებას, ის ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ტიპოლოგია მოიცავს მრავალ ენას, კონტრასტიკა კი - ორს.

ცხრილი №1

ისტორიულ-შედარებითი და შეპირისპირებითი ენათმეცნიერების  
შედარებითი დახასიათება

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება	შეპირისპირებითი ენათმეცნიერება
შეისწავლის ენებს დიაქრონულ ასპექტში	შეისწავლის ენებს სინქრონულ ასპექტში
ადგენს მხოლოდ მსგავსებას ენათა შორის	ადგენს როგორც მსგავსებას, ისე განსხვავებას
შეისწავლის მხოლოდ მონათესავე ენებს	შეისწავლის როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენებს
იკვლევს მრავალ ენას	იკვლევს ორ ენას
ამოსავალია ფორმა	ამოსავალია მნიშვნელობა

რაც შეეხება გამოყენებით ლინგვისტიკაში შეტანილ წვლილს, ტიპოლოგია, რომელიც ენათა ოჯახების დაჯგუფებას სწავლობს, აქედან შორს დგას, ვინაიდან იგი ვერ ახდენს ენობრივი ფორმისა და მნიშვნელობის დეტალურ აღწერას, ვერ იძლევა ენობრივ მოვლენათა სათანადო დონეზე განზოგადებას, შეპირისპირებითი ლინგვისტიკა კი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, გამოყენებითი ლინგვისტიკის წიაღში წარმოიშვა და თავისი შედეგებით მის მიზნებს ემსახურება.

ამდენად, ჩამოვყალიბე რა შეპირისპირებითი ლინგვისტიკის ადგილი ლინგვისტური კონფრონტაციის სხვა მეთოდებთან მიმართებაში და გამოვსახე მისი არსის კონტურები, შევეცდები მიმოვიხილო შეპირისპირებითი ლინგვისტიკის ერთ-ერთი შედარებით ახალგაზრდა მიმართულება - შეპირისპირებითი პრაგმატიკა.

## 1.2. შეპირისპირებითი პრაგმატიკა - შეპირისპირებითი ლინგვისტიკის ახალი მიმართულება

თანამედროვე ენათმეცნიერება დიდ ინტერესს იჩენს ენების შეპირისპირებითი ანალიზისადმი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არამონათესავე ენების შეპირისპირებით შესწავლას. ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ შეპირისპირებითი ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია თვალნათლივ გამოვავლინოთ შესაპირისპირებელი ენების თავისებურებანი. დიდია მისი მნიშვნელობა ენათა შორის მსგავსება-განსხვავების დადგენის, ენობრივი უნივერსალიების გამოვლენის საქმეში.

დღესდღეობით შეპირისპირებითი ლინგვისტიკა გამოდის ტრადიციული ჩარჩოდან, რომელშიც შეპირისპირებითი კვლევის ობიექტად მოიაზრება ენის ფონოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური დონეები. ბოლო დროს იმატა იმ მკვლევართა რიცხვმა, რომლებიც ენას შეპირისპირებით პლანში ტექსტობრივ დონეზე იკვლევენ. ყოველივე ამან განაპირობა შეპირისპირებითი ლინგვისტიკის ფარგლებში ახალი მიმართულების - შეპირისპირებითი პრაგმატიკის ჩამოყალიბება.

შეპირისპირებითი პრაგმატიკა ახალგაზრდა დისციპლინაა, რომლის ფორმირება დღესაც მიმდინარეობს. მასზე პირველად საუბარი 1970-1980-იან წლებში დაიწყო (ფრანჩი 1998). ბოლო პერიოდში აშკარად ჩანს ტენდენცია, რომ მონოლინგვური და მონოკულტურული კვლევითი პარადიგმა ადგილს უთმობს მულტილინგვურ და მულტიკულტურულ კვლევებს. მკვლევართა ფოკუსში დგება სხვადასხვა ეროვნების, კულტურის, რასის წარმომადგენელთა ინტერაქცია. ამის მიზეზი არის ის ფაქტი, რომ გლობალიზაციის ერაში შეიმჩნევა კულტურათაშორისი კომუნიკაციის ზრდა და შედეგად, ენა განიხილება, როგორც კომუნიკაციის მრავალფუნქციური, პრაგმატიკულად მარკირებული საშუალება.

შეპირისპირებითი პრაგმატიკას აინტერესებს ენობრივი ვარიაციები, ანუ მსგავსება-განსხვავება დედა ენასა და შესასწავლ ენას შორის, პრაგმატიკული კომპეტენცია, რაც გულისხმობს უნარს, აღიქვას და წარმოადგინოს სამეტყველო აქტი შესასწავლ ენაზე კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში, რაც ენის შემსწავლელის განსაკუთრებულ სუსტ წერტილს წარმოადგენს. ამრიგად, კულტურათაშორის



პერსპექტივაში, შეპირისპირებით ჩარჩოში ხდება პრაგმატიკული კონცეპტებისა და თავისებურებების კვლევა, ანუ ისეთი საკითხებისა, როგორცაა: სამეტყველო აქტები, კონვერსაციული იმპლიკაცია, დისკურსის სტრატეგიები როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში და ა. შ.

ამ მიდგომის მიხედვით, შეცდომათა, სიძნელეთა და ინტერფერენციის პოტენციურ წყაროდ მოიაზრება ენებს შორის არსებული ალომორფიზმები. კულტურათაშორისი საკომუნიკაციო ინტერფერენცია არის შესასწავლ ენაში დედა ენიდან არაადეკვატური ტრანსფერის შედეგი. პრაგმატიკული შეცდომები არის ინტერაქტანტების მიერ ერთი კულტურის თავისებურებების რეალიზაციის შედეგი საკომუნიკაციო ქცევის დროს ისეთ სიტუაციაში, სადაც სხვა კულტურის სოციალური წესები უფრო შესაფერისი იქნება (ჰინენკამპი 1995:10). ამდენად, შეპირისპირებითი პრაგმატიკის ძირითად თემას ენის კულტურათაშორისი შესწავლის პრაგმატიკული საკითხები წარმოადგენს. ეს იმიტომ ხდება, რომ ენა არის კულტურის ერთ-ერთი გამოვლინება, ენათა შეპირისპირებისას კი, ბუნებრივია, ხდება კულტურათა შეპირისპირებაც. ასე მაგალითად, მცირედი დაკვირვებაც საკმარისია იმისათვის, რათა დავასკვნათ, რომ ინგლისურენოვან ბექდურ პოლიტიკურ ინტერვიუში (მაგ. 1ა) გაცილებით ხშირად გვხვდება ჟურნალისტის მიერ დასმული მცირე მოცულობის შეკითხვები, ვიდრე მის შესატყვის ქართულენოვან პარალელში (მაგ. 1ბ), რაც ამ ენებში ჟურნალისტური შეკითხვის დასმის კულტურას შორის განსხვავებაზე მიუთითებს:

(1) ა) *Do you think the country is fearful right now?* (1)<sup>1</sup>

ბ) *მზად არის „ქართული ოცნება“ ასეთ გამოწვევასთან გასამკლავებლად? რჩება შთაბეჭდილება, რომ ახალ მმართველ გუნდში ჯერ კიდევ ბევრი რამ დასალაგებელია. მაგალითად, რეგიონებში აქციების ფონზე გრძელდება საკრებულოს თავმჯდომარეობასა და გამგებლობისათვის ბრძოლა, რასაც კოალიციის ოპონენტები თვითმმართველობებზე ზეწოლად ნათლავენ. ამ ყველაფრის გვირგვინი ალბათ, ლაგოდებში განვითარებული მოვლენები იყო, სადაც საკრებულოს*

---

<sup>1</sup> შენიშვნა: ინტერვიუს წყარო მაგალითის შემდეგ მითითებული ნომრის მიხედვით იხილეთ საანალიზო კორპუსის სიაში.

*თავმჯდომარის პოსტისთვის „ქართული ოცნების“ ორი დაჯგუფება იბრძოდა და წაგებულებმა შემდეგ ლუკა კურტიანიძის პლაკატები დახიეს (27).*

პრაგმატიკული მოვლენებიდან შეპირისპირებითი პრაგმატიკისათვის ცენტრალურია სამეტყველო აქტთა ანალიზი. კულტურათაშორისი სამეტყველო აქტთა რეალიზაციის პროექტი (CCSARP) ერთ-ერთი უდიდესი საკვლევო პროექტია, რომლის ფარგლებში ჩატარდა სამეტყველო აქტთა კულტურულად განპირობებულ სპეციფიკათა სისტემური კვლევა (ბლუმ-კულკა, ოლშტაინი 1984). ეს პროექტი შემუშავდა იმისათვის, რომ გამოვლენილიყო სამეტყველო აქტის ორი ტიპის - „თხოვნისა“ და „ბოდიშის მოხდის“ კულტურათაშორისი ვარიაციები სხვადასხვა ენაში და შესაბამისად, სხვადასხვა კულტურაში კომუნიკაციისას. ორივე ზემოთ ნახსენები სამეტყველო აქტი გაანალიზდა ზრდილობის ხარისხისა და იმის მიხედვით, აღნიშნული ფენომენი სპეციფიკურია მოცემული კულტურისთვის თუ უნივერსალური. აღნიშნული პროექტი იმდენადაა აქტუალური, რომ მისი მიზნები შეიძლება განზოგადებულ იქნეს ბევრ სხვა კულტურულად განპირობებულ სამეტყველო აქტების კვლევებზე.

მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი, ამ კუთხით განხორციელებული პროექტი არის PIXI-პროექტი, რომლის ფარგლებში ჩატარდა შეპირისპირებითი დისკურსის და შეპირისპირებითი კონვერსაციული ანალიზი. მისი ძირითადი მიზანი იყო ორი კულტურის წარმომადგენელს შორის სოციალურად არამარკირებული თანამშრომლობითი საუბრის წესების დაფიქსირება (ჰინენკამპი 1995).

ორივე ზემოთ ნახსენები პროექტი წარმოადგენს მნიშვნელოვან კვლევებს შეპირისპირებით პრაგმატიკაში. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ საფუძვლად უდევს ემპირიული მასალა.

ზემოთ აღნიშნული პროექტების გარდა, ყურადსაღებია ამ კუთხით შესრულებული სხვადასხვა ნაშრომი, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს შეპირისპირებითი პრაგმატიკის განვითარებაში. ამ კვლევებში ნათლად ჩანს შესაპირისპირებელ ენებში დისკურსის სტრატეგიების თავისებურებანი, წარმოდგენილია, აგრეთვე, კულტურათაშორისი სხვადასხვაობა პრაგმატიკულ პლანში.

კონტრასტული პრაგმატიკის მიერ მოპოვებული მონაცემები ნათელს ჰფენს სამეტყველო აქტების უნივერსალობის საკითხს. თუმცა, ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ადრეა დასკვნების გაკეთება, რადგან თვით დისციპლინა საკმაოდ ახალია ამისათვის და ბევრი რამ კიდევ გამოსაკვლევაია. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას ქართულ ენათმეცნიერებაზე, სადაც ამ კუთხით უაღრესად მცირე რაოდენობითაა კვლევები ჩატარებული.

### 1.3. პრაგმატიკა და სამეტყველო აქტთა თეორია

სანამ პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის შეპირისპირებას მოვახდენ ინგლისურსა და ქართულ ენებში, აუცილებელია გავაანალიზო სამეტყველო აქტების თეორია, როგორც ზემოთ ხსენებული ლინგვისტური ანალიზის აუცილებელი ელემენტი.

აღნიშნული თეორია უკავშირდება ჯონ ოსტინის, ჯონ სერლისა და სხვათა თეორიულ დებულებებს, რომლებიც სამეტყველო ქმედებებსა და სამეტყველო მოვლენებთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა.

სამეტყველო აქტთა თეორია განეკუთვნება პრაგმატიკის ინტერესთა სფეროს. იგი ორიენტირებულია ენის კომუნიკაციური და პრაგმატიკული ასპექტების სინთეზურ კვლევაზე. „ზოგადად, სამეტყველო აქტების თეორია, თავის ამოსავალ ინტერესთა არსითა და მიღებული შედეგებით, წარმოადგენს ლოგიკურ-ფილოსოფიურ და ლინგვისტურ მოძღვრებას სამეტყველო ურთიერთობის ელემენტარული ერთეულის - სამეტყველო აქტის აგებულების და სპეციფიკურობის შესახებ, რომლის მიხედვითაც სამეტყველო აქტი განიხილება, როგორც ინტერსუბიექტური ენობრივი ქმედება, რომელიც გამონათქვამის ქმნადობისა და აღქმის ოპერაციებს აერთიანებს" (კირვალაძე 2008:112).

აღნიშნულ თეორიაში სამეტყველო აქტი განიხილება, როგორც ენობრივი ქმედების მოდელი, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება განისაზღვროს, როგორც კომუნიკაციის თანამედროვე მოდელი. ენობრივი ქმედება თავისთავად არსებულ

რეალობას კი არ წარმოადგენს, არამედ უფრო ფართოდ მოცემული ქმედების კომპონენტს - ინტერსუბიექტური ურთიერთობების გამოხატულების ფორმას.

თანამედროვე ლინგვისტიკა კომუნიკაციური ლინგვისტიკაა, რომლის ბირთვია ერთი მხრივ - ლინგვისტური პრაგმატიკა, ხოლო მეორე მხრივ, ტექსტის ლინგვისტიკა (ლუბანიძე 2004). ამდენად, თანამედროვე კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში ხდება უმაღლესი ენობრივი ნიშნის - ტექსტის პრაგმატიკულ ასპექტში კვლევა, ანუ წინა პლანზეა ტექსტის პრაგმატიკა.

ტექსტს გააჩნია ზედაპირული და სიღრმისეული სტრუქტურები. ტექსტის ზედაპირულ სტრუქტურას - ნიშნებს შორის მიმართებებს აწესრიგებს სინტაქტიკა, ხოლო სიღრმისეული სტრუქტურა კი, ემყარება სემანტიკას, რომელიც აწესრიგებს ნიშნების მიმართებებს ობიექტური სინამდვილისადმი, მათ მნიშვნელობას, აზრს. სწორედ ეს ორი - სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურა ერთმანეთს უკავშირდება პრაგმატიკის მეშვეობით.

მიუხედავად იმისა, რომ პრაგმატიკის უამრავ განმარტებას ვხვდებით და ძნელია მისი საზოგადოდ მიღებული და სრულყოფილი განმარტების შემუშავება, შეიძლება ითქვას, რომ ყველა მათგანი იზიარებს ერთ საერთოს, რომ პრაგმატიკა შეისწავლის მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულებას ენასთან. ამდენად, პრაგმატიკისათვის არსებითია საკომუნიკაციო აქტის ანუ სამეტყველო აქტის ცნება. პრაგმატიკული განზომილების რომელი ასპექტიც არ უნდა იქცეს ანალიზის ობიექტად, განმსაზღვრელი მაინც კომუნიკაციური ასპექტი იქნება.

კომუნიკაციის ყოველი კონკრეტული აქტი შეიცავს პრაგმატიკულ მიმართებას, რომელიც მიმართულია ამ აქტში მონაწილე პარტნიორზე. იგი გათვლილია რეალური, კონკრეტული ადრესატის ან პოტენციურად არსებულ ადრესატთა კრებითი მოდელის ენობრივ გამოცდილებასა და იმ სათანადო ცოდნის მარაგზე, რომლის ფონზე რეალიზებადი უნდა იყოს მიღებული შეტყობინების გაცნობიერება. ამდენად, წარმატებული კომუნიკაციის განხორციელებისთვის, ენობრივი კომპეტენციის გარდა, არსებობს არანაკლებ მნიშვნელოვანი პირობა, რომელიც დაკავშირებულია ადრესატის მენტალურ თეზაურუსთან და ინფორმაციის დეკოდირებას უზრუნველყოფს.

„ენობრივი კომპეტენცია აუცილებელია, მაგრამ არაა საკმარისი წარმატებული კომუნიკაციისათვის. ამგვარად, სამეტყველო აქტების თეორია ფართოვდება ტექსტის ლინგვისტიკის თეორიამდე, ღვივდება ინტერტექსტისა და დისკურსის ანალიზის და ვერბალური კომუნიკაციების თეორიებში. ეს ყოველივე კინათელყოფს თანამედროვე ლინგვისტიკის ინტერდისციპლინარულ ხასიათს, როგორც შიდა ლინგვისტურ, აგრეთვე მთლიან ანთროპოცენტრულ მეცნიერებათა წრეშიც" (მერაბიშვილი 2011).

### 1.3.1. სამეტყველო აქტის ქვეაქტები

კომუნიკაციის განახლებული შინაარსი გულისხმობს ორ მეტყველ სუბიექტს მაინც. ამდენად, აქცენტი მხოლოდ სუბიექტურობაზე კი არ კეთდება, არამედ - ინტერსუბიექტურობაზეც. სუბიექტის როლი მარტო როგორც არსებითად აქტიურისა კი არ განისაზღვრება, არამედ როგორც დიალოგური საწყისის მქონე ინდივიდის. მის აქტივობას აქვს არა მხოლოდ საგანი, არამედ ჰყავს ადრესატიც. ლინგვისტური პრაგმატიკისათვის არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მსმენელ სუბიექტს, ანუ ტექსტი, როგორც ენობრივი აქტივობის პროდუქტი თავის სტრუქტურაში მარტო კომუნიკაციური ინტენციით, კომუნიკაციური გეგმით, რეფერენტული სივრცითა და მისი თემატიზაციით კი არ განისაზღვრება, არამედ ადრესატითაც. რაც უფრო ვითარდება კომუნიკაციური ლინგვისტიკა, სულ უფრო იზრდება ადრესატის, როგორც ტექსტის შინაგანად შემქმნელი, მაკონსტრუირებელი ფაქტორის როლი. იგი სულ უფრო აღიქმება როგორც ტექსტის შინაგანი სტრუქტურის ერთ-ერთი შემქმნელი ფაქტორი, რომელიც შეიძლება არანაკლებ აქტიური და განმსაზღვრელია ტექსტისათვის, ვიდრე მეტყველი სუბიექტი (ლებანიძე 2004:100).

კომუნიკაციის აქტი ანუ ენობრივი ქმედება შედგება ქვეაქტებისაგან, ენობრივი ოპერაციებისაგან, სადაც ოპერატორები კომუნიკაციის აქტის მონაწილეები არიან. ჯ ოსტინმა გამოყო სამეტყველო აქტის სამი ქვეაქტი: ლოკუციური, ილოკუციური და პერლოკუციური (ოსტინი 1962).

*ლოკუციური აქტი* - ეს არის მეტყველების აქტი, პირველი ენობრივი ქმედება, რომელიც ახდენს გარკვეული რეფერენტული სიტუაციის ნომინაციას. ის აჩვენებს, რას ვამბობთ. ლოკუციური აქტის შექმნის პროცესი მოიცავს კონკრეტულ ეტაპებს. ეს ეტაპები სხვადასხვა ლინგვისტს განსხვავებულად აქვს წარმოდგენილი. მაგალითად, ჯ. ლაიონსის აზრით (ლაიონსი 1977) ლოკუციური აქტი სამი საფეხურისგან შედგება, ესენია: გამონათქვამის მონახაზის გაკეთება, წინადადების შექმნა და კონტექსტუალიზაცია. პირველი მათგანი გულისხმობს მეტყველების ფიზიკურ აქტს (ზეპირი მეტყველების დროს ბგერების, ხოლო წერითი მეტყველების დროს - სიმბოლოების შექმნას). მეორე საფეხურზე ხდება ენის გრამატიკული წესების შესაბამისად სიტყვათა თანმიმდევრობის შექმნა. ჯ. სერლი (სერლი 1969) პირველ და მეორე საფეხურებს აერთიანებს, რადგან დროში ისინი რეალურად ერთმანეთს ემთხვევიან და წარმოადგენენ გამონათქვამის უშუალო შექმნისა და წარმოთქმის წესებს.

თ. მერაბიშვილი ლოკუციურ აქტს წარმოადგენს, როგორც რთულ სტრუქტურას, რომელიც თავის მხრივ, შემდეგი ელემენტებისაგან შედგება:

- ბგერების წარმოთქმა (ფონაციის აქტი)
- ობიექტის აღნიშვნა სიტყვების დახმარებით
- სიტყვების შერჩევა/გამოყენება
- მათი სინტაქსურად დაკავშირება
- ამ ობიექტებზე ამა თუ იმ თვისებისა და დამოკიდებულების მიწერა (პრედიკაციის აქტი) (მერაბიშვილი 2011).

ლოკუციური აქტის აღნიშნული დაყოფა გარკვეულწილად ეხმაურება ზემოთ წარმოდგენილ ლაიონსისეულ დაყოფას, თუმცა, ისიც ცხადია, რომ მის გამეორებას არ წარმოადგენს.

ლოკუციური აქტი ეფუძნება *ილოკუციურ აქტს*, რომელიც კომუნიკაციური ინტენციის ფორმირების აქტს წარმოადგენს. ყოველი გამონათქვამი გარკვეული კომუნიკაციური მიზნით წარმოითქმის, არ არსებობს გამონათქვამი ილოკუციური ძალის გარეშე. ეს უკანასკნელი კი, შეიძლება იყოს მოცემული როგორც გამონათქვამის ზედაპირზე, ისე მის სიღრმეში. ილოკუციურ აქტზე, როგორც

სამეტყველო აქტის მთავარ აზრობრივ კომპონენტზე საუბარს საკითხის გავრცობის მიზნით ქვემოთ განვაგრძობ.

კონკრეტული მიზნის გარდა, ყველა გამონათქვამის საერთო მიზანს წარმოადგენს მსმენელზე გარკვეული ეფექტის მოხდენა ან მისი გამოწვევა (იულე 1996:48). ეს არის სამეტყველო აქტის მესამე განზომილება - *პერლოკუციური* აქტი. ეს არის აქტი, სადაც სამეტყველო აქტი განიხილება მისი რეალური შედეგების ასპექტში. პერლოკუციური აქტი ორიენტირებულია ადრესატზე, რა შედეგი ექნება მასზე წარმოთქმულ გამონათქვამს. ამ აქტის ცალკე გამოყოფით ჯონ ოსტინმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი სამეტყველო აქტის ინტერსუბიექტურობას, სადაც ორივე კომუნიკანტი თანასწორუფლებიან სუბიექტად განიხილება.

ჟ. იულეს შემოაქვს პერლოკუციური ეფექტის ცნება, რომელზეც საუბარი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეტყველი სუბიექტი მოახერხებს დაიყოლიოს ან დაარწმუნოს მსმენელი სუბიექტი და ეს უკანასკნელი შეასრულებს ქმედებას, რომლისკენაც მას უბიძგებს მეტყველი სუბიექტი (ibid.:49). მაგალითად, ინტერვიუს ადებისას ჟურნალისტის მიერ დასმული ყოველი შეკითხვის, როგორც ილოკუციურ ძალაზე დაფუძნებული ლოკუციური აქტის პერლოკუციურ ეფექტს წარმოადგენს რესპონდენტის პასუხი, რამდენადაც ჟურნალისტის სამეტყველო ქმედება ინტერვიუს კითხვა-პასუხის ჯაჭვში ყოველთვის გამოხატავს ვერბალურ პასუხზე თხოვნის ილოკუციას:

(2) - *You're talking immediately post-invasion?*

- *I mean not too long after the - right, exactly. We were pretty centralized in Baghdad. And I know now, I remember now stories of kind of little local councils trying to grow up. In retrospect, I think, that maybe we should have spent more time trying to nurture those (2).*

ამ მაგალითში ჟურნალისტი აწყვეტინებს კონდოლიზა რაისს საუბარს და უსვამს შეკითხვას, რათა დააკონკრეტოს, რომ რესპონდენტი ერაყის დაპყრობის შემდგომ პერიოდზე საუბრობს. შეკითხვის ილოკუცია ადეკვატურად გაიგება კ. რაისის მიერ, რომელიც ასევე ადეკვატურ პასუხს იძლევა. სწორედ პასუხი ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვაზე წარმოადგენს მის პერლოკუციურ ეფექტს.

ადრესანტის მიერ გამოგზავნილი ინფორმაციის მიღება-ინტერპრეტაცია (ლექსიკურ-სემანტიკური, გრამატიკული, პრაგმატიკული, სიტუაციური და ა.შ. სისტემის, რომელსაც ადრესანტი იყენებს თავისი აზრებისა და ინტენციის გადმოსაცემად) დამოკიდებულია მსმენელ სუბიექტზე. მაშასადამე, ადრესატს უხდება ამგვარი გზის გავლა: გამოხატვის საშუალებებიდან - აზრის გაგებამდე (თევდორაძე 2010:70). ამ გზის გავლის შედეგს კი წარმოადგენს პერლოკუციური ეფექტი.

პერლოკუციური ეფექტი მიმართულია ადრესატის შესაბამის ვერბალურ ან ქცევით რეაქციისაკენ, ამ ეფექტმა შეიძლება შეცვალოს მისი ფონური ცოდნაც (იმ შემთხვევაში, თუ იგი დარწმუნებულია ადრესანტის ნათქვამის ჭეშმარიტებაში). აქ მხედველობაში მიიღება არა თავად ადრესატის მიერ გამონათქვამის აზრში წვდომის ფაქტი, არამედ მისი ქცევის ან მდგომარეობის ცვლილება, რაც ამ წვდომის შედეგს წარმოადგენს. ამდენად, პერლოკუციური ეფექტის მიღწევა მიიჩნევა პერლოკუციური აქტის საზომად.

როგორც ჯ. სერლი და დ. ვანდერვეკენი აღნიშნავენ, ილოკუციურისაგან განსხვავებით, პერლოკუციური აქტი არ არის ყოველთვის ლინგვისტური, რადგან პერლოკუციური ეფექტის მიღწევა შესაძლებელია სამეტყველო აქტის შესრულების გარეშეც. იგი მეტყველებაში შეიძლება არამიზანმიმართულად გამოიხატოს (სერლი, ვანდერვეკენი 1985:11).

### 1.3.2. ილოკუციური ძალა და მისი ინდიკატორები

ამრიგად, კომუნიკაციური ქმედების სტრუქტურაში შედის სამი განუყოფელი კომპონენტი, სამი ქვეაქტი: ლოკუციური, ილოკუციური და პერლოკუციური, რომელთაც ჯ. იულე განზომილებებს უწოდებს (იულე 1996:48-49). იგი ასევე დასძენს, რომ ზოგჯერ, სამეტყველო ქმედებას განიხილავენ ვიწრო გაგებით, რომლის პირობებში სამეტყველო ქმედებაში იგულისხმება გამონათქვამის მხოლოდ ილოკუციური აქტი, მის ფუნქციას კი, წარმოადგენს გამონათქვამის ილოკუციური ძალა. ერთი და იგივე სამეტყველო ქმედება შეიძლება სხვადასხვა ფუნქციისა და



შინაარსის მატარებელი იყოს, იმის მიხედვით, რა არის მეტყველი სუბიექტის ინტენცია. მაგალითად, გამონათქვამი:

**(3) *I'll be back!***

შეიძლება იყოს დაპირება, მუქარა ან გაფრთხილება. თანამედროვე ლინგვისტურ თეორიაში, სამეტყველო აქტში ინტენციის ფორმირება დაკავშირებულია *ილოკუციის ძალის* ცნებასთან და მის უშუალო დაკონკრეტებას წარმოადგენს. ილოკუცია შეიძლება მოცემული იყოს როგორც გამონათქვამის ზედაპირზე, ისე მის სიღრმეში.

ყოველი გამონათქვამი წარმოდგენილია ან შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც რთული ქვეწყობილი წინადადება, სადაც მთავარი წინადადება მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციურ ინტენციას ასახავს, ხოლო დამოკიდებული შეიცავს გარკვეული რეფერენტული სიტუაციის ნომინაციას. მთავარ წინადადებაში მოცემული ინტენციის თავისებურება კი იმაში მდგომარეობს, რომ მართალია, იგი მოცემულია ენობრივი ფორმით, მაგრამ მუდამ წარმოადგენს გარკვეულ ქმედებას. მაგალითად:

**(4) ა) - *არ წახვიდე!***

შეიძლება განვავრცოთ, როგორც:

ბ) - ***გთხოვ, არ წახვიდე!***

გ) - ***გიბრძანებ, არ წახვიდე!***

დ) - ***გაფრთხილებ, არ წახვიდე!***

(4ბ) წარმოადგენს თხოვნას, (4გ) - ბრძანებას, ხოლო (4დ) - გაფრთხილებას.

საკუთრივ ამ გამონათქვამის (4ა) ილოკუციური ძალა ვლინდება ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური კონტექსტის შესაბამისად.

ასეთი მთავარი წინადადება, რომელიც მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციურ ინტენციას გამოხატავს, თუ ექსპლიციტურად არა, ყოველთვის არსებობს იმპლიციტურად, გამონათქვამის სიღრმეში და მუდამ შესაძლებელია მისი ექსპლიკაცია. გამონათქვამის სწორედ იმ ნაწილს, რომელიც უკლებლივ ყველა გამონათქვამს ახლავს იმპლიციტურად მაინც და გვიჩვენებს მეტყველი სუბიექტის მოქმედებად ქცეულ ინტენციას, გამონათქვამის *ილოკუციური ძალა* ეწოდება.

„გამონათქვამის ილოკუციური ძალის ცნება არის კომუნიკაციური ინტენციის ცნების უშუალო დაკონკრეტება" (კირვალიძე 2008:114). გამონათქვამის ილოკუციური ძალა რეალიზდება სპეციალური ენობრივი საშუალებებით, რომლებსაც *ილოკუციური ძალის ინდიკატორებს* (Illocutionary Force Indicating Devices - IFIDs) უწოდებენ. ჯ. სერლი და დ. ვანდერვეკენი განმარტავენ მათ, როგორც ბუნებრივი ენის ნებისმიერ ელემენტს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმის მაჩვენებლად, რომ გამონათქვამს, რომელიც მოცემულ ელემენტს შეიცავს, კონკრეტული ილოკუციური ძალა გააჩნია (სერლი, ვანდერვეკენი 1985:110). ილოკუციური ძალა სხვადასხვა ენაში განსხვავებული საშუალებებით რეალიზდება ანუ ყოველ ენას თავისი ასეთი სპეციფიკური საშუალებები აქვს. შესაბამისად, ილოკუციური ძალის შესაძლო ინდიკატორებს სხვადასხვა ენაში შეიძლება მიეკუთვნებოდეს: პერფორმატიული ზმნები, სიტყვათა რიგი წინადადებაში, მახვილი, ინტონაცია, პუნქტუაცია, ზმნის კილო და სხვადასხვა პრაგმატიკული საშუალებები - გარკვეული სიტყვები, სიტყვათშეხამებები, რომელთაც პრაგმატიკულ მარკერებს უწოდებენ.

როგორც უკვე აღვნიშნე, ილოკუციური აქტის ლინგვისტურ გამოხატულებას წარმოადგენს ილოკუციური ძალა. ილოკუციური აქტი შედგება გამონათქვამის ილოკუციური ძალისა და პროპოზიციული შინაარსისაგან. აქედან გამომდინარე, ილოკუციური ძალის მნიშვნელობა გამონათქვამის მნიშვნელობის ნაწილია. ილოკუციური ძალა განსაზღვრავს იმას, თუ შინაარსი როგორ შეესაბამება სამყაროს რეალობას. მაგალითად,

(5) - *Is there any way to break through that obstructionism by Republicans?* (9)

ეს გამონათქვამი წარმოადგენს შეკითხვას, ესახება თუ არა მოცემული შეკითხვის ადრესატს რესპუბლიკელების ობსტრუქციონიზმის გარღვევის გზები, ანუ ამ გამონათქვამის ილოკუციური ძალა გამოხატულია შეკითხვით. ამრიგად, ყოველ დასრულებულ წინადადებაში, თუნდაც ერთსიტყვიანში, მოიპოვება კონკრეტული ილოკუციური ძალის ინდიკატორი, ამიტომ არც ერთი სემანტიკური თეორია არ იქნება სრულყოფილი ილოკუციური კომპონენტის გათვალისწინების გარეშე.

ჯ. სერლისა და დ. ვანდერვეკენის თანახმად (სერლი, ვანდერვეკენი 1985:110), სამეტყველო აქტების თეორიის ფარგლებში ემპირიული ხასიათის ლინგვისტური

კვლევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სწორედ ილოკუციური ძალის ინდიკატორებისა და მათი ფუნქციობის შესწავლა. წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს პრაგმატიკული მარკერების, როგორც ილოკუციური ძალის ინდიკატორების, შესწავლა ინგლისურ ენაში და მათი შესატყვისი ინდიკატორების დადგენა ქართულ ენაში. ემპირიულ მასალად შერჩეულია პოლიტიკური ინტერვიუ.

## **1.4. პრაგმატიკული მარკერის ცნება თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში**

### **1.4.1. პრაგმატიკული მარკერის არსი**

ბოლო 20-30 წელია პრაგმატიკული მარკერების კვლევა ენათმეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. თუმცა, ინტერესი აღნიშნული საკითხისადმი ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან შეინიშნება. ამაზე მიუთითებს ი. ოსტმანის სტატია "Pragmatic Articles Twenty Years After" (ოსტმანი 1995), სადაც ავტორი შეგვახსენებს, რომ მართალია, პრაგმატიკული მარკერებით დაინტერესება 60-იანი წლების ბოლოდან დაიწყო, მაგრამ ჯ. დ. დენისტონის შრომა "The Greek Particles" (1934) და ვ. არნდტის სტატია "Modal Particles in Russian and German" (1960) უკვე წარმოადგენდა ისეთი ენობრივი ფენომენით დაინტერესებას, რასაც დღეს პრაგმატიკულ მარკერებს ვუწოდებთ.

პრაგმატიკული მარკერების შესწავლას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა სტატიებმა, რომელთა ავტორებიც თვლიდნენ, რომ არსებობს გარკვეული ენობრივი ფენომენი, რომელიც, როგორც დაკვირვებებმა უჩვენა, ექვემდებარება კონტექსტს, ვიდრე სინტაქსურ წესებს. მაგალითად, კ. კორუმის დაკვირვებით (კორუმი 1975), კონკრეტული პრაგმატიკული მარკერები (მისი ტერმინით - ზმნიზედები) შეიძლება ჩაისვას თითქმის ყველგან წინადადებაში პრაგმატიკული ფაქტორების გათვალისწინებით. სტატიების გარდა, პრაგმატიკული მარკერებით დაინტერესებას ხელი შეუწყო ასევე ავთენტური მასალის ჩაწერის ტექნიკური საშუალებების განვითარებამ, რომლის საშუალებაც მეოცე საუკუნის ტექნიკურმა პროგრესმა შექმნა.

პრაგმატიკული მარკერებით ადრეულ დაინტერესებას პრაგმატიკოსმა ბ. ფრეიზერმა მიაკვლია ვ. ლაბოვისა და დ. ფანშელის შრომაში (1977), სადაც ისინი განიხილავდნენ „well“-ს, როგორც დისკურსის მარკერს. 1983 წელს კი გამოდის ს. ლევისონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი - "Pragmatics", სადაც იგი წერს, რომ ინგლისურ ენაში, უეჭველად სხვა ენებშიც, არის ბევრი ისეთი სიტყვა და ფრაზა, რომლებიც გამონათქვამსა და დისკურსის წინა სეგმენტს შორის ურთიერთობაზე მიუთითებს. ასეთებია, მაგალითად: *but, therefore, in conclusion, to the contrary, still, however, anyway, well, besides, actually, all in all, so, after all* და ა.შ. მიიჩნევენ, რომ ასეთ სიტყვებს აქვს, სულ მცირე, მნიშვნელობის ერთი კომპონენტი მაინც ისეთი, რომელიც ჭეშმარიტობა-მცდარობის მიხედვით არ განიხილება. მათი ფუნქციაა მიუთითონ, ხშირად კომპლექსურადაც იმაზე, ასეთი სიტყვების შემცველი გამონათქვამი რამდენად წარმოადგენს დისკურსის წინა სეგმენტზე პასუხს ან მის გაგრძელებას (ლევისონი 1983:87).

1985 წელს გამოქვეყნებულ შრომაში ენათმეცნიერმა არნოლდ ზვიკიმ პრაგმატიკული მარკერები, რომელთაც იგი დისკურსის მარკერებად განიხილავს, ასე დაახასიათა:

- დისკურსის მარკერები უნდა გაიმიჯნოს ფუნქციური მნიშვნელობის მქონე სხვა სიტყვებისაგან;
- ისინი ხშირად წინადადების დასაწყისში ჩნდებიან, რათა განაგრძონ მეტყველების კონტინუუმი;
- ისინი პროსოდიულად ცალკე დგანან კონტექსტში და გამოიყოფიან პაუზებით, წყვეტილი ინტონაციით ან ორივეთი ერთად;
- დისკურსის მარკერები ძირითადად მონომორფემულებია, მაგრამ ისინი მორფოლოგიურად რთულიც შეიძლება იყოს;
- ისინი წინადადების პროპოზიციისგან დამოუკიდებლად დგანან, რადგან მათ აქვთ პრაგმატიკული და არა სემანტიკური ფუნქცია (ზვიკი 1985:303).

ადრეულმა შრომებმა მხოლოდ ბიძგი მისცა პრაგმატიკული მარკერების კვლევას. მათში ავტორები აყენებდნენ ისეთი ლინგვისტური ფენომენის არსებობის საკითხს, რომელიც პრაგმატიკულ ფაქტორებს უფრო ექვემდებარება, ვიდრე

სინტაქსურ წესებს. მოგვიანებით, XX საუკუნის ბოლოს, პრაგმატიკული მარკერების კვლევამ ერთგვარი „აფეთქება“ განიცადა. მკვლევრები მასობრივად დაინტერესდნენ პრაგმატიკული მარკერების არსით, თეორიული სტატუსით, მნიშვნელობით, ფუნქციით. მათ კვლევას უამრავი შრომა, სტატია თუ მონოგრაფია მიემდვინა, რის შედეგადაც იგი სხვადასხვა მიმართულებით განვითარდა. ასეთი მარკერები თითქმის ყველა ენაში შეიძლება დაიძებნოს, ამდენად იგი სულ უფრო და უფრო ხშირად ხდება საენათაშორისო და ტიპოლოგიური გამოკვლევების საგანი. მათ, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შეისწავლიან როგორც სინქრონულად, ისე დიაქრონულად. მაგრამ, დიაქრონული კვლევა სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან, ასეთი კვლევისათვის ავთენტური მასალა ნაკლებად შეიძლება დაიძებნოს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით კვლევა მაინც მიმდინარეობს. უფრო მეტიც, ზოგჯერ სინქრონული ანალიზი შერწყმულია დიაქრონულთან; ასეთი კომბინირებული ანალიზი მიზნად ისახავს ამა თუ იმ მარკერის წარმოშობისა და განვითარების, მისი პრაგმატიკული ფუნქციის ევოლუციის შესწავლას. პრაგმატიკული მარკერების კვლევის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს აგრეთვე, მეტყველი სუბიექტისა და იმ სიტუაციების შესწავლა, რაშიც ესა თუ ის მარკერი იქნა გამოყენებული.

დღესდღეობით პრაგმატიკულ მარკერებთან დაკავშირებული საკითხები ფართოვდება. მკვლევართა ინტერესის სფეროში პრაგმატიკული მარკერების სხვადასხვა ასპექტი მოექცა, კერძოდ: მათი სემანტიკური პოტენციალი, მორფოლოგიური სტრუქტურა, პრაგმატიკული ფუნქციობის თავისებურებანი და ა. შ. იმ ელემენტთა რიცხვი, რომლებიც პრაგმატიკულ მარკერებად განიხილება, იზრდება და ყურადღება ექცევა ასევე ნაკლებად პროტოტიპულ პრაგმატიკულ მარკერებს. მაგალითად, ბ. ფრეიზერი მაკავშირებლებს და ვოკატივებსაც (მიმართვის ფორმა) კი პრაგმატიკულ მარკერებად განიხილავს (ფრეიზერი 1996).

ის ძირითადი საკითხები, რასაც პრაგმატიკული მარკერების კვლევისას ექცევა ყურადღება, შეიძლება შემდეგნაირად განზოგადდეს:

- პრაგმატიკული მარკერების სინტაქსური მოდელები, მათი შესაძლო პოზიცია გამონათქვამში პრაგმატიკული ფაქტორების გათვალისწინებით;

- პრაგმატიკული მარკერების სემანტიკა, მათი სემანტიკური პოტენციალი მოცემულ ენაში, ან აღნიშნულის შეპირისპირება სხვადასხვა ენებში. ამ დროს ხდება არა სემანტიკური, არამედ ფუნქციური ეკვივალენტების დაძებნა;
- მორფოლოგიური სტრუქტურა, რაც შეიძლება ინფორმაციას იძლეოდეს მარკერის მნიშვნელობაზე ან/და ფუნქციაზე;
- ფუნქციები - პრაგმატიკული მარკერები შეიძლება გამოიყენებოდეს განსხვავებული ფუნქციით სხვადასხვა სიტუაციაში, რეგისტრში, წერით და ზეპირ მეტყველებაში, სხვადასხვა სქესის ან სოციალური სტატუსის მქონე სუბიექტის მიერ. საინტერესოა ის, რომ მოცემულ მარკერს შეიძლება ჰქონდეს მუდმივი ძირითადი მნიშვნელობა, მაგრამ კონტექსტიდან გამომდინარე შესაძლებელია მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია.

კვლევები მიმდინარეობს გარკვეული ავთენტური მონაცემების საფუძველზე, რაც ემპირიული მასალის განზოგადების გზით იკვეთება. კვლევის შედეგები წარმოდგენილია მაგალითებით და, უმეტეს შემთხვევაში, პროცენტული გაანგარიშებებით.

პრაგმატიკული მარკერებისადმი მიძღვნილი მნიშვნელოვანი მონოგრაფიებიდან შეიძლება დავასახელოთ ი. ოსტმანის (1981), დ. შიფრინის (1987), ბ. ერმანის (1987), უ. მანისა და ს. ტომპსონის (1987), დ. ბლეკმორის (1987), ლ. შორაპის (1985), ა. კნოტისა და რ. დეილის (1994), ბ. ფრეიზერის (1996), ა. ჯაკერისა და ი. ზივის (1998), უ. ლენკის (1998), მ. ჰანსენის (1998), კ. ფიშერის (1998), კ. აიმერის (2002) და სხვათა შრომები. მიუხედავად მკვლევართა და შეხედულებათა სიმრავლისა, ბ. ფრეიზერის მიხედვით, შეიძლება გამოიყოს ოთხი ძირითადი მიმართულება, რომლებზეც ორიოდე სიტყვით შევჩერდები:

პირველი და ყველაზე დეტალური ანალიზის მცდელობა იყო დებორა შიფრინის ნაშრომი "Discourse Markers" (1987), სადაც მათ ავტორი განიხილავს, როგორც დისკურსის ლოგიკურ მიმდევრობაზე დამოკიდებულ ერთეულებს (შიფრინი 1987). დ. შიფრინი იძლევა თერთმეტი მარკერის დეტალურ ანალიზს, ესენია: *and, because, but, I mean, now, oh, or, so, then, well* და *y'know*. მათ იგი არ

განიხილავს, როგორც ლინგვისტურ კლასს. იგი ასევე ფიქრობს, რომ პარალინგვისტური თვისებები და არავერბალური ჟესტებიც შეიძლება განიხილებოდეს როგორც შესაძლო მარკერები. თავის შრომაში დ. შიფრინი ახდენს ამ მარკერების განზოგადებას და აკეთებს შემდეგ დასკვნებს:

- მარკერები სინტაქსურად დამოუკიდებელია;
- ჩვეულებრივ, ისინი გამონათქვამის თავში გვხვდება;
- მათ აქვთ მრავალფეროვანი პროსოდიული კონტურები;
- მარკერებს შეუძლიათ დისკურსის როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ დონეზე ოპერირება;
- მარკერებს შეუძლიათ დისკურსის სხვადასხვა პლანზე ოპერირება.

დ. შიფრინის მთავარ ინტერესს წარმოადგენდა პრაგმატიკული მარკერების ფუნქციონის ის ვარიანტები, როცა ისინი დისკურსის კოჰერენტულობას განაპირობებენ. მისი აზრით კოჰერენტულობა მიიღწევა დისკურსის მოსაზღვრე ერთეულების კავშირით (ibid.:24). ამიტომ, მან კავშირების ტიპის მიხედვით გამოყოფს დისკურსის ხუთი განსხვავებული და ცალ-ცალკე მდგომი პლანი, ესენია: გაცვლითი, მოქმედების, იდეატორული, მონაწილეობისა და ინფორმაციის. მისივე აზრით, პრაგმატიკული მარკერები აფიქსირებს გამონათქვამის კონტექსტუალურ კოორდინატებს და ამდენად: ა) აკუთვნებს გამონათქვამს ამა თუ იმ პლანს, ბ) მიმართავს გამონათქვამს მეტყველი სუბიექტისკენ, მსმენელი სუბიექტისკენ ან ორივე მათგანისკენ და გ) მიმართავს გამონათქვამს დისკურსის წინა ან შემდეგი სემანტიკისკენ. ავტორი ფიქრობს, რომ მარკერები დისკურსში მაინტეგრირებულ ფუნქციას ასრულებენ და ამრიგად, დისკურსის კოჰერენტულობას უზრუნველყოფენ.

დ. შიფრინმა ასევე გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ ზოგიერთი მარკერი შეესაბამება მხოლოდ ორი წინადადებით გამოხატულ სემანტიკურ რეალობას მაშინ, როდესაც სხვები შეიძლება წინადადებებს აკავშირებდეს ლოგიკურ (ეპისტემიკურ) დონეზე და/ან სამეტყველო აქტის (პრაგმატიკულ) დონეზე.

დ. შიფრინთან ერთად უნდა დავასახელოთ გ. რედეკერი, რომლის შრომა "Linguistic Markers of Discourse Structure" (1991), ფაქტიურად, დ. შიფრინის კრიტიკას წარმოადგენს, ამასთან, მან რამდენიმე საინტერესო საკუთარი მოსაზრებაც გადმოსცა.

გ. რედეკერი იზიარებს აზრს იმის შესახებ, რომ პრაგმატიკულ მარკერებს (იგი მათ დისკურსის ოპერატორებს უწოდებს), აქვთ ბირთვული, ძირითადი მნიშვნელობა, რომელიც ზღუდავს გამონათქვამის კონტექსტისმიერ რეპრეზენტაციას (რედეკერი 1991:1164). იგი ასევე იძლევა განმარტებას, რომ დისკურსის ოპერატორი არის სიტყვა ან ფრაზა, რომლის გამოყენების პირველადი ფუნქციაა მსმენელის ყურადღების შეჩერება გამონათქვამის მომდევნო სეგმენტსა და უშუალო კონტექსტს შორის კონკრეტული ტიპის კავშირზე (ibid.:1168).

გ. რედეკერმა გადაამუშავა დ. შიფრინის დისკურსის კოჰერენტულობის მოდელი და შედეგად მიიღო სამი კომპონენტი: იდეატორული სტრუქტურა, რიტორიკული სტრუქტურა და თანმიმდევრობითი სტრუქტურა. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ნებისმიერი გამონათქვამი დისკურსში მიიჩნევა, რომ მოქმედებს სამივე კომპონენტის დონეზე, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად იქნება დომინანტური და ასახავს მოცემული გამონათქვამისა და მისი კონტექსტის უფრო რელევანტურ კავშირს (ibid. :1170).

აქედან გამომდინარე, გ. რედეკერის აზრით, დისკურსის სეგმენტები შეიძლება შეკავშირებული იყოს:

1. *იდეატორულად*, იმ შემთხვევაში, თუ გამონათქვამი მოცემულ კონტექსტში ასახავს მეტყველი სუბიექტის მიერ რეალური სამყაროს იმ სეგმენტთან ამ კავშირის არსებობის დაშვებას, რაც დისკურსშია ასახული. მაგალითად, დროებითი კავშირები, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და ა. შ.;
2. *რიტორიკულად*, იმ შემთხვევაში, თუ დომინანტური კავშირი პროპოზიციის კი არ ვლინდება, არამედ გამონათქვამის ილოკუციურ მიზანში;
3. *თანმიმდევრულად*, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა პარატექტიკური (სხვა თემებზე და საკითხებზე გადასვლა) ან ჰიპოტექტიკური (კომენტარებზე, შესწორებებზე, პერეფრაზირებაზე და ა.შ. გადასვლა) კავშირი ერთმანეთთან სუსტად ან არაპირდაპირ დაკავშირებულ დისკურსის მოსაზღვრე სეგმენტებს შორის.

პრაგმატიკული მარკერების შესწავლისადმი მეორე მიდგომა არის პრაგმატიკული მარკერების მთლიანად გრამატიკულ-პრაგმატიკული



თვალსაზრისით განხილვა. სწორედ ამ მიდგომამ განსაზღვრა წინამდებარე შრომის მიმართულება. ამ მიდგომის თვალსაჩინო წარმომადგენელია ბრუს ფრეიზერი, რომელიც 1987 წელს გამოცემულ შრომაში წერდა პრაგმატიკული მაწარმოებლების შესახებ და მათ მოგვიანებით (1996) „პრაგმატიკული მარკერები“ უწოდა. ბ. ფრეიზერმა შეიმუშავა პრაგმატიკული მარკერების ყველაზე მასშტაბური კლასიფიკაცია. მან გამოყო პრაგმატიკული მარკერების ოთხი ტიპი (ეს საკითხი დაწვრილებით მესამე თავში განიხილება). ბ. ფრეიზერის თანახმად, პრაგმატიკული მარკერები ისეთი ლექსიკური გამონათქვამებია (განსხვავებით დ. შიფრინისგან, რომელიც უშვებს არავერბალური მარკერების არსებობასაც), რომლებიც პროპოზიციული შინაარსისაგან დამოუკიდებლად დგანან, მაგრამ აფიქსირებენ შეტყობინების სხვადასხვა ტიპს (ამდენად განიხილება ისინი ილოკუციური ძალის ინდიკატორებად), გააჩნიათ ძირითადი მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება კონტექსტმა კიდევ უფრო გააფართოვოს და ამავდროულად, აღნიშნავენ იმ კავშირს პრაგმატიკული მარკერის შემდეგ წარმოთქმულ გამონათქვამსა და წინა სეგმენტს შორის, რომლის გამოხატვას მეტყველი სუბიექტი ისახავს მიზნად.

პრაგმატიკული მარკერების შესწავლისადმი კიდევ ერთ თეორიულ მიდგომას წარმოადგენს დ. ბლეკმორის თეორიული ნააზრევი, რომელიც პრაგმატიკულ მარკერებს (მისი ტერმინით - დისკურსის მაკავშირებლებს) განიხილავს რელევანტურობის თეორიის თვალსაზრისით. დ. ბლეკმორი თვლის, რომ ასეთ მარკერებს არ გააჩნიათ რეპრეზენტაციული მნიშვნელობა სხვა ლექსიკური გამონათქვამების მსგავსად, მაგრამ აქვთ პროცედურული მნიშვნელობა, რაც გულისხმობს იმას, როგორ შეიძლება გამონათქვამის კონცეპტუალური რეპრეზენტაციით მანიპულირება (ბლეკმორი 1996:333).

დ. ბლეკმორი ავითარებს იმ აზრს, რომ პრაგმატიკული მარკერების ანალიზი უნდა მოხდეს სპეციფიკური ლინგვისტური კონტექსტის მკაცრი გათვალისწინებით და წარმოადგენს ოთხ შესაძლო ვარიანტს, როცა გამონათქვამით გადმოცემული ინფორმაცია შეიძლება იყოს რელევანტური (ibid. 1992:139):

1. მარკერებმა შეიძლება კონტექსტუალური იმპლიკაციის წარმოქმნა განაპირობოს (so, therefore, too, also); მაგალითად:

(6) *So, I think they look beyond that to how does this person handle problems? Do they share some basic values with me?*(4).

2. შეიძლება ხელი შეუწყოს გადმოცემული შინაარსის აღქმას დამატებითი ინფორმაციის გადმოცემის გზით (after all, moreover, furthermore); მაგალითად:

(7) *And the idea that Iraq would be unable to secure its unity and truly break up then into warring sects would have such a devastating impact on the rest of the region, which **after all** has some of the same fault lines that exist in Iraq* (2).

3. შეიძლება დაუპირისპირდეს მოცემულ შინაარსს (however, still, nevertheless, but); მაგალითად:

(8) *We've got 30 governors that represent 315 electoral votes. If Scott Walker and Chris Christie can win in Wisconsin and New Jersey, we can win during the presidential election, too. **But** we've got to ask for the order, and you can't just do it nine months before a presidential campaign* (5).

4. მათ შეიძლება დააკონკრეტონ გამონათქვამის როლი მოცემულ დისკურსში (anyway, incidentally, by the way, finally) მაგალითად:

(9) *I'm not even sure it's a blow to the government. And **by the way**, they've done this before and come back* (2).

დ. ბლექმორის ეს კატეგორიები არაზუსტად, მაგრამ მაინც ეხმაურება იმას, რასაც ბ. ფრეიზერი დისკურსის მარკერების ქვეკლასში განიხილავს (იხ. § 3.5.).

პრაგმატიკული მარკერების შესწავლისადმი მეოთხე მიდგომით შექმნილი შრომებია უ. მანისა და ს. ტომპსონის (1987, 1988), ტ. სანდერსი et al (1992), ა. კნოტი და რ. დელი (1994) და სხვათა ნააზრევი, რომლებიც დისკურსის კოჰერენტულობის სხვადასხვა საკითხს შეეხება. მათ მიხედვით, დისკურსის კავშირები ექსპლიციურდება დისკურსის მარკერების საშუალებით (ამ მიდგომის წარმომადგენლები იყენებენ ტერმინს - რეპლიკის ფრაზები). ეს მიდგომა უპირისპირდება დანარჩენ სამს, რადგან იგი დისკურსის კავშირებს გამონათქვამის სემანტიკებს შორის განიხილავს ტექსტის ანალიზზე დაყრდნობით, ხოლო დანარჩენი სამი მიდგომისთვის უპირველესი შესწავლის საგანია დისკურსის მარკერები, როგორც ენობრივი ერთეულები, ხოლო მათი გავლენა დისკურსის ინტერპრეტაციაზე - მეორადია (ფრეიზერი 1999:937).

მიუხედავად იმისა, რომ პრაგმატიკულ მარკერებს დიდი ყურადღება ექცევა თანამედროვე ენათმეცნიერებაში, შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი სრულყოფილად მაინც არ არის გამოკვლეული. ამის მიზეზი, პირველყოფლისა, არის ის, რომ სხვადასხვაობა შეიმჩნევა პრაგმატიკული მარკერების კვლევისადმი მიდგომაში, მეთოდოლოგიაში, ტერმინოლოგიაში, კლასიფიკაციაში. ეს მრავალფეროვნება კი, თავის მხრივ, განპირობებულია საკითხის მოცულობით, მის ფუნქციითა და მნიშვნელობათა მრავალფეროვნებით.

სწორედ ამ მრავალფეროვნების გამო, ტერმინთან დაკავშირებული საკითხის გარკვევა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ტერმინების საშუალებით აღიქმება ამა თუ იმ მარკერის ფუნქციისა და სტატუსის განსხვავებული პერსპექტივა; კვლევისას გარკვეული უნდა იყოს, რა სტატუსით ხდება ამა თუ იმ მარკერის ანალიზი.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ პრაგმატიკული მარკერებისადმი მიძღვნილ შრომებში სხვადასხვა ავტორი საკვლევი ობიექტის აღსანიშნად განსხვავებულ ტერმინს იყენებს, მათ შორის: რეპლიკის ფრაზები (cue phrases) (კნოტი, დეილი 1994), დისკურსის მაკავშირებლები (discourse connectives) (ბლეკმორი 1987), დისკურსის ოპერატორები (discourse operators) (რედეკერი 1991), დისკურსის ნაწილაკები (discourse particles) (შორაპი 1985; აიმერი 2002), ფატიკური მაკავშირებლები (phatic connectives) (ბაზანელა 1990), პრაგმატიკული მაკავშირებლები (pragmatic connectives) (ვან დეიკი 1979), პრაგმატიკული მაწარმოებლები (pragmatic formatives) (ფრეიზერი, 1987), პრაგმატიკული მარკერები (pragmatic markers) (ფრეიზერი 1988, 1990, 1996; ბრინტონი 1996), დისკურსის მარკერები (discourse markers) (შიფრინი 1987, ჯაკერი, სმითი 1998), პრაგმატიკული ოპერატორები (pragmatic operators) (არიელი 1994), პრაგმატიკული ნაწილაკები (pragmatic particles) (ოსტმანი 1995), წინადადების მაკავშირებლები (sentence connectives) (ჰალიდეი, ჰასანი 1976).

დ. შიფრინმა, მაგალითად, თავის შრომაში მოახდინა თერთმეტი მარკერის დეტალური ანალიზი, რომლებსაც მან დისკურსის მარკერები უწოდა (შიფრინი 1987:3). თუმცა ბ. ფრეიზერი (ფრეიზერი 1999:933) შენიშნავს, რომ იგი დ. შიფრინის მიერ განხილული მარკერებიდან ოთხს დისკურსის მარკერების მისეულ

კლასიფიკაციაში კი არ განიხილავს, არამედ მის გარეთ, პრაგმატიკული მარკერების სხვა ქვეკლასების წევრებად.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ტერმინები „პრაგმატიკული მარკერები“ და „დისკურსის მარკერები“ სხვადასხვა ავტორის მიერ გამოიყენება ერთი და იმავე ობიექტის აღსანიშნად, იმ ობიექტისა, რაც წინამდებარე შრომაში, ბ. ფრეიზერის მიხედვით, მოიაზრება, როგორც „პრაგმატიკულ მარკერი“. თუმცა, საქმე იმაშია, რომ „პრაგმატიკული მარკერის“ ცნება უფრო ფართოა, ვიდრე „დისკურსის მარკერისა“, უფრო მეტიც, პირველი თვითონ მოიცავს ამ უკანასკნელს (ფრეიზერი 1996). ჩემ მიერ აღნიშნული ტერმინის შერჩევა განაპირობა მისმა მასშტაბურობამ, ვინაიდან, „პრაგმატიკული მარკერი“ არის ზოგადი, ე.წ. „ქოლგა ტერმინი“, რომელიც მოიცავს მრავალფეროვანი ფუნქციის მქონე ფორმებს როგორც ინტერსუბიექტურ, ისე ტექსტობრივ დონეზე.

ტერმინ „პრაგმატიკული მარკერის“ გამოყენება „დისკურსის მარკერთან“ შედარებით უპრიანია იმ შემთხვევაშიც, თუ მარკერს აქვს უფრო პრაგმატიკული, ვიდრე დისკურსის აღმნიშვნელი ფუნქცია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მარკერი ფუნქციობს როგორც ილოკუციური ძალის აღმნიშვნელი საშუალება ან აქვს ინტერაქციული (მაგ., დიალოგში რეპლიკათა მონაცვლეობის გამოხატვის) ფუნქცია. სწორედ ამიტაც შეიძლება აიხსნას ჩემ მიერ ტერმინ „პრაგმატიკულ მარკერზე“ არჩევანის გაკეთება.

არსებობს მეორე ვარიაციაც, რომლის განხილვაც ვთვლი, რომ ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს, ესაა „მარკერი“ თუ „ნაწილაკი“. ტერმინ „მარკერით“ აღიქმება ის, რომ მოცემული ელემენტი ფუნქციობს როგორც ერთგვარი სიგნალი, რომელიც მსმენელ სუბიექტს ეხმარება შეტყობინების მეტ-ნაკლებად სწორად დეკოდირებაში. აღნიშნული ტერმინი უფრო ფართოა, ვიდრე „ნაწილაკი“, რომელიც ერთ-ერთ მეტყველების ნაწილს აღნიშნავს და ამდენად, ავიწროებს პრაგმატიკული მარკერის ფენომენის გაგებას. ამასთანავე, ტერმინი „მარკერი“ არ ზღუდავს პრაგმატიკული მარკერების ფორმალურ გამოხატულებას მაშინ, როდესაც, „ნაწილაკი“ მიუთითებს ერთეულთა მონოსილაბურობაზე (ანდერსენი, ფრეიზერი 2000:1).

როგორც ვხედავთ, ბოლო რამდენიმე ათეული წელია პრაგმატიკული მარკერების კვლევა მასშტაბურად და დიდი ინტერესით მიმდინარეობს მსოფლიოს წამყვანი ლინგვისტური სკოლების წარმომადგენლების მიერ. შედეგად, დაგროვდა გარკვეული ცოდნა და გამოცდილება, რომლის განზოგადების შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ პრაგმატიკული მარკერების არსი არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და საყოველთაოდ მიღებული, შეიძლება ჩამოვყალიბოთ პრაგმატიკული მარკერების ზოგადი ხასიათი და მათთვის დამახასიათებელი თვისებები. სხვადასხვა მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს პრაგმატიკული მარკერების სხვადასხვა თვისებაზე, რომელთაგან ზოგიერთი მართალია, განსხვავებულია, თუმცა შეიმჩნევა საკმაოდ დიდი თანხვედრა და აზრების დამთხვევა.

დ. შიფრინი დისკურსის მარკერებს (მისი ტერმინით) ახასიათებს, როგორც დეიქტურს და ამბობს, რომ მათ აქვთ ინდექსური (ჩვენებითი) ფუნქციები (შიფრინი 1987:26). დისკურსის ან პრაგმატიკული მარკერები, ზოგადად, ინდექსებით მიუთითებენ კონტექსტის რომელიმე სეგმენტზე. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ისეთი პროტოტიპული დეიქტური ელემენტებისგან განსხვავებით, როგორცაა ნაცვალსახელები, ენობრივი ელემენტები, რომლებიც დროსა და სივრცეზე მიუთითებენ, პრაგმატიკული მარკერები აღნიშნავენ ელემენტებს, რომლებიც ნაკლებად კონკრეტულები არიან და არც მთლიანობაში გაიგება სრულყოფილად.

კიდევ ერთი თვისება, რომელიც პრაგმატიკულ მარკერებს ახასიათებს არის რეფლექსურობა იმ გაგებით, რომ ისინი კომენტარს აკეთებენ გამონათქვამზე და ამგვარად გვეხმარებიან წინადადების ინტერპრეტაციაში. მარკერს ამ გაგებით აქვს „მეტა“ სტატუსი და მისი ფუნქციობის გაგება გულისხმობს მეტალინგვისტური ან მეტაპრაგმატიკული როლის განსაზღვრას (აიმერი, საიმონ-ვანდენბერგენი 2009:235).

პრაგმატიკული მარკერები ასევე შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ჰეტეროგლოსური, ტერმინის პ. უაითისეული (უაითი 2003) გაგებით. კ. აიმერი და ა. საიმონ-ვანდენბერგენი ამტკიცებენ, რომ დისკურსში მარკერებს აქვთ ინტერაქციული და არგუმენტაციული ფუნქცია, რომლითაც ისინი მსმენელთან

პირისპირ აფიქსირებენ მოსაუბრის პოზიციას, მის მოლოდინს ან კონტექსტუალურ ვარაუდს (აიმერი, საიმონ-ვანდენბერგენი 2006).

კ. ჰოლკერი (1988) ყურადღებას ამახვილებს პრაგმატიკული მარკერების განმსაზღვრელ ოთხ თვისებაზე, რომელთაგან პირველი ორი ნეგატიურია:

- პრაგმატიკული მარკერები არ ახდენენ გავლენას წინადადების ჭეშმარიტებაზე;
- ისინი არ იძლევიან დამატებით ინფორმაციას წინადადების პროპოზიციულ შინაარსზე;
- პრაგმატიკული მარკერები დაკავშირებული არიან სამეტყველო სიტუაციასთან და არა იმ სიტუაციასთან, რომელზეც არის საუბარი;
- ისინი ასევე შეიძლება განისაზღვროს ფუნქციურად; მათ აქვთ უფრო ემოციური, ექსპრესიული, ვიდრე რეფერენციული, დენოტაციური ან კოგნიტური ფუნქცია (ჰოლკერი 1988:12).

დისკურსის მარკერების განმარტებისას კ. რულემანი (2007) ასახელებს ხუთ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ თვისებას: 1) მარკერები მიანიშნებენ, როგორ უკავშირდება დისკურსი სხვა დისკურსს (ამ აზრს ბ. ფრეიზერიც იზიარებს), 2) ისინი ფუნქციობენ მეტა-ენობრივ დონეზე, 3) ისინი არიან დისკურსის მაჩვენებლები და აღნიშნავენ, როგორ არის დაკავშირებული წინადადება, რომელიც მას მოიცავს, წინა დისკურსთან (ინტერტექსტუალობა); 4) მარკერები უზრუნველყოფენ დისკურსის კოჰერენტულობას; 5) ორიენტირებულნი არიან მსმენელის მოთხოვნაზე (თუმცა, ვფიქრობ, რომ ისინი არანაკლებ ორიენტირებულნი არიან მეტყველი სუბიექტის მოთხოვნაზეც, თუ მხედველობაში ენის ექსპრესიული ფუნქციაც იქნება მიღებული).

პრაგმატიკული მარკერების კვლევის კიდევ ერთი მიდგომის მიხედვით „პროტოტიპულ“ პრაგმატიკულ მარკერებს ახასიათებენ ფონოლოგიური, ლექსიკური, სინტაქსური, სემანტიკური, ფუნქციური, სოციოლინგვისტური და სტილისტური თვისებების მიხედვით. ქვემოთ მოცემული თვისებების სია ემყარება ლ. ბრინტონის (1996) მოსაზრებას და მოიცავს ფორმალურ და ფუნქციურ კრიტერიუმებს. ეს უკანასკნელი კი ასევე მიუთითებს მონაცემების იმ სახეობაზე, სადაც პრაგმატიკული მარკერები მოიპოვება (მაგალითად ზეპირმეტყველებაში, ვიდრე წერაში):

- ფონოლოგიური და ლექსიკური თვისებები:
  - მარკერები მოკლე და ფონოლოგიურად შემცირებულია;
  - ისინი ქმნიან კილოს ცალკეულ ჯგუფს;
  - მარკერები მარგინალურ ფორმებს წარმოადგენენ და ამიტომ რთულია მათი მოთავსება სიტყვათა რომელიმე კლასში;
- სინტაქსური თვისებები:
  - ისინი შეზღუდულნი არიან წინადადების საწყის პოზიციაზე;
  - ისინი გვხვდებიან სინტაქსური სტრუქტურის გარეთ და არ არიან პირდაპირ დაკავშირებული მასთან;
  - მარკერების გამოყენება არჩევითია;
- სემანტიკური თვისებები:
  - მათ აქვთ მცირე ან საერთოდ არ აქვთ პროპოზიციული მნიშვნელობა;
- ფუნქციური თვისება:
  - ისინი მულტიფუნქციურია და მოქმედებენ რამდენიმე ლინგვისტურ დონეზე ერთდროულად;
- სოციოლინგვისტური და სტილისტური თვისებები:
  - მარკერები ახასიათებს უფრო მეტად ზეპირ, ვიდრე წერით დისკურსს და გამოიყენება არაფორმალურ რეგისტრში;
  - ისინი გვხვდებიან საკმაოდ ხშირად;
  - მარკერები სტილისტურად სტიგმატიზებულნი არიან;
  - პრაგმატიკული მარკერები შეიძლება გენდერულად მარკირებული იყოს და ტიპურია ქალების მეტყველებისათვის.

კ. აიმერი და ა. საიმონ-ვანდენბერგენი (2009) ყურადღებას ამახვილებენ პრაგმატიკული მარკერების კიდევ ერთ თვისებურებაზე, ეს არის მრავალფუნქციურობა. საერთოდ, პრაგმატიკულ მარკერებს ბევრი სხვადასხვა ფუნქცია აქვთ, რომლებიც დამოკიდებულია კონტექსტზე. პრობლემას ამძაფრებს ის ფაქტი, რომ სიტყვების უმეტესობა, რომლებიც მიჩნეულია პრაგმატიკულ მარკერებად, შეიძლება სინტაქსური თვალსაზრისით განიხილებოდეს, როგორც წინადადების შემადგენელი ნაწილი, თუმცა ამ მხრივ არსებობს განსხვავება

კონკრეტულ მარკერებს შორის. ზოგიერთ სიტყვას აქვს სინტაქსურიც და პრაგმატიკული მარკერის ფუნქციაც, რომლებიც მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითისთვის შედარებულია ზმნიზედა *well* (10ა) და პრაგმატიკული მარკერი *well* (10ბ) :

(10) ა) People have a sense the game is rigged, so just a few people can do **well**, and everybody else is left to scramble to get by (9).

ბ) **Well**, I think that first of all Kosovo, despite the brutality and the horrors of what was happening in the Balkans, was immensely simple in lots of ways than what we're talking about in Syria (10).

პრაგმატიკულ მარკერთა მრავალფუნქციურობას, კ, აიმერისა და ა. საიმონ-ვანდენბერგენის აზრით, შეიძლება საფუძვლად ედოს ომონიმია. რადგან მრავალი პრაგმატიკული ფუნქცია არსებობს, ომონიმის საშუალებით მყარდება ცალკეული მარკერის ცალკეულ ფუნქციასთან მიმართება. თუმცა, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ომონიმისთან, არამედ პოლისემიასთან. სხვადასხვა მნიშვნელობები და ფუნქციები შეიძლება გადმოცემული იქნეს, როგორც ბირთვული მნიშვნელობის ინვარიანტი, მისი პროტოტიპი. კ. კრუნი (1995) და მ. ჰანსენი (1998) პრაგმატიკული მარკერების მრავალფუნქციურობას პოლისემიით ხსნიან. პოლისემიურ მიდგომას ხშირად მიმართავენ პრაგმატიკული მარკერების დიაქრონული ანალიზისას გრამატიკალიზაციის თეორიის ფარგლებში (იხ. მაგ.: ტროგოტი და დაშერი 2002).

პრაგმატიკული მარკერების მრავალფუნქციურობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი მიდგომის თანახმად, რომელსაც ი. ოსტმანი ავითარებს, ისინი შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც კონსტრუქციები, რომლებიც ფორმისა და მნიშვნელობის ერთიანობაა და მოიცავს ფორმასთან დაკავშირებულ პრაგმატიკულ შეზღუდვებს (ოსტმანი 2006:239).

ბოლოს, უნდა ითქვას, რომ პრაგმატიკული მარკერების მრავალფუნქციურობის საკითხი ეთავსება რელევანტურობის თეორიას. ამ შემთხვევაში რელევანტურობის თეორიის პრინციპები გამოიყენება პრაგმატიკული მარკერების სხვადასხვა ფუნქციის საანალიზოდ. რელევანტურობის თეორიის



ფარგლებში საინტერესო კვლევა აქვს ჩატარებული ა. ჯაკერს, რომელიც განიხილავს პრაგმატიკული მარკერის *well* შესაძლო პოტენციურ ფუნქციებს (ჯაკერი 1993).

#### 1.4.2. პრაგმატიკული მარკერის კვლევის მეთოდოლოგია

პრაგმატიკულ მარკერებს სხვადასხვა მეთოდით იკვლევენ. მაგრამ ყველა შემთხვევაში საკვლევ მასალად აღებულია კონკრეტულ მონაცემთა კორპუსი. ისინი წარმოადგენენ პრაგმატიკულ მარკერთა ფუნქციობის თავისებურებების კვლევის საშუალებას ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში, სხვადასხვა რეგისტრში. ასეთ ოფიციალურ კორპუსებს წარმოადგენს, მაგალითად, ლონდონ-ლანდის კორპუსი (London-Lund Corpus), ლონდონელი თინეიჯერების ენის ბერგენის კორპუსი (COLT), სალაპარაკო აკადემიური ინგლისურის მიჩიგანის კორპუსი (MICASE), ინგლისური ენის საერთაშორისო კორპუსი (ICE-GB) და სხვა. ისეთი ისტორიული კორპუსების წყალობით, როგორცაა 1569-1760 წლების ინგლისური დიალოგების კორპუსი, შესაძლებელი გახდა პრაგმატიკული მარკერების შესწავლა ენის ადრეულ პერიოდში. ამ კორპუსისათვის დიალოგები შეირჩა 200 წლიან პერიოდში შექმნილი ისეთი ტიპის ტექსტებიდან, როგორებიცაა: სასამართლო პროცესების ოქმები, მოწმეთა ჩვენებები, დრამები, კომედიები, დიდაქტიკური ნაწარმოებები, პროზა. ეს კორპუსი იქნა გამოყენებული გაცილებით ძველი პერიოდის ინგლისურში შემარბილებლების (პრაგმატიკულ მარკერთა ერთ-ერთი ტიპი) შესასწავლადაც.

პრაგმატიკულ მარკერებს სწავლობენ არა მხოლოდ ცალკეული კორპუსების, არამედ პარალელური კორპუსების საფუძველზეც. ეს საშუალებას იძლევა გამოიყოს ენათაშორისი ეკვივალენტები, რომლებიც შეისწავლება ამოსავალ ენაში და უპირისპირდება სამიზნე ენას (აიმერი, საიმონ-ვანდენბერგენი 2003:1123-1161). წინამდებარე კვლევაც, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, წარმოებს ჩემ მიერ შემუშავებული ინგლისური და ქართული პარალელური სემანტიკებისაგან შემდგარი საანალიზო კორპუსის საფუძველზე საკვლევ ფენომენის ორ ენაში ფუნქციობის მსგავსება-განსხვავებების გამოსავლენად.

შიდაენობრივი თვალსაზრისით პრაგმატიკულ მარკერებს იკვლევენ მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების საფუძველზე. ა. ჯაკერი და ს. სმიტი ერთმანეთს უპირისპირებენ პრაგმატიკული მარკერების - *yeah, like, you know* პრაგმატიკულ ფუნქციებს: *Yeah* - ადრესატის პოზიციიდან შეიძლება გაანალიზდეს, როგორც მიღების მარკერი, *like* არის მოსაუბრეზე ორიენტირებული ინფორმაციული პრეზენტაციის მარკერი და *you know* - ადრესატზე ორიენტირებული პრეზენტაციის მარკერი (ჯაკერი, სმიტი 1998:171). ს. სმიტი და ა. ჯაკერი სხვა შრომაში მსგავსი ფუნქციის საფუძველზე ერთ ჯგუფში აერთიანებენ მარკერებს - *actually, in fact* და *well* (სმიტი, ჯაკერი 2000:207-236). ენათმეცნიერი ს. ოუ დეტალური ანალიზის საშუალებით ცდილობს დაადგინოს უმნიშვნელო განსხვავება პრაგმატიკული მარკერების - *actually* და *in fact* ფუნქციებს შორის ამერიკულ ინგლისურში (ოუ 2000:243).

ენათაშორისი შედარებები ხშირად ეხება საერთო წარმოშობის სიტყვებს. პრაგმატიკულ მარკერებს შეიძლება ჰქონდეთ მონათესავე პარალელები სხვა ენებში. კონტრასტული შესწავლის საგანია ასევე არამონათესავე სიტყვები, რომლებიც სემანტიკურ-პრაგმატიკული ეკვივალენტები არიან. ს. ფლეიშმანი და მ. იაგუელო (ფლეიშმანი, იაგუელო 2004) შეეცადნენ ეჩვენებინათ, რომ სხვადასხვა ლექსიკური წარმოშობის მიუხედავად, ერთ-ერთ ფრანგულ პრაგმატიკულ მარკერს *genre* და ინგლისურ *like*-ს აქვს ერთნაირი პრაგმატიკული ფუნქციები. ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ენაში არსებული მარკერები ერთნაირად განვითარდნენ, ნაჩვენებია ბ. ფრეიზერისა და მ. მალმაუდ-მაკოვსკის შრომაში "English and Spanish Contrastive Markers" (1996). მათ გამოიკვლიეს პრაგმატიკული მარკერები ინგლისურსა და ესპანურ ენებში და აჩვენეს, რომ ამ ენებში კონტრასტისა და უარყოფის ფუნქციები ახლოსაა ერთმანეთთან. ამ სფეროში წარმართულმა კონტრასტულმა კვლევებმა აჩვენა რომ, ე.წ. ეკვივალენტებს შორის არსებული ურთიერთობა რთულია და უფრო ხშირად ადგილი აქვს სემანტიკური და პრაგმატიკული მნიშვნელობების ნაწილობრივ და არასრულ გადაფარვას.

შეპირისპირებითი კვლევის გარდა, პრაგმატიკულ მარკერებს იკვლევენ ისტორიული პრაგმატიკის ფარგლებში დიაქრონულ ასპექტში, თარგმანის თეორიის

მიმართულებით, ხდება მოცემულ დედაენაზე და ამავე ენაზე, როგორც მეორე უცხო ენაზე მოლაპარაკეთა კომუნიკაციაში პრაგმატიკული მარკერების გამოყენების შედარება. პრაგმატიკული მარკერები ასევე საინტერესოა სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისით, თუმცა წინამდებარე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შემოვიფარგლები მხოლოდ პრაგმატიკული მარკერების შესწავლის შეპირისპირებითი მეთოდით და არ შევჭერდები კვლევის სხვა მეთოდებზე.

## თავი 2. პოლიტიკური ინტერვიუს ანალიზის თეორიული წინაპირობა

### 2.1. ჟანრის პრობლემა ლინგვისტიკაში

ბოლო დროს, ლინგვისტიკის ყურადღების ცენტრში მნიშვნელოვნად მოექცა ცნება „ჟანრი“ და მასთან დაკავშირებული საკითხები. ეს განპირობებულია იმით, რომ იგი მხოლოდ ლიტერატურულ ტექსტებს კი არ ახასიათებს (როგორც ეს ხშირად შეცდომით აღიქმება), არამედ სამეტყველო ქმედებებს ზოგადად. ჟანრები, ჩვეულებრივ, სამეტყველო მოვლენებს შეესაბამება, მაგრამ მაინც ანალიტიკურად მათგან დამოუკიდებლად უნდა განიხილებოდნენ. მაგალითად, ქადაგება ჟანრია, რომელსაც განსაზღვრულ ადგილას, საეკლესიო მსახურებისას აქვს ადგილი, თუმცა, იგი შეიძლება გამოიყენონ უკიდურესად სერიოზულ ან იუმორისტულ კონტექსტში როგორც სტილისტური ხერხი (ჰაიმსი 1974:61).

თანამედროვე ლინგვისტიკაში ჟანრის შესწავლა, პირველყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული ცნება თანამედროვე ანთროპოლინგვისტიკის ერთ-ერთ ძირითად სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, სამეტყველო ჟანრების პრობლემა პირველად დაისვა XX საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსისა და ფილოლოგის - მ. ბახტინის მიერ. მისი აზრით, სამეტყველო ჟანრი ისეთი კატეგორიაა, რომელიც სოციალურ რეალობას ენობრივ რეალობას უკავშირებს (ბახტინი 1996:165). იმის საფუძველზე, რომ სამეტყველო ქცევა ტრადიციულად, ისეთი პარამეტრების მიხედვით ხასიათდება, როგორიცაა: ზეპირი-წერილობითი, ოფიციალური-არაოფიციალური, საზოგადო-კერძო, მ. ბახტინმა სამეტყველო ჟანრები ორ ჯგუფად დაყო - პირველად და მეორად ჟანრებად (ibid.:106-107). პირველად ჟანრებს მან მიაკუთვნა დაბალი, ყოველდღიური სამეტყველო კონტინუუმის ყველა ჟანრი, როგორიცაა საუბარი, კამათი და ა. შ. მეორადი ჟანრები კი ისეთ ჟანრებს უწოდა, რომლებიც მეტყველების კონტინუუმის შედარებით მაღალ დონეს განეკუთვნება, ასეთებია საზოგადო და ოფიციალური კომუნიკაცია. მეორადი ჟანრები იქმნება შედარებით უფრო რთულ, მაღალგანვითარებულ და მაღალ დონეზე ორგანიზებულ კულტურულ კომუნიკაციაში ძირითადად წერილობითი ფორმით. აღნიშნული საკითხები

განხილულია ი. ლოტმანის (1992), მ. ფედოსიუკის (1997), კ. სედოვის (2007), ე. კომლევასა (2011) და სხვათა შრომებში.

სამეტყველო ჟანრების ზოგადი თეორიის ერთ-ერთ განსახილველ საკითხს წარმოადგენს შიდა ჟანრობრივი ინტერაქციის ფსიქოლინგვისტური და კოგნიტური ბუნება. ამ მიმართულებით, სამეტყველო ჟანრები კომუნიკაციის გარეთ კი არ არსებობენ, არამედ კომუნიკანტების ცნობიერებაში მზა ნიმუშების (ფრეიმების) სახით (მინსკი 1979; ვან დეიკი 1989) და გავლენას ახდენენ აზრის ტექსტში განთავსებაზე.

ფსიქოლინგვისტიკაში ჟანრების დახასიათება ხდება პროტოტიპების თეორიის ფარგლებში. ამ მიდგომის თანახმად, ზოგიერთი ტექსტი უფრო მეტად მიიჩნევა მოცემული ჟანრის ტიპურ წევრად, ვიდრე სხვები. განსაზღვრული თვისებები მიუთითებს იმ დონეზე, რა დონითაც მოცემული ტექსტი მოცემული ჟანრის პროტოტიპულია (სუელსი 1990:52). პროტოტიპთა თეორია ეყრდნობა ადამიანური ენის ფუნდამენტურ თვისებებს, რომელთა მიხედვითაც ენობრივი ხერხების რაოდენობა განსაზღვრულია, ხოლო მათი გამოყენების შესაძლებლობები კი - უსაზღვრო. ამ თეორიის მიზანია განმარტოს ობიექტის - მოცემული ტექსტის პროტოტიპულობა მისი ინტერპრეტაციის საშუალებით.

სოციოლინგვისტური გაგებით, ჟანრები სამყაროზე სხვადასხვა შეხედულების ორგანიზებისთვის გამოიყენება. ისინი არიან აუდიტორიის სოციალური და კულტურული ინტერესების საზომი. ჯ. ფრისკე განმარტავს, რომ ჟანრობრივ კონვენციებში განთავსებულია თანადროულობის ძირითადი იდეოლოგიური ინტერესები და ისინი ღირებულებითი კატეგორიების ფორმულირებას ახდენენ (ფრისკე 1987:110). ამ თვალსაზრისით ხდება ცნება „ჟანრის“ ვიწრო, ლიტერატურათმცოდნეობითი გაგებიდან სოციოლინგვისტურ გაგებამდე გაფართოება.

მთელი რიგი სამეტყველო სიტუაციებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ის ერთეულები, რომლებიც ფაქტების სემანტიკის, მართვისა და აღწერისთვის გამოიყენება, იყოს საზოგადოებრივი სისტემის ნაწილი, რადგან სწორედ ეს სისტემურობა განსაზღვრავს ჟანრებს და ამასთან, ოპტიმალური კომუნიკაციის

საშუალებას იძლევა. ცხადია, ასეთ სიტუაციათა რიცხვს მიეკუთვნება მასობრივი საინფორმაციო საშუალებათა ტექსტები, რამდენადაც მათი მომენტალური ხასიათი და კულტურაში აკუმულირების ფაქტორის არ არსებობა მოითხოვს ჟანრობრივ განსაზღვრულობას, როგორც მათი სწორად აღქმის საშუალებას. მოცემული ენის მომხმარებელი საზოგადოებისათვის ცნობილი უნდა იყოს ჟანრობრივი საზღვრები, რაც მასმედიის ტექსტების ადეკვატური აღქმის წინაპირობას წარმოადგენს, ხოლო აუდიტორიის მიერ ტექსტის ადეკვატური აღქმა ლინგვისტური კომუნიკაციის უპირველესი ამოცანაა.

ცნება „ჟანრი“ სტრუქტურულ ლინგვისტიკაშიც განიხილება. ამ მიმართულებით საკითხს განიხილავენ ცნება „რეგისტრთან“ მიმართებაში. ეს უკანასკნელი განიხილება, როგორც ცნება „ჟანრის“ ლიტმცოდნეობითი გაგების კერძო ალტერნატივა, როგორც მისი პროტოტიპი ლიტმცოდნეობის ფარგლებს გარეთ.

ამ თეორიის მიხედვით, ტექსტები იქმნება კონკრეტულ სოციალურ სიტუაციებში კონკრეტული მიზნით ერთი ან მეტი სუბიექტის მიერ. ტექსტში თავის გამოხატულებას ჰპოვებს მნიშვნელობა, რომელიც განიხილება სოციალური ურთიერთობების კონკრეტულ სიტუაციებთან მიმართებაში, ხოლო ტექსტისა და კონტექსტის ურთიერთმიმართება კი - როგორც კავშირი ენასა და საზოგადოებას შორის. სოციალური კონტექსტი მოიცავს აბსტრაქციის ორ დონეს: ჟანრსა და რეგისტრს, რომლების შესაბამისად განიხილება, როგორც - კულტურის კონტექსტი და სიტუაციის კონტექსტი (ეგინსი 2004:9). ეს ცნებები გვეხმარება ტექსტების ვარიანტული მნიშვნელობებისა და ფუნქციის ახსნაში.

კულტურის კონტექსტი ანუ ჟანრი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ზოგადი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც კონკრეტული ტიპის ინტერაქცია მიმართულებას იღებს. იგი შეესაბამება სიტუაციის მრავალფეროვან კონტექსტს, რომელშიც ის შეიძლება გამოიყენებოდეს. ტექსტის მნიშვნელობის საფუძველი არის არა მხოლოდ დისკურსის, არამედ მისი ჟანრული მნიშვნელობაც, ანუ კონვენციონალური სოციალური გარემოებები, რომლებიც ტექსტებს წარმოშობენ. ამდენად, ტექსტები, რომლებიც ერთსა და იმავე ჟანრს მიეკუთვნება, შეიძლება

განსხვავდებოდნენ თავიანთი სტრუქტურით, მაგრამ ერთადერთი ასპექტი, სადაც ისინი სხვაობას ვერ ამჟღავნებენ, ჟანრის სპეციფიკური სავალდებულო ელემენტებია (ჰალიდეი, ჰასანი 1985:108).

სიტუაციის კონტექსტი ანუ რეგისტრი, ენის ფუნქციობის ვარიაცია, არის მნიშვნელობათა ერთიანობა, სემანტიკური სტრუქტურების კონფიგურაცია, რომლებიც, ჩვეულებრივ, გარკვეული სპეციფიკური პირობებით ერთიანდებიან იმ სიტყვებსა და სტრუქტურებში, რომლებიც ამ მნიშვნელობათა რეალიზაციისთვის გამოიყენება (ჰალიდეი 1978:23). მ. ჰალიდეის აზრით, ყველა სიტუაციაში არის რეგისტრის ისეთი ცვლადები, როგორცაა ველი, ტენორი და მოდუსი, რომელთა საშუალებითაც რეგისტრი ისეთ აბსტრაქციას წარმოადგენს, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს ენის გამოყენებისა და სოციალური კონტექსტის ვარიაციებს. ველი ასოცირდება დისკურსთან, მის შინაარსთან, აზრთან და იცვლება აუდიტორიის, მიზნისა და კონტექსტის მიხედვით, ტენორი დაკავშირებულია ინტერაქტანტთა სტატუსთან და ურთიერთდამოკიდებულებასთან (ფორმალური/არაფორმალური), მოდუსი კი - დაკავშირებულია კომუნიკაციის ფორმასთან (წერილობითი/ზეპირი) (სორნი 1997:95-97; ეგინსი 2004:6-9). ველი, ტენორი და მოდუსი მოქმედებს ერთად, როგორც ტექსტის დეტერმინანტები, როგორც რეგისტრის დაკონკრეტების საშუალებები. ისინი, ამავე დროს, სისტემურად ასოცირდებიან ენობრივ სისტემასთან სემანტიკის ფუნქციური კომპონენტების საშუალებით (ჰალიდეი 1978:122). მოცემული ცნებები წარმოადგენს ანალიზის კონცეპტუალურ ჩარჩოს, რამდენადაც ისინი საკვლევე კონსტრუქტების და არა ენის გამოყენების ფორმებია.

ამრიგად, რეგისტრის ეს სამი ცვლადი ასახავს ურთიერთობას ენის ფუნქციასა და ფორმას შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეგისტრს გააჩნია ლინგვისტური თვისებები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ასოცირდება სოციალური თვისებების კონფიგურაციასთან ველის, მოდუსისა და ტენორის მოცემულ მნიშვნელობებთან ერთად.

დისკურსისადმი მიძღვნილ მთელ რიგ კვლევებში ცნებები „ჟანრი“ და „რეგისტრი“ სინონიმურად გამოიყენება, მაგრამ გამოყენებითი ლინგვისტიკის ფარგლებში ჯ. მარტინი მიიჩნევს, რომ ჟანრები რეალიზდება რეგისტრში, ეს

უკანასკნელი კი - ენაში. იგი ასახელებს ჟანრების გამოყოფის ორ საფუძველს: პირველი ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ჟანრები ქმნის საზღვრებს, სადაც რეგისტრის ცვლადებმა შეიძლება გადაკვეთოს ერთმანეთი კონკრეტული სიტუაციის, კონტექსტის თემის ან ფორმალურობის მიხედვით მეტყველების გარკვეულ სემანტიში. არსებობს თემები, რომლებიც მეტად დამახასიათებელია, მაგალითად, სამედიცინო დისკურსისათვის ან კიდევ თანაბარი სოციალური სტატუსის მქონე ორი მეზობლის მეტყველებისათვის.

მეორე მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ ჟანრობრივ სისტემაში ხდება ვერბალური საშუალებებით სოციალური მიზნების განხორციელება. ეს სისტემა შეესაბამება ეტაპობრივ, მიზანმიმართულ სოციალურ პროცესს, რომლის რეალიზაციასაც კულტურა ენაში ახდენს (მარტინი, როზერი 1986:243).

აღნიშნული ორი ცნების განსხვავებისას ჯ. სუელსის (სუელსი 1990) განმარტება თითქმის ემთხვევა უ. კონორისას, რომელიც წერს, რომ ჟანრი ჯ. სუელსის განმარტებით განსხვავდება ლინგვისტური ცნება „რეგისტრისაგან“ იმით, რომ ჟანრი აწესრიგებს ტექსტის სხვადასხვა ნაწილის სტრუქტურას - დასაწყისს, ძირითად ნაწილსა და დასკვნას მაშინ, როდესაც რეგისტრი კონტექსტისა და სიტუაციური მნიშვნელობის გათვალისწინებით მთლიანობაში განსაზღვრავს ენობრივ მნიშვნელობას ჩვეულებრივ ფორმალურობა-არაფორმალურობის სტილისტურ კონტინუუმში (კონორი 1996:27).

ბ. კუტიურის აზრით, ჟანრი არის დასრულებული, სტრუქტურირებული ტექსტები მაშინ, როდესაც რეგისტრები წარმოადგენს შესაძლო სტილურ ინვარიანტებს ლექსიკისა და სინტაქსის დონეზე. რეგისტრისგან განსხვავებით, ჟანრი რეალიზდება მხოლოდ დასრულებულ ტექსტში ან ტექსტებში, რადგან ჟანრი არა მხოლოდ აზუსტებს ურთიერთდაკავშირებულ ტექსტების ჯგუფში ჩადებული კოდების ტიპს, არამედ იგი აზუსტებს ტექსტის სტრუქტურულ შემადგენლობასაც (კუტიური 1986). ჟანრებს გააჩნიათ საკუთარი „დამატებითი“ რეგისტრები და ტექსტის კომუნიკაციის წარმატებულობამ შეიძლება მოითხოვოს შესაბამისი ურთიერთკავშირი ჟანრისა და რეგისტრის სისტემებს შორის (ibid. :86). ამდენად, ავტორს შეუძლია აირჩიოს ჟანრი, რომელსაც ექსპლიციტურობის მაღალი დონე



გააჩნია (მაგალითად, ანგარიში) და ამავე დროს, რეგისტრი, რომელიც მოითხოვს ნაკლებ ექსპლიციტურობას (მაგალითად, ბიუროკრატიული ენა). ერთი და იმავე ჟანრის ტექსტები შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა მასობრივ საინფორმაციო საშუალებაში სხვადასხვა რეგისტრში: ინტერვიუ სერიოზულ გაზეთებში წარმოდგენილია სრულიად განსხვავებულ რეგისტრში, ვიდრე ყვითელ პრესაში დაბეჭდილი ინტერვიუ. ყოველივე ეს ნათლად აჩვენებს, რომ არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ „ჟანრი“ და „რეგისტრი“ სინონიმებად განიხილებოდეს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს ზოგადი დასკვნა, რომ ჟანრი და რეგისტრი სხვადასხვა, თუმცა ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებებია. ჟანრი მოქმედებს დისკურსის სტრუქტურის დონეზე, რომელიც ტექსტისა და სოციოკულტურული კონტექსტის საკომუნიკაციო მიზნებით განისაზღვრება; რეგისტრი კი, თავის მხრივ, განიხილავს კონკრეტულ ლექსიკო-გრამატიკულ ინვარიანტებს დისკურსის სოციალური და კონტექსტის მნიშვნელობათა გათვალისწინებით.

ბოლო დროს, სამეტყველო ჟანრების შესწავლა დაუკავშირდა სამეტყველო აქტების თეორიას. ამ საკითხზე საინტერესო კვლევა აქვს ჩატარებული ე. კომლევას, რომლის თანახმად, ამ მიმართულებით ლინგვისტები ცდილობენ სამეტყველო აქტების თეორიის მეთოდოლოგია გამოიყენონ სამეტყველო ჟანრების კლასიფიკაციისათვის. კვლევის საწყის პუნქტად აღებულია ადრესანტის ინტენცია (კომლევა 2011:296). ჟანრების შესწავლისას გაკეთებულმა განსაკუთრებულმა ყურადღებამ მიზნებსა და ინტენციებზე განაპირობა სამეტყველო ჟანრებისა და სამეტყველო აქტების დაახლოება (ibid.:297). მკვლევართა უმრავლესობა სამეტყველო ჟანრების თეორიას სამეტყველო აქტების თეორიის დასავლურ ანალოგად მიიჩნევს (ვეჟბიცკა 1997; შმელევა 1997). თუმცა ეს აზრი სადაოა და მას არც ე. კომლევა ეთანხმება სრულად. იგი განიხილავს და ერთმანეთს უკავშირებს ჯ. სერლისეულ სამეტყველო აქტებისა და ტ. შმელევას სამეტყველო ჟანრების ტაქსონომიას. სამეტყველო აქტი პრაგმატიკაში განიხილება, როგორც მეტყველი სუბიექტის მიზანმიმართული ქმედება, რაც სამეტყველო აქტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს კომუნიკაციურ ქმედებას, ადრესატსა და კომუნიკაციურ სიტუაციასთან

ერთად (სერლი 1986). სერლისეულ კლასიფიკაციაში სამეტყველო აქტების ხუთი ტიპი გამოიყოფა: *რეპრეზენტატივები*, რომელთა ფუნქციები ფაქტის, საქმის ვითარების რეპრეზენტაციაა. ისინი ისეთი სამეტყველო ქმედებებია, რომლებითაც გამოიხატება მეტყველი სუბიექტის რწმენა, სამყაროს მისეული აღქმა; *დირექტივები* რეციპიენტს იწვევს მოქმედებისაკენ. ასეთი სამეტყველო აქტის დროს მეტყველი სუბიექტი ცდილობს დაიყოლიოს მსმენელი, შეასრულებინოს მას მოქმედება; *კომისივები* სამეტყველო აქტებია, რომლებშიც მეტყველი პირი წინასწარ განსაზღვრავს, როგორ იმოქმედოს მომავალში და დაიცვას ქცევის განსაზღვრული წესები, იგი გამოხატავს თავის რეაქციას მომავალი ქმედების მიმართ; *ექსპრესივები* გადმოგვცემს მეტყველი პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას საგნებისა და სიტუაციების მიმართ - სიხარულს, მწუხარებას, სიამოვნებას, ტკივილს და ა.შ. ისინი გამოხატავენ მოსაუბრის რეაქციას მოვლენებზე და *დეკლარაციები*, რომლებიც წარმოადგენენ სტატუსის ან მდგომარეობის გამოცხადებას. ასეთი სამეტყველო ქმედებები ცვლის სამყაროს. მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში პროპოზიციული შინაარსი შეესაბამება სამყაროს (სერლი 1986:180).

სამეტყველო აქტების კლასიფიკაცია წარმოადგენს, პირველ რიგში, სამეტყველო ქმედებების ტაქსონომიას. უნდა აღნიშნოს, რომ სამეტყველო ჟანრის ილოკუციური მიზნის, ანუ ადრესანტის პოზიციის თვალსაზრისით განხილვისას გამოირჩება თვისობრივად დიალოგური, კომუნიკაციური ასპექტი.

სამეტყველო ჟანრების კომუნიკაციური მიზნის საფუძველზე კლასიფიკაციისას, ყველაზე ხშირად ციტირებენ ტ. შმელევას ნაშრომს (შმელევა 1997). აღნიშნულ ნაშრომში გამოიყოფა სამეტყველო ჟანრის ოთხი ტიპი: *ინფორმაციული*, რომლის მიზანია გარკვეული ოპერაციების ჩატარება ინფორმაციაზე (მისი წარდგენა ან მოთხოვნა, დამტკიცება ან უარყოფა), *იმპერატიული*, რომლებიც იწვევენ მოვლენების განხორციელება/არ განხორციელებას, *ეტიკეტური* - გარკვეული მოვლენის, მოქმედების განხორციელება სოციალურ სფეროში, გამომდინარე აღნიშნული სოციუმის ეტიკეტიდან (ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა, მილოცვა, მწუხარების გამოხატვა და ა.შ) და *ნიშნობრივი*, რომლის მიზანია საუბრის მონაწილეთა

განწყობის შეცვლა, რადგან ხდება მათი მოქმედებებისა და თვისებების შეფარდება მოცემული საზოგადოების ფასეულობებთან.

თეორიული მასალის მოკლე მიმოხილვა აჩვენებს, რომ ჯ. სერლის სამეტყველო დირექტიულ აქტებსა და ტ. შმელევას იმპერატიულ ჟანრებს საერთო ილოკუციური ფუნქცია აქვთ, მაგრამ ეს გარემოება არ იძლევა უფლებას ერთმანეთისაგან არ გაიმიჯნოს სამეტყველო ჟანრები და სამეტყველო აქტები.

სამეტყველო აქტების ცენტრს ენის გრამატიკა წარმოადგენს, სამეტყველო ჟანრების თეორია კი უნდა ეფუძნებოდეს სამეტყველო კომუნიკაციას. სამეტყველო აქტი მონოლოგურია, სამეტყველო ჟანრი - დიალოგური, სოციალური და ინტერაქციული. ამასთან დაკავშირებით, სამეტყველო აქტების კლასიფიკაცია წარმოადგენს სამეტყველო ქმედებების ტაქსონომიას, რომელიც იზოლირებულია რეალური კომუნიკაციისაგან. სამეტყველო ჟანრი შეფარდებულია სიტუაციასთან, მოვლენასთან, ტექსტთან და გააჩნია რაოდენობრივად და ხარისხობრივად მეტად რთული ბუნება.

სამეტყველო ჟანრებისა და სამეტყველო აქტების თეორიების ინტეგრაცია რთულია. ცხადია, რომ სამეტყველო ჟანრების შესწავლისას მხოლოდ ფორმალური მოდელების, კერძოდ, სამეტყველო აქტების თეორიის ლოგიკურ-გრამატიკული მეთოდოლოგიის გამოყენება და კლასიფიკაციის კრიტერიუმად ილოკუციური ძალის გამოყენება არ არის საკმარისი, რადგან ერთი და იგივე სამეტყველო აქტში შეიძლება დაფიქსირდეს რამდენიმე სამეტყველო ჟანრი და პირიქით, ერთ სამეტყველო ჟანრში გვხვდება სხვადასხვა სამეტყველო აქტი.

სამეტყველო აქტიდან პირდაპირ დისკურსის დონეზე გასვლა შეუძლებელია, რადგან ეს უკანასკნელი ასევე მოიცავს კომუნიკაციურ სტრატეგიასა და კომუნიკანტების ურთიერთობის ტაქტიკას, ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს, რომლებიც მის თავისებურებებს განაპირობებენ. დისკურსის ბუნების ადეკვატური გაგებისათვის საჭიროა კიდევ ერთი კატეგორია, რომლის საშუალებით გვეძლევა არა მხოლოდ კომუნიკანტების ინტენცია, არამედ მათი კომუნიკაციური ქმედების სხვა ასპექტებიც, ეს არის სამეტყველო ჟანრი (კომლევა 2011:299).

ამრიგად, საკითხის მცირე მიმოხილვა ნათლად აჩვენებს, რომ ჟანრის თეორია სულ უფრო და უფრო მეტად იპყრობს ლინგვისტოთა ყურადღებას. ლინგვისტიკაში ცნება „ჟანრი“ განიხილება, როგორც ფუნდამენტური ცნება კომუნიკაციის მიზნების განხორციელების ენობრივი საშუალებების ანუ ლინგვისტური არჩევანის მოტივაციის შესასწავლად. შესაბამისად, ინტერვიუს პრაგმატიკული თავისებურებების უშუალო ანალიზამდე საჭიროდ მიმაჩნია, პირველ რიგში, მიმოვიხილო ინტერვიუ როგორც ჟანრი.

## 2.2. ინტერვიუს ჟანრული დახასიათება

ჟურნალისტიკის ჟანრთა სისტემა - ეს არის ჟურნალისტიკის ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთმოქმედ ჟანრთა ერთიანობა. მისი ერთ-ერთი შემადგენელი ერთეულია ინტერვიუ.

თანამედროვე ჟურნალისტიკაში ჟანრ ინტერვიუს აქტუალობა და მრავალფუნქციობა უსაზღვროდ დიდია. ეს არის თანამედროვე მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი ჟანრი, განსაკუთრებით, ბექდურ მედიაში. თანამედროვე ეპოქაში ინფორმაციის ნაკადი სწრაფად ვრცელდება. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საზოგადოება ბევრადაა დამოკიდებული ინფორმაციაზე, რამდენადაც იგი დიდ როლს თამაშობს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. თანამედროვე ჟურნალისტიკა მიმართულია ინფორმაციის, ფაქტების რაც შეიძლება ეფექტურად გადაცემაზე მსმენელზე, მკითხველზე თუ ტელემყურებელზე. ამიტომ სარგებლობენ განსაკუთრებული პოპულარობით საინფორმაციო ჟანრები და მათ შორის, ინტერვიუ, რომელიც ემსახურება ინფორმაციის ობიექტურად გადაცემას.

უკანასკნელ წლებში ინტერვიუ ყოველდღიურად ჩნდება პრესაში, იგი განსხვავდება თემატიკის, ფორმისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით. ინტერვიუ პუბლიცისტურ ჟანრებს შორის გამოირჩევა აქტუალობითა და საზოგადოებრივი მნიშვნელობით. მისი საშუალებით გაზეთი იძლევა ინფორმაციას მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, მკითხველთა ყურადღებას მიმართავს აქტუალური

მოვლენისკენ, გეზულობს ავტორიტეტული პირის აზრს ამა თუ იმ არსებითი საკითხის შესახებ. ზოგჯერ, ინფორმაცია, ფაქტი თუ მოვლენა საჭიროებს ინტერპრეტაციასა და განმარტებას, ამიტომ, ამ შემთხვევაში, ინტერვიუ დარწმუნების ეფექტური ფორმაა იქედან გამომდინარე, რომ მასობრივი კომუნიკაცია ზოგადად, წარმოადგენს პერსუაზიული კომუნიკაციური პროცესის ნაირსახეობას, რომელიც „წარმოდგენილია ისეთი კომუნიკაციური სიტუაციებით, რომელშიაც ადრესანტები გამიზნულად გადასცემენ ადრესატებს ინფორმაციას, განსაზღვრულს მათ ქმედებებზე, აზრებზე, მათ განწყობებზე ზეგავლენის მოსახდენად და უფრო მასშტაბური მიზნით-პოლიტიკური სურათის შეცვლის, მათი საზოგადოების ინტერესების უგულველყოფით გარკვეული ქმედებებისაკენ მიმართვის მიზნით“ (ხახუტაიშვილი 2012).

ინტერვიუმ, როგორც ჟანრმა, თავისი არსებობის მანძილზე მთელი რიგი ცვლილებები განიცადა სტილისტიკის, ტიპოლოგიის, ფუნქციობის ხასიათის თვალსაზრისით, რაც მნიშვნელოვნად უკავშირდება სოციალურ კონტექსტს. ამიტომ, ინტერვიუზე საუბრისას საჭიროდ მივიჩნევ, თავდაპირველად შევჩერდე მისი განვითარების ისტორიაზე.

ინტერვიუს, როგორც ჟანრის ჩანასახები, გაცილებით ადრე ჩამოყალიბდა, ვიდრე ბეჭდური და, მით უმეტეს, ელექტრონული მედია გაჩნდებოდა. თანამედროვე ინტერვიუს წინა სახეები ჯერ კიდევ ძველ ანტიკურ ეპოქაში არსებობდა. ტექსტების აგების დიალოგურ ფორმას ძველი ტრადიციები გააჩნია და ისტორიას ანტიკურობიდან ითვლის. მისი ნათელი მაგალითია სოკრატეს დიალოგები, პლატონის ფილოსოფიური დიალოგები, რითაც მან სათქმელის მიტანა მკითხველამდე მოახდინა სადა, ლაღი სტილითა და მეცნიერული ტერმინების დახვედრების გარეშე. ჰეროდოტე ამტკიცებდა, რომ მისი „ისტორია“ შეიქმნა რეალური მონაცემების საფუძველზე, რომლებიც მან მოიპოვა გამოკითხვის საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს საუბრები არ იყო დიალოგი აზრების გაცვლა-გამოცვლითა და რეპლიკებით, ისინი მაინც შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე ინტერვიუს წინამორბედად.

დიალოგი, როგორც ფილოსოფიური ლიტერატურის განსაკუთრებული ფორმა, პოპულარული იყო XIX საუკუნემდე. ამ დროიდან კი პრესაში უკვე გაჩნდა მასალები კითხვა-პასუხის ფორმით. აქედან იწყება ინტერვიუს ძირითადი შტრიხებისა და დამახასიათებელ თავისებურებათა ჩამოყალიბება: შეკითხვების გარკვეული ტიპები, თავაზიანობის ფორმულები, რიტორიკული და სტილური ერთეულები და ა. შ. იგი პოპულარული იყო ისეთ მოაზროვნეებთან, როგორებიცაა დ. ჰიუმი, ჯ. ბერკლი, ბ. პასკალი, ფ. შლეგელი და სხვები. ლიტერატურის განვითარებასთან ერთად დიალოგმა იქაც გადაინაცვლა და გამოყენება ჰპოვა დ. დიდროს შემოქმედებაში. ტექსტის აგების დიალოგური ფორმა განსაკუთრებით პოპულარული გახდა თანამედროვე ეპოქაში, ამჯერად მან პუბლიცისტიკაში გადაინაცვლა და ჟურნალისტიკის მძლავრ ჟანრად ჩამოყალიბდა. მისი პოპულარობა XX საუკუნის 50-60-იან წლებში დაიწყო, როდესაც მასობრივ კომუნიკაციის საშუალებებზე გარკვეულწილად შემცირდა იდეოლოგიური ზეწოლა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტიკის ნებისმიერი ჟანრის განვითარება პირდაპირ კავშირშია ტექნიკურ პროგრესთან, კერძოდ, იგი თავის დროზე განპირობებული იყო რადიოს, ტელევიზიისა და ინტერნეტსივრცის გაჩენით, განვითარებითა და გავრცელებით.

მასმედიის თანამედროვე საშუალებებს შორის ინტერვიუ, როგორც ჟანრი, ერთ-ერთ პოპულარულად ითვლება. იგი განსაკუთრებით პოპულარული გახდა XX საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც რესპონდენტს მიეცა შესაძლებლობა თავისუფლად გამოეთქვა თავისი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ცენზორების ინსტიტუტის მოშლამ ჟურნალისტს საშუალება მისცა, მიემართა რესპონდენტისთვის როგორც ინდივიდისთვის.

ის გარემოებები, რომ დღესდღეობით წინა პლანზე საინფორმაციო ჟანრები, კერძოდ კი ინტერვიუ დგას, განპირობებულია იმით, რომ ინტერვიუ, როგორც ინფორმაციის პირველად წყაროსთან კონტაქტის საშუალება, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, მეტ მასალას იძლევა პუბლიკაციისათვის (ლუკინა 2003:7). 30-40 წლის წინანდელ პრესასთან შედარებით, ჟანრი ინტერვიუ ბეჭდური გამოცემების ბირთვად იქცა. ინტერვიუმ ჩაანაცვლა სხვადასხვა ჟანრი. ძნელია, წარმოიდგინო გამოცემა

ინტერვიუს გარეშე. დარგობრივი, ღრმად სპეციალიზებული, მკითხველთა ფართო წრის, ვიწრო მიმართულების, ყვითელი თუ სხვა ტიპის პრესა - ყველგან მოიძებნება სექცია, რომელიც კითხვა-პასუხს ეთმობა.

რაც შეეხება თავად ტერმინს „ინტერვიუ“ და მის განმარტებას, იგი იცვლებოდა დროთა განმავლობაში ჟანრის განვითარებასთან ერთად ქვეყნის პოლიტიკური სიტუაციისა და ბევრ სხვა ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით. „ინტერვიუ“ - საერთაშორისო სიტყვაა და სხვადასხვა ენაში მას მეტ-ნაკლებად მსგავსი განმარტება აქვს. მაგალითად, ოქსფორდის ლექსიკონში მოცემული განმარტებებიდან წინამდებარე შრომისათვის ყველაზე მისაღები შემდეგია: *“A meeting at which a journalist asks somebody questions in order to find out their views”* (OALD 2000).

თუ სიტყვის სემანტიკას გავშიფრავთ, იგი შედგება პრეფიქსისაგან "inter", რაც ნიშნავს „შორის, ურთიერთ“, ხოლო სიტყვა "view" - „აზრი, შეხედულება“. ამდენად, ინტერვიუ ეს არის აზრთა და შეხედულებათა გაცვლა-გამოცვლა. არსებობს ამ ტერმინის ორი გაგება: ინტერვიუ, როგორც ინფორმაციის მოპოვების მეთოდი და ინტერვიუ, როგორც პუბლიცისტიკის ჟანრი.

ჟურნალისტიკის ყოველი ჟანრისათვის დამახასიათებელია გარკვეული თავისებურებები, რომლებიც მას სხვა ჟანრებისაგან განასხვავებს. ისინი განსხვავდებიან ფორმისა და მიწოდების წესით, ემოციურ-გამომსახველობითი საშუალებებით და ა.შ.

მოჩვენებითი სიმარტივის მიუხედავად, ინტერვიუ ერთ-ერთი ყველაზე რთული ჟანრია, რომელიც განსაზღვრულ ტექტიკასა და სტრატეგიას მოითხოვს. შეკითხვის დასმისა და პასუხის ჩანიშვნის გარდა, საჭიროა დიალოგის წარმართვა, საჭირო მიმართულების მიცემა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ინტერვიუს ბევრი ტიპი, რომლებიც სხვადასხვა პრინციპის საფუძველზე გამოიყოფა: სტანდარტირების ხარისხის, რესპონდენტის პირადი მახასიათებლების, საუბრის მიმართ მოსაუბრის დამოკიდებულებისა და ინტერვიუში ჟურნალისტის მონაწილეობის ხარისხის მიხედვით, ფუნქციურ-საგნობრივი პრინციპით, მოსაუბრეთა რაოდენობით,

ჟურნალისტის, მასმედიის, საუბრის ტიპით. მაგრამ ჟანრების ვარიაციის ასეთი სპექტრი დამახასიათებელია მხოლოდ თანამედროვე (დაწყებული გასული საუკუნის 80-ანი წლებიდან) პრესისთვის. ე.გოლანოვა აღნიშნავს, რომ 50-ანი წლების ინტერვიუს ჟანრის მხოლოდ ერთი სახეობა - ინტერვიუ-თხრობაა (გოლანოვა 2000:254).

შინაარსი, დოკუმენტური შევსება და ავტორის მიზანი განსაზღვრავს პრობლემას, მიმართულებას, პუბლიცისტური გამოსვლის ხასიათსა და შინაარსს, მის ფორმას ანუ ჟანრს. ამ უკანასკნელის არჩევა ხდის მუშაობას უფრო ნაყოფიერს, ეხმარება ფაქტების ამორჩევაში, მოვლენების გაშუქებაში. ჟურნალისტიკის ჟანრები განსხვავდება აუდიტორიაზე ზეგავლენის დონით, რეალობის გაშუქების ხარისხით, გამომსახველობითი საშუალებებით და ანალიზის სიღრმით. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტიკის ჟანრები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: საინფორმაციო, ანალიტიკური და მხატვრულ-პუბლიცისტური (ვოროშილოვი 1999; ტერტიჩნი 2000; შიბაევა 2001). ტრადიციულად, ინტერვიუ მიეკუთვნება საინფორმაციო ჟანრებს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით მკველვრები გამოყოფენ ინტერვიუს სხვადასხვა ტიპს. მაგალითად, ა. ტერტიჩნი გამოყოფს საგაზეთო ინტერვიუს *ინფორმაციულ და ანალიტიკურ* ტიპს (ტერტიჩნი 2000:75). ამ ავტორის თანახმად, იმ ადრეულმა პუბლიკაციებმა, რომლებიც ინტერვიუს მეთოდით შეიქმნა, განაპირობა ჟანრ ინტერვიუს გამოყოფა. როდესაც ავტორის მიზანია მხოლოდ რესპონდენტისგან მიღებული ინფორმაციის მიწოდება აუდიტორიისთვის საკუთარი კომენტარების გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ ის ქმნის საინფორმაციო მასალას. მაგრამ ინტერვიუ იქნება სრულად ინფორმაციული იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტის პასუხებში აქცენტი იქნება გაკეთებული კითხვებზე: რა? სად? როდის?

საინფორმაციო ინტერვიუს მიზანია მიაწოდოს მკითხველს მხოლოდ ინფორმაცია აქტუალური თემის შესახებ და არა მიწოდებული ინფორმაციის ანალიზი.

ანალიტიკური ინტერვიუს დახასიათებისას ა. ტერტიჩნი აცხადებს, რომ ამგვარი ინტერვიუ ავტორის მიერ ჟურნალისტურ ტექსტში ინტერვიუს მეთოდით



გარკვეული ცნობებისა და მიღებული ინფორმაციის ჩადების შედეგია (ibid.:83). როგორც ცნობილია, ინტერვიუს აღების მეთოდი არ განეკუთვნება თეორიულ მეთოდს. ნათელია, რომ ამ მიზეზის გამო ინტერვიუს ხშირად მიაკუთვნებენ ინფორმაციულ ჟანრს, რომლის საფუძველი ემპირიული მეთოდით მიღებული ინფორმაციაა.

თუმცა ჩრდილში რჩება ის ფაქტი, რომ ინტერვიუ, როგორც სხვა ემპირიული მეთოდები, გამოიყენება მხოლოდ პირველადი ინფორმაციის მისაღებად, რაც აუცილებელია არა მხოლოდ საინფორმაციო, არამედ ანალიტიკური გამოსვლებისთვისაც. ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით მიღებული ინფორმაცია შეიძლება იყოს ტრანსფორმირებული და წარმოდგენილი, მაგალითად გაზეთში კორესპონდენციის, რეპლიკის ან სტატიის სახით. ეს იმას ნიშნავს, რომ ინფორმაციის შეგროვების დროს აღნიშნული მეთოდის გამოყენება არ ქმნის ავტომატურად ინტერვიუს ჟანრს. ამ მეთოდის გამოყენებამ შეიძლება განაპირობოს პუბლიკაციის დიალოგიური და კითხვა-პასუხის ფორმა.

ამ დომინანტური თვისებით ტექსტს შეიძლება ეწოდოს ინტერვიუ. მაგრამ იმას, რომელ ჟანრს შეიძლება მიეკუთვნოს კონკრეტული ინტერვიუ - ინფორმაციულს თუ ანალიტიკურს - განსაზღვრავს ტექსტის შინაარსი. თუ ინფორმაციულ ინტერვიუში არის მხოლოდ ფაქტები და გაცემულია პასუხი კითხვებზე: რა? სად? როდის?, ანალიტიკურ ინტერვიუში, გარდა ამისა, არის ფაქტის ანალიზი და ყურადღება გამახვილებულია კითხვებზე: რატომ? როგორ? ეს რას ნიშნავს? და ა.შ. ანალიტიკური ინტერვიუს ავტორის მიზანია, შექმნას ანალიზის მიმართულება, რომელსაც განახორციელებს თვით რესპონდენტი. ამ მიზნით კითხვები დასმულია ისე, რომ შესაძლებელი ხდება რომელიმე პროცესის, მოვლენის თუ სიტუაციის ძირითადი მომენტების გაშუქება.

მ. ლუკინა (2003) არსებული მიზნებიდან გამომდინარე გამოყოფს ინტერვიუს, როგორც ინფორმაციის მოპოვების მეთოდის შემდეგ სახეებს:

*საინფორმაციო ინტერვიუ* ყველაზე ხშირად გამოყენებადი სახეა, რომლის მიზანია ინფორმაციის მიღება ახალი ამბებისათვის. დროის მკაცრი სტანდარტების გამო ასეთი ინტერვიუ გამოირჩევა ძალზე დინამიური ტემპით.

ტიპური საინფორმაციო ინტერვიუს ხერხემალს წარმოადგენენ კითხვები: რა? სად? როდის? რატომ? რისთვის?. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა საკმარისია საინფორმაციო ინტერვიუს შესაქმნელად.

ოპერატიული ინტერვიუ ინფორმაციული ინტერვიუს სახეობაა, მხოლოდ უფრო შეკუმშულ ვარიანტში. რაიმე მნიშვნელოვანი შემთხვევისას, ადგილზე მისული ჟურნალისტები ცდილობენ მომხდარის უშუალო მონაწილის, დაზარალებულის, თვითმხილველის ან თუნდაც ექსპერტისაგან ოპერატიულ რეჟიმში მიიღონ რაიმე ცნობა მომხდარის შესახებ. რესპონდენტისაგან ასეთი გზით მიღებული ინფორმაცია ასევე ოპერატიულად მიეწოდება საზოგადოებას მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით.

ბლიც გამოკითხვა ან გამოკითხვა ქუჩაში - ასეთი ინტერვიუს მიზანია აზრების შეგროვება-დაფიქსირება ერთ კონკრეტულ და, როგორც წესი, ვიწრო სპეციფიკურ საკითხზე. ინგლისურად მას უწოდებენ *street talk*, ასევე ხშირად გამოიყენებენ ლათინურ ვარიანტს *vox pop*. ასეთი ინტერვიუსთვის დამახასიათებელია ერთნაირი, ფიქსირებული კითხვების დასმა რესპონდენტების მაქსიმალურად დიდი რაოდენობისთვის, ერთი ან სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებისთვის.

ინტერვიუ-გამოძიება, როგორც წესი, ტარდება რომელიმე მოვლენის ღრმა შესწავლის მიზნით, მისი ორგანიზება ხდება საფუძვლიანად და არ არის შეზღუდული დროში, თუმცა არსებობს გარკვეული კალენდარული გეგმა. გამოძიების საგანი შეიძლება იყოს რთული და საწინააღმდეგო. ამიტომაც ხშირად იყენებენ კომბინირებულ მეთოდებს. ძალიან მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს დასახულ მიზნებსა და ამოცანებზე წინასწარ მუშაობას. შესწავლილი უნდა იქნეს ყველა წყარო და ზეპირი მტკიცებულება, საუბრის სტრატეგია უნდა იყოს კარგად მოფიქრებული. ყველაზე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს კითხვები. თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნიკაციის სხვა ელემენტებსაც - პირველ კონტაქტს, საუბრის არავერბალურ ფორმებს, მოსმენას. ინტერვიუ-გამოძიებაში შეიძლება ჩართულ იქნეს სხვადასხვა სოციალური როლისა და ტემპერამენტის მქონე

რამდენიმე პერსონაჟი. ყოველი მათგანისთვის უნდა არსებობდეს ინდივიდუალური მიდგომა.

ინტერვიუ-პორტრეტი ან პერსონალური ინტერვიუ (ე.წ. „პროფილი“)  
ფოკუსირებულია ერთ გმირზე, მაგრამ სასურველია წინასწარ ჩატარდეს არა ერთი შეხვედრა დაინტერესებულ, ახლობელ ადამიანებთან, ან, პირიქით, გარე დამკვირვებლებთან. ეს შეიძლება იყოს ადამიანი, რომელმაც წარმატებას მიაღწია საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფეროში და იწვევს ფართო პუბლიკის ინტერესს. უფრო იშვიათია ასეთი ტიპის ინტერვიუ ნაკლებად ცნობილ ადამიანებთან, რომლებმაც რომელიმე სფეროში გამოავლინეს საკუთარი თავი. დიდი დატვირთვა აქვს ყოფის, ინტერიერის, ჩაცმულობის დეტალებს, გმირის საუბრის მანერას, ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რაც ქმნის ინდივიდუალობას და უნდა მიეწოდოს მკითხველს.

საუბარი, დიალოგი (კრეატიული ინტერვიუ) - ამ შემთხვევაში ჟურნალისტი არ არის მხოლოდ შუამავალი ინფორმაციის გადაცემის დროს, ის პროცესის უშუალო მონაწილეა და მისი ურთიერთობა რესპონდენტთან ქმნის საერთო პროცესს. ამ პროცესის შედეგად იქმნება ინფორმაციული პროდუქტი, რომელიც ახლოა მხატვრულ ჟანრთან და შეიძლება ასახულ იქნეს ესეში ან მხატვრულ ჩანახატში. ასეთი ინტერვიუს მთავარი პირობაა - ჟურნალისტის დიდი პროფესიული გამოცდილება და პროფესიული რეპუტაცია. მეორე პირობაა - რესპონდენტზე გაკეთებული სწორი არჩევანი, რომელიც თავისი უნარით, სოციალური სტატუსითა და ქმედებით დაეხმარება ჟურნალისტს უფრო ღრმად შევიდეს კონტაქტში, რაც მას საშუალებას მისცემს წარმოაჩინოს საზოგადოებისთვის საინტერესო მხარეები (ლუკინა 2003:14).

საუბრის საგნის მიხედვით მ. შოსტაკი (1998:56) გამოყოფს კლასიკური ინტერვიუს შემდეგ ტიპებს:

ინფორმაციული ინტერვიუ - საუბრის მთავარი საგანია ახალი ფაქტები. ინტერესი რესპონდენტის პიროვნების მიმართ მაქსიმალურად შემცირებულია. ინფორმაციული ინტერვიუს მეორე ვარიანტი - თვითმხილველებისა და მონაწილეთა გამოკითხვა: ეს როდის მოხდა? ზოგჯერ წარმოდგენილია ინტერვიუს სახით

რეპორტაჟის ელემენტებით.

საექსპერტო ინტერვიუ ინტერვიუს განსაკუთრებული ნაირსახეობაა, რომელშიც რესპონდენტების შერჩევა ხორციელდება კომპეტენტურობის მიხედვით. იგი გამოიყენება სოციალური მოვლენების და პროცესების ინტერპრეტაციისათვის, ჰიპოთეზების დასაზუსტებლად. აუცილებელია დასმულ შეკითხვებზე სრული პასუხების მიღება. ექსპერტების გამოკითხვა არ შეიძლება იყოს ანონიმური, ან შეიცავდეს ე.წ. „შეკითხვების მახეებს“. გამოკითხვის ჩასატარებლად ჟურნალისტს უნდა გააჩნდეს სათანადო კომპეტენცია აღნიშნულ საკითხში, ის უნდა ფლობდეს პროფესიულ ტერმინოლოგიას. აუცილებელია ყურადღება მცირე დეტალების მიმართ. საჭიროა აქცენტირება ყოველი ექსპერტის აზრზე, როდესაც მასიური გამოკითხვისას რესპონდენტებს აცნობებენ, რომ მიღებული მონაცემები შეტანილი იქნება სტატისტიკურ ცხრილში.

პრობლემური ინტერვიუს განხილვის მთავარი საგანი - აზრები და აზრების წყაროების შედარებაა (შოსტაკი 1998:58). პრობლემური ინტერვიუ - ინტერვიუს სხვა ტიპებთან შედარებით ერთ-ერთი ყველაზე რთული ტიპია, ჟურნალისტმა წინასწარ უნდა მოიფიქროს საუბრის ძირითადი თეზისები, საკუთარი კითხვები და მოსაუბრეთა სავარაუდო კონტრარგუმენტები, მათი რეაქცია მის კითხვებზე და საკუთარი - მათ პასუხებზე. ასეთი ინტერვიუ ასახავს მოაზრეთა დიალოგს, თუმცა უფრო ხშირად ის კრიტიკული მიმართულებისაა.

ინტერვიუ-„გაცნობა“ თავის მხრივ იყოფა:

- პორტრეტული ინტერვიუ. მისი მიზანია მოსაუბრის ემოციური და ფსიქოლოგიური პორტრეტის შედგენა. თუკი ჟურნალისტს სურს რომელიმე გამოჩენილ ადამიანზე წარმოდგენა ინტერვიუთი შეუქმნას მკითხველს, საჭიროა წინასწარ მოიპოვოს ინფორმაცია რესპონდენტზე, რათა შეხვედრამდე შეიქმნას შთაბეჭდილება ობიექტზე, შეძლოს კითხვების მომზადება და გაუგებარი დეტალების დაზუსტება. ასეთი მოსამზადებელი სამუშაო, საბოლოო ჯამში, მასალას უფრო მრავალფეროვანს ხდის. ჟურნალისტმა უნდა წარუდგინოს მკითხველს რაც შეიძლება ბევრი დეტალი ობიექტზე, ხაზი გაუსვას კითხვებს, რომლებიც დაეხმარება მის დახასიათებაში. მთავარი სტიმული არაორდინარული პიროვნებაა, ადამიანი,

რომელიც საინტერესოა ყველასთვის.

- *გამოვლენითი (ანტიგმირით) ინტერვიუს* შემთხვევაში საჭიროა შეკითხვები, რომლებიც განაპირობებენ გმირის სახის გამოვლენას. ასეთი ინტერვიუსთვის დამახასიათებელია მიზნობრიობა, ჟურნალისტმა უნდა გადალახოს სავარაუდო წინააღმდეგობა მოსაუბრის მხრიდან გამოხატული მის სურვილში, დამალოს ან დაამახინჯოს ფაქტები. ჟურნალისტმა უნდა შეძლოს ისე დაუსვას შეკითხვა მოსაუბრეს, რომ აიძულოს იგი ალაპარაკდეს მისთვის ჩვეული ენით და ტონით.

- *„ვარსკვლავური“ ინტერვიუ* (როგორც წესი, მოსაუბრე ძალიან ცნობილი პიროვნებაა). ასეთი ტიპის ინტერვიუ ყველაზე მეტად შეიცავს თამაშის ელემენტებს. მას განსაზღვრავენ როგორც „სიტყვიერ ფარიკაობას“. როგორც წესი, ის ეხმარება რესპონდენტის იმიჯის განმტკიცებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მნიშვნელოვან წვრილმანებსა და ბიოგრაფიის საინტერესო დეტალებს (ibid.: 56-60).

კომპოზიციის თავისებურებებიდან და ინტერვიუს გამოხატვის ფორმიდან გამომდინარე გამოიყოფა მისი რამდენიმე სახეობა. ინტერვიუს კლასიფიკაცია მისი ფორმის მიხედვით ყველაზე მრავალრიცხოვანია კლასიკურ ლიტერატურაში, თუმცა მკვლევრები გამოყოფენ ინტერვიუს ტიპების სხვადასხვა რაოდენობას. ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული კლასიფიკაცია მოცემულია ნ. ბოგდანოვისა და ბ. ვიაზემსკის „*ჟურნალისტის ცნობარში*“ (ბოგდანოვი, ვიაზემსკი 1971:265): *ინტერვიუ-დიალოგი, ინტერვიუ-მონოლოგი, კოლექტიური ინტერვიუ, ინტერვიუ ჩანახატი და ანკეტა*. ინტერვიუს ამ სახეობებს გამოყოფენ სხვა ავტორებიც, ამიტომ მათ განვიხილავ უფრო ვრცლად.

*ინტერვიუ-დიალოგი* – ინტერვიუ-დიალოგის ფორმა ორი ან რამდენიმე სუბიექტის საუბარს გულისხმობს. დიალოგის წარმატებულად წარმართვა ორთავე სუბიექტის - ჟურნალისტისა და რესპონდენტის მომზადებაზე და პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. ეს ინტერვიუს ყველაზე გავრცელებული სახეა. იგი საუბარს ჰგავს. ამ სახის ინტერვიუს იდენტიფიცირება საკმაოდ რთულია, რადგან ფორმალურად გამოხატულია მთელი რიგი შეკითხვებითა და პასუხებით. მსგავსი მახასიათებლები აქვს საუბარს. ბ. სტრელცოვს საუბარი წარმოდგენილი აქვს,

როგორც ინტერვიუს ნაირსახეობა დიალოგთან, მონოლოგთან და სხვა სახეობებთან ერთად (სტრელცოვი 1990:51). ვიზიარებ ბ. სტრელცოვის აზრს, რომელიც თვლის, რომ ინტერვიუ-საუბარი არის ინტერვიუ-დიალოგის სინონიმი.

ინტერვიუ მონოლოგი - ინტერვიუ მონოლოგს მხოლოდ რესპონდენტი წარმართავს ჟურნალისტის მიერ დასმული ერთი კონკრეტული საკითხის ირგვლივ. ინტერვიუ მონოლოგი კომენტარს წააგავს, თუმცა, კომენტარისგან განსხვავებით, ის უფრო ვრცელია. ინტერვიუ-მონოლოგის ტექსტი ფორმალურად დანაწილებული არ არის, მის დასაწყისში მოცემულია ჟურნალისტის შეკითხვა, რომელიც განსაზღვრავს საუბრის თემას, შემდეგ მოდის რესპონდენტის ვრცელი მონოლოგი. ასეთი წყობა არ მეტყველებს იმაზე, რომ საუბრის პროცესში ჟურნალისტი არ უსვამდა შეკითხვებს რესპონდენტს, ან არ წყვეტდა საუბარს. გაზეთების ფურცლებზე ინტერვიუს ასეთი ტიპი უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე ინტერვიუ-დიალოგი, რადგან ტექსტის გრძელი ფრაგმენტი აძნელებს კითხვას. ასეთი ფორმით ხშირად აქვეყნებენ პოლიტიკოსების სარეკლამო ინტერვიუებს, საწარმოების ხელმძღვანელების ინტერვიუ-ანგარიშებს და ა.შ.

კოლექტიურ ინტერვიუს იღებენ ერთდროულად რამდენიმე პირისაგან, მას „მრგვალ მაგიდასაც“ უწოდებენ, როდესაც კითხვებზე პასუხობს ხან ერთი, ხან - მეორე რესპონდენტი. ხშირ შემთხვევაში ინტერვიუს ალება ხდება შემდეგი პრინციპით: „შეკითხვა - პასუხი1 - პასუხი2“. თუმცა შესაძლებელია ისეთი ვარიანტიც, როდესაც ჟურნალისტისთვის საინტერესო კითხვაზე პასუხობს რამდენიმე ადამიანი და მათ პასუხებს ერთმანეთს ადარებენ.

ასეთი ტიპის ინტერვიუს ბ. სტრელცოვი მიაკუთვნებს პრეს-კონფერენციებს და ბრიფინგს (ibid.:57). მაგრამ ეს არ არის ასე, რასაც ტექსტების ანალიზიც ადასტურებს, რადგან ასეთი ტიპის საუბარი ჟურნალისტსა და რესპონდენტს შორის აისახება გაზეთის ფურცლებზე ანგარიშის ჟანრის ფორმით. ავტორი აღნიშნავს, რომ გაზეთებში გამოჩნდა კოლექტიური ინტერვიუსა და ანგარიშის თავისებური ნაერთი, მაგრამ ასეთ ტექსტებში ანგარიშის თვისებები დომინირებს.

ინტერვიუ-ჩანახატისათვის დამახასიათებელი დეტალია საავტორო კომენტარების არსებობა. ჟურნალისტს აქვს საშუალება არა მხოლოდ დაუსვას

კითხვები, არამედ გამოხატოს საკუთარი აზრიც, გაუკეთოს კომენტარები ფაქტებს, რომლებზეც არის საუბარი, მოკლედ დაახასიათოს თანამოსაუბრე და შექმნას მისი სიტყვიერი პორტრეტი (გრაბელნიკოვი 2001:219).

ანკეტირება მასობრივი გამოკითხვის სახეობაა, რომელიც კითხვარის გამოყენებით წარიმართება. ანკეტირების დროს რესპონდენტი თვითონ კითხულობს შეკითხვებს კითხვარიდან და თავადვე აღნიშნავს პასუხებს, რომლებიც მის აზრს შეესაბამება, ეს თავისებური დაუსწრებელი საუბარია მკითხველთან, სოციოლოგიური გამოკითხვა, რომელიც ასახავს საზოგადოებრივ აზრს რომელიმე კითხვაზე (ibid. 219). ბოლო დროს გაზეთებში გამოჩნდა ინტერვიუ ცნობარის სახით, გამოყოფილი ცალკე ბლოკად. ასეთი ანკეტა წარმოადგენს მოკლე პასუხებს კითხვებზე: „თქვენი საყვარელი მანქანა/სუნამო?“ რომლებიც ყველასთვის სტანდარტულია.

ვ. ვოროშილოვი (1999) და ა. გრაბელნიკოვი (2001) გამოყოფენ ინტერვიუ-მოსაზრებას. ეს არის კომპეტენტური სახის ვრცელი კომენტარი რომელიმე პრობლემაზე, მოვლენაზე ან ფაქტზე. როგორც წესი, ასეთი ტიპის ინტერვიუ იბეჭდება ძირითად ინტერვიუსთან, ანალიტიკურ სტატიასთან, რეპორტაჟთან ერთად, მაგრამ ფორმალურად მის სტრუქტურაში არ შედიან.

ზოგიერთი ავტორი (ვაკუროვი et al 1978; გრაბელნიკოვი 2001) გამოყოფს ინტერვიუ-შეტყობინებას, მასში პასუხები მოცემულია მოკლედ, ან გადმოცემულია ჟურნალისტის სიტყვებით. ინტერვიუს ეს ფორმა ძალიან ჰგავს ანგარიშის ფორმას, ამიტომ მისი გამოყოფა ცალკე ჟანრად საკამათოა.

ცალკე უნდა ითქვას ისეთ ინტერვიუზე, როდესაც შეკითხვებს უსვამენ უშუალოდ მკითხველებს. პირველ რიგში ეს პირდაპირი ხაზის ფორმაა, სადაც მკითხველებს შეკითხვებს უსვამენ სატელეფონო კავშირის საშუალებით, ხდება პასუხების დამუშავება. არსებობს ინტერვიუ წერილებით ხელში. ასეთი ტიპის ინტერვიუ ხშირად ქვეყნდება ადგილობრივ გამოცემებში, და მკითხველები შეკითხვებს უსვამენ ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს, კომპეტენტურ სახეებს. როგორც წესი, პასუხებს მოჰყვება მოპასუხის სახელი, გვარი და თანამდებობა, რაც ხაზს უსვამს პასუხის ოფიციალურობასა და ობიექტურობას.

შეიძლება ითქვას, რომ ინტერვიუს ჟანრის განვითარებამ გამოიწვია მისი სხვადასხვა ტიპის გამოყოფა, რაც მის მრავალფეროვან კლასიფიკაციაში აისახა. ამ კლასიფიკაციათა ანალიზი მოცემული ჟანრის თავისებურებების გამოვლენის საშუალებას იძლევა. შეტყობინების მიზანი და საგანი აისახება ინტერვიუს სახეების სხვადასხვაგვარ დაყოფაში.

ინტერვიუს კომპოზიცია დამოკიდებულია კითხვებზე და მათ შორის არსებულ კავშირებზე. ერთმანეთისაგან განარჩევენ კომპოზიციის ორ ტიპს - თავისუფალს, როდესაც კითხვების თანმიმდევრობა თვითნებურია და იმპროვიზებულს, როდესაც შეუძლებელია კითხვების გადაადგილება, რადგან ერთი გამომდინარეობს მეორესგან. კომპოზიცია თავის მხვრივ გავლენას ახდენს ინტერვიუს ფორმაზე და შესაბამისად, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არსებობს ინტერვიუ-დიალოგი (საუბარი), ინტერვიუ-მონოლოგი, კოლექტიური ინტერვიუ, ინტერვიუ-ჩანახატი, ანკეტები, ინტერვიუ-აზრები, ინტერვიუ-შეტყობინებები, ინტერვიუ წერილებით ხელში, პირდაპირი ხაზები და ა. შ.

ინტერვიუს სახეობების ასეთი მრავალფეროვნება წარმოდგენილია ქართული გაზეთების ფურცლებზეც. თუმცა, მთელი რიგი გამოცემებისა უპირატესობას ანიჭებს ინტერვიუს ამა თუ იმ ტიპს.

ამგვარად, ინტერვიუ გამოირჩევა ფორმათა მრავალსახეობით, რომლებიც საშუალებას აძლევს მასობრივ საინფორმაციო საშუალებას საზოგადოებას მიაწოდოს აზრები, ფაქტები, მოკლედ ან ვრცლად განიხილოს რომელიმე საკითხი.

ინტერვიუ ერთ-ერთი ურთულესი ჟანრია, მისი დანიშნულებაა საზოგადოებრივი აზრის გამოხატვა, საიმედო წყაროებიდან მნიშვნელოვანი ამბების გადმოცემა, რესპონდენტის პიროვნების წარმოჩენა.

ინტერვიუში გარკვეული სპეციფიკა აქვს კომუნიკაციურ მიზანს, ავტორის და ადრესატის სახეს, წარსულისა და მომავლის ფაქტორს, რომლებიც გამოიხატება გარკვეულ კომუნიკაციურ სიტუაციაში მასმედიის ფარგლებში.



### 2.2.1. ინტერვიუ - პუბლიცისტიკის დიალოგური ჟანრი

პუბლიკაციები ერთმანეთისაგან განსხვავდება ფორმითა და შინაარსით. ყოველ კონკრეტულ ნაწარმოებს ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებანი, რაც მას სხვებისგან განასხვავებს. მსგავსი თვისებების მქონე პუბლიცისტური ტექსტები ერთიანდება პუბლიცისტურ ჟანრებად. ისინი ჯგუფდებიან ჟანრების მიხედვით დაყოფის მთელი რიგი პრინციპების საფუძველზე (ტერტიჩნი 2000). ჟურნალისტური ნაწარმოების ჟანრად მოიაზრება მისი შინაარსობრივ-თემატური მახასიათებლების, სინამდვილის აღწერის მანერის, კომპოზიციისა თუ სტილის თავისებურებანი. ამა თუ იმ ჟანრზე ჟურნალისტის არჩევანის შეჩერება დამოკიდებულია სწორედ ჟანრის ისეთ თვისებებზე, როგორებიცაა: მისი დანიშნულება, ობიექტი, საგანი და მეთოდი, გამომხატველობითი საშუალებები, სტილი და ავტორის როლი.

ინტერვიუ პუბლიცისტიკის დიალოგური ჟანრია. ეს განსაზღვრავს მის სტილს - თავისუფალს, ექსპრესიულს, ნათელს. ამასთანავე, იგი განაპირობებს ინფორმაციის გადაცემისა და მკითხველის მიერ მისი აღქმის სიზუსტეს. საკვლევი მასალის არჩევისას ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ჟანრად, ბევრი მკვლევრის აზრით, ინტერვიუ მიიჩნევა.

დიალოგურობა ნებისმიერი სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარულ ტექსტებისთვისაა დამახასიათებელი. დიალოგის ფორმები უხვადაა წარმოდგენილი სადისკუსიო, პოლემიკურ, ისე, როგორც მხატვრულ ტექსტებში. წინამდებარე კვლევისათვის დიალოგი საინტერესოა, როგორც პუბლიცისტიკის ჟანრ ინტერვიუს მთავარი მახასიათებელი. დიალოგურობის შესახებ საკითხი სწორედ პუბლიკაციებთან მიმართებაში განიხილება ხოლმე. იგივე შეიძლება ითქვას ინტერვიუზე.

ლ. შაიმიევა ერთმანეთისაგან მიჯნავს დიალოგურობის ორ გაგებას: პირველი გაგებით (დიალოგურობა-1) დიალოგურობაში იგულისხმება ტექსტისა და ზოგადად ენის თვისობრივი მახასიათებლები, მეორე გაგებით კი (დიალოგურობა-2) საუბარია დიალოგურობა-1-ის კონკრეტულ გამოვლინებაზე ტექსტების სხვადასხვა ტიპში, მათ შორის, ინტერვიუში (შაიმიევა 2011). დიალოგურობა-2, ლ. შაიმიევას აზრით, ეს არის კომუნიკაციის თავისებურებების პროეცირება ტექსტობრივ ბადეში, აქ იგულისხმება

არა მხოლოდ ტექსტის გამიზნულობა, არამედ კონკრეტული ენობრივი წარმონაქმნი როგორც კომუნიკანტების ურთიერთქმედების შედეგი სამეტყველო ქმედებისას. დიალოგურობა-2 მოიცავს კომუნიკაციის პრაგმატიკულ თავისებურებებს, საკომუნიკაციო მიზნებს - მეტყველების ტაქტიკასა და სტრატეგიას, კომუნიკაციის საშუალებას, კომუნიკანტთა ენობრივ და კულტურულ დონეს, ინფორმაციის აღქმის მექანიზმებს და ა.შ.

წერილობითი დიალოგური მეტყველება გაიგება, როგორც კომუნიკანტების აზრობრივი პოზიციების შეფარდება ადრესატის რეაქციის საშუალებით დიალოგის თვისობრივი ელემენტების ტექსტში ექსპლიციურების სახით. დიალოგურობა წერილობით ტექსტებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვადასხვაგვარად: კითხვა-პასუხის ჯაჭვით, პირდაპირი მიმართვით, მოქმედებისკენ (საპასუხო რეაქციისკენ) ბიძგით, შეფასებით და ა.შ. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ექსპლიციტურ დიალოგურობას ვხვდებით სწორედ დიალოგურ ტექსტებში, კერძოდ, ინტერვიუში. ინტერვიუს აგების ძირითადი პრინციპია დიალოგი. დიალოგური ტექსტი, ჩვეულებრივ, წარმოადგენს მოსაუბრეთა გამონათქვამ-რეპლიკათა მონაცვლეობას, სადაც ყოველი მომდევნო რეპლიკა თავისი შინაარსით ეყრდნობა წინას, მასზეა დამოკიდებული. რეპლიკათა ასეთ ჯაჭვს უწოდებენ დიალოგურ ერთიანობას და იგი დიალოგის მთავარ ერთეულად გვევლინება. გამოყოფენ დიალოგური ერთიანობის სხვადასხვა ტიპს: კითხვა-პასუხი, კითხვა-კონტრშეკითხვა და ა.შ. აქედან, საგაზეთო ინტერვიუს ტექსტებისთვის დამახასიათებელია დიალოგური ერთიანობა კითხვა-პასუხის სახით.

ყოველი სამეტყველო ქმედება, ინტერვიუს შემთხვევაში - დიალოგური ერთიანობა ცალკეული აქტებისაგან შედგება. თითოეული სამეტყველო აქტი ქმნის სოციალურ ველს, რომლის ძირითად კომპონენტებად გვევლინება ადრესანტი და ადრესატი. კომუნიკაციის პროცესში მოსაუბრეებს აქვთ მოტივი, გარკვეული საფუძველი, რომელიც მათ კომუნიკაციის აქტის რეალიზების სტიმულს აძლევს. ინტერვიუს შემთხვევაში ასეთი სტიმული შეიძლება იყოს ჟურნალისტის სამსახურებრივი მოვალეობა სოციალურ კონტაქტში შევიდეს მისთვის ან რედაქციისთვის საინტერესო კონკრეტულ პიროვნებასთან.

საუბრის დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკომუნიკაციო ინტენცია, ფონური ცოდნა და მოლოდინი (ალავიძე 2011:95). ინტერვიუში, რომელიც დიალოგურ მეტყველებას წარმოადგენს, მეტყველი სუბიექტის მოლოდინი ორიენტირებულია კომუნიკანტების ფონურ ცოდნაზე, მათ სოციალურ როლსა და ენობრივ კომპეტენციაზე, ანუ მხედველობაში მიიღება როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური მონაცემები.

გარდა ზემოთ მოყვანილი ასპექტებისა, ინტერვიუს, როგორც დიალოგურ მეტყველებას, ახასიათებს სპონტანურობა ანუ დაუგეგმაობა. ბუნებრივია, იგი მოიცავს და ეფუძნება დაგეგმილ მეტყველებას, რადგან ინტერვიუს წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ჟურნალისტის მზაობის დონეა. ჟურნალისტი წინასწარ აყალიბებს შეკითხვებს, თუმცა ისინი ინტერვიუს მსვლელობისას შეიძლება შეიცვალოს, გაჩნდეს ახალი შეკითხვები, რაც, ბუნებრივია, სპონტანური ხასიათისა იქნება. სპონტანური მეტყველება სამეტყველო სიტუაციით ან განსაზღვრული კონტექსტით არის განპირობებული.

ამრიგად, დიალოგი, როგორც ტექსტი, კომუნიკანტების მიერ იქმნება, რომელთაგან ერთი - ადრესანტი კომუნიკაციაში დებს ტექსტის განვითარების კონრეტულ პროგრამას, თავის ინტენციას, ხოლო მეორე - ადრესატი აქტიურად ებმება ამ პროგრამის განხორციელებაში, რჩება მის ფარგლებში, იძლევა რა რელევანტურ პასუხს.

დღესდღეობით, სამეტყველო ურთიერთობის პროცესების კვლევისას წამყვანი მნიშვნელობა პრაგმატიკული ასპექტების კვლევას ენიჭება, რადგან პრაგმატიკა კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციებს ითვალისწინებს და სწორედ ამიტომ ვთვლი, რომ პრაგმატიკული კვლევა მნიშვნელოვანია პუბლიცისტიკის დიალოგური ჟანრის - ინტერვიუს, როგორც კომუნიკაციის პროცესის, თავისებურების გამოვლენისათვის.

### 2.3. ინტერვიუ, როგორც კომუნიკაციის აქტი, სამეტყველო აქტთა თეორიის პრიზმაში


ინტერვიუს, როგორც კომუნიკაციის პროცესის თავისებურებას მისი ორპლანიანობა წარმოადგენს. სანამ უშუალოდ ამ საკითხის გარკვევას შევუდგებოდე, საჭიროდ მივიჩნევ შევჩერდე კომუნიკაციის ცნების რაობაზე თანამედროვე კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში და კომუნიკაციის ინტერაქციულ მოდელზე, რომლის მიხედვით განვიხილავ ინტერვიუს, როგორც კომუნიკაციის აქტს.

თანამედროვე ლინგვისტიკა კომუნიკაციური ლინგვისტიკაა (ლეზანიძე 2004:148-149), ამიტომ, კომუნიკაციის ცნების განსაზღვრას და კვლევას დიდი ყურადღება ეთმობა თანამედროვე ენათმეცნიერებაში. ენისა და კომუნიკაციის ურთიერთმიმართების კვლევის პროცესში რამდენიმე მოდელი შეიქმნა. ამ მოდელებიდან კვლევისათვის საინტერესოა კომუნიკაციის ინტერაქციული მოდელი, რომელიც თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებაში დომინანტური კომუნიკაციურ პარადიგმის ფარგლებში შეიქმნა. ამ პარადიგმის თანახმად, კომუნიკაციის პროცესი წარმოადგენს ადამიანური აქტივობის ერთ-ერთ გამოვლინებას და ამდენად, თავის შინაარსისეულ სტრუქტურას იგი იღებს გარედან, უფრო ფართო ადამიანური კონტექსტიდან (ibid.:219). ამრიგად, „ინტერაქციული მოდელი წინა პლანზე წამოსწევს ურთიერთქმედებას, რომელიც მოქცეულია სიტუაციის სოციალურ-კულტურულ პირობებში. აქ ყურადღება გამახვილებულია კომუნიკაციის, როგორც ქცევის სხვადასხვა ასპექტზე“ (ნიჟარაძე 2010:18).

კომუნიკაციური პარადიგმა ყურადღების კონცენტრირებას ახდენს ადამიანზე, რომელიც დანახულია ენობრივი თვალსაზრისით. კომუნიკაციის ცნებაში იგულისხმება ის, რომ ადამიანი არის კომუნიკაციის აქტის მონაწილე, ამდენად, შეიძლება ვილაპარაკოთ ანთროპოცენტრიზმზე. „თანამედროვე ლინგვისტიკა ანთროპოცენტრისტულია იმდენად, რამდენადაც მასში წამყვან როლს ასრულებს პრაგმატიკა, რომელიც იკვლევს ადამიანს, როგორც კომუნიკაციის სუბიექტს“ (ლეზანიძე 2004:319).

კომუნიკაციის განახლებული გაგებით კომუნიკაციის ცნებაში იგულისხმება მინიმუმ ორი სუბიექტი, ე.ი. არის არა მარტო სუბიექტურობა, არამედ ინტერსუბიექტურობაც. ენა, რომელიც მეტყველებამდე ეკუთვნოდა ერს, როგორც სუბიექტს, მეტყველების პროცესში იქცევა კომუნიკაციაში მონაწილე სუბიექტთა „საკუთრებად“ (ibid.:46), სადაც უკვე ენა არსებობს ინტერსუბიექტურობის სივრცეში. გარდა ამისა, ფიქსირდება მიმართება არა მარტო ორ სუბიექტს შორის, არამედ მეტყველ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის. ამ შემთხვევაში სახეზეა შემდეგი სტრუქტურა: ინტერსუბიექტური მიმართება, მიმართება მეტყველ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის, მიმართება მსმენელ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის. ეს მიმართებები ასე შეიძლება გამოისახოს:

სქემა №1



ინტერვიუ არის კომუნიკაციის ერთ-ერთი სახე, განხორციელებული ინტერაქციული მოდელი. თუ კომუნიკაცია განისაზღვრება, როგორც პროცესი, რომლის დროსაც ინდივიდები გადასცემენ ინფორმაციას, აზრებს, მაშინ ასეთი ინფორმაციის გადაცემის პროცესი იდენტურია ინტერვიუს, როგორც კომუნიკაციის პროცესისა. ინტერვიუ მასობრივი კომუნიკაციის სახეა, რომლის დროსაც რედაქცია მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ახდენს ინფორმაციის (მოპოვებულის ჟურნალისტის მიერ) გადაცემას ფართო აუდიტორიაზე, მასებზე.

შეტყობინება წარმოადგენს კოდირებულ ინფორმაციას, რაც ადრესატს უნდა გადაეცეს. ინფორმაციის კოდირება ხდება სიმბოლოებით, როგორც აზრის

გამოხატვის საშუალებებით. აქ ძირითადად იგულისხმება ენობრივი სიმბოლოები - სემიოტიკური ნიშნები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ინტერაქციული მოდელის მიხედვით კომუნიკაციის წარმატებისთვის არასაკმარისია კომუნიკანტებს ჰქონდეთ საერთო ენობრივი კოდი. აქ მიზნის მიღწევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ცოდნისა და უნარ-ჩვევების ის ერთობლიობა, რომელიც გულისხმობს კოდის ფლობას, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით. ის ცნება, რომელიც, ალბათ, ყველაზე უკეთ ასახავს ამ ერთობლიობას, არის საკომუნიკაციო კომპეტენცია" (ნიჟარაძე 2010:19).

აქვე უნდა შევნიშნო, რომ ჩემ მიერ ინტერვიუ განიხილება არა როგორც ტექსტი ზოგადად, არამედ როგორც მედიატექსტი (ტერმინი ეკუთვნის ტ. დობროსკლონსკაიას (დობროსკლონსკაია 2008)). მედიატექსტის შემთხვევაში ტექსტის ზოგადი განმარტება ფართოვდება. იგი გამოდის ვერბალური დონის ნიშნობრივი სისტემის ფარგლებიდან. საკუთრივ ტექსტის თვისებებთან ერთად მას ახასიათებს ამა თუ იმ მასობრივი საინფორმაციო საშუალებისათვის დამახასიათებელი თვისებები. მაგალითად, საგაზეთო ტექსტის აღქმის პროცესში ვერბალურ მხარეს ემატება გაზეთის გრაფიკული გაფორმება. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ინტერვიუს, როგორც შეტყობინების, სწორად დეკოდირების აუცილებელი წინაპირობა არის საკომუნიკაციო კომპეტენცია ფართო გაგებით.

კომუნიკაციის პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია გამოხმაურება. იგი სამეტყველო აქტთა თეორიაში შეიძლება შევუსაბამოთ პერლოკუციურ აქტს, რომელიც გულისხმობს კომუნიკაციის შედეგს, ეფექტს.

ამდენად, მასობრივი კომუნიკაცია შედგება შემდეგი კონკრეტული აქტებისაგან:


- ჟურნალისტის მიერ შეტყობინების ჩამოყალიბება-ფორმირება;
- რედაქციის მიერ შეტყობინების გადაცემა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებით;
- ფართო აუდიტორიაზე გავლენის მოხდენა.

მას შემდეგ, რაც ჩამოვყალიბე კომუნიკაციის რაობა და კერძოდ, მასობრივი კომუნიკაციის არსი, უკვე შეიძლება გავანალიზო ინტერვიუს, როგორც კომუნიკაციის

აქტის სპეციფიკა. აქ იკვეთება კომუნიკაციის ორმაგი პროცესი: ერთი მხრივ, კომუნიკაცია ჟურნალისტსა და რესპონდენტს შორის (კომუნიკაცია-1), მეორე მხრივ, კომუნიკაცია რედაქციასა და მკითხველს შორის (კომუნიკაცია-2). შესაბამისად, საუბარია კომუნიკაციის მიკრო და მაკრო დონეებზე. ეს ორპლანიანი პროცესი გრაფიკულად წარმოდგენილია სქემა №2-ზე; მისი კომპონენტების ანალიზი კი მოცემულია ცხრილ №2-ში.

სქემა №2

*ინტერვიუ როგორც კომუნიკაციის ორპლანიანი პროცესი*



ინტერვიუს, როგორც კომუნიკაციის ორპლანიანი პროცესის, კომპონენტების  
ანალიზი

<b>კომუნიკაციის აქტი-1<sup>2</sup></b> (მიკრო დონე)	ჟურნალისტის მიერ რესპონდენტისგან ინტერვიუს აღება
<b>კომუნიკაციის აქტი-2</b> (მაკრო დონე)	რედაქციის მიერ მომზადებული მასალის (ჟურნალისტური ინტერვიუს) მკითხველზე მიწოდება
<b>ადრესანტი-1</b>	ჟურნალისტი
<b>ადრესანტი-2</b>	რედაქცია
<b>ადრესატი-1</b>	რესპონდენტი
<b>ადრესატი-2</b>	მკითხველი
<b>შეტყობინება-1</b>	ჟურნალისტის შეკითხვები რესპონდენტს
<b>შეტყობინება-2</b>	ინტერვიუ (რედაქციის მიერ მკითხველზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით გამოქვეყნებული ინტერვიუ)
<b>კომუნიკაციის არხი-1</b>	ზეპირი ან წერილობითი (იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ინტერვიუსთან გვაქვს საქმე - ზეპირთან თუ წერილობითთან)
<b>კომუნიკაციის არხი-2</b>	მასობრივი საინფორმაციო საშუალება
<b>გამოხმაურება-1</b>	რესპონდენტის პასუხები ჟურნალისტს (ეს ელემენტი შეტყობინება-1-თან ერთად ქმნის დიალოგურობას - ინტერვიუს, როგორც ჟანრის და ტექსტის მთავარ მახასიათებელს)
<b>გამოხმაურება-2</b>	ეს ელემენტი ჩვეულებრივ არ არის წარმოდგენილი, თუმცა იშვიათად ეს შეიძლება იყოს „წერილი რედაქტორს“, საპასუხო სტატია ან თუნდაც, ზეპირსიტყვიერი გამოხმაურება სხვა მასობრივი საინფორმაციო საშუალებით.

<sup>2</sup> შენიშვნა: კომუნიკაციის აქტებისა და მისი ელემენტების ნუმერაცია შეესაბამება რეალურ ქრონოლოგიას: კომუნიკაცია-1 ქრონოლოგიურად წინ უსწრებს კომუნიკაციის აქტ-2 -ს (ანუ ამზადებს შეტყობინება-2-ს - ინტერვიუს).



მაგალითისთვის წარმოვადგენ გაზეთ *The Independent*-ის 2009 წლის 14 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული ინტერვიუს კომპონენტების ანალიზს (ცხრილი №3):

ცხრილი №3

გაზეთ *The Independent*-ის 2009 წლის 14 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული ინტერვიუს კომპონენტების ანალიზი

<i>კომუნიკაციის აქტი-1 (მიკრო დონე)</i>	გაზეთ <i>The Independent</i> -ის ჟურნალისტის მიერ პოლიტიკოს ნიკ გრიფინისგან ინტერვიუს აღება
<i>კომუნიკაციის აქტი-2 (მაკრო დონე)</i>	გაზეთ <i>The Independent</i> -ის რედაქციის მიერ მომზადებული მასალის მკითხველზე მიწოდება
<i>ადრესანტი-1</i>	გაზეთ <i>The Independent</i> -ის ჟურნალისტი
<i>ადრესანტი-2</i>	გაზეთ <i>The Independent</i> -ის რედაქცია
<i>ადრესატი-1</i>	ბრიტანელი პოლიტიკოსი ნიკ გრიფინი
<i>ადრესატი-2</i>	მკითხველი
<i>შეტყობინება-1</i>	ჟურნალისტის შეკითხვები რესპონდენტს
<i>შეტყობინება-2</i>	მომზადებული ინტერვიუ
<i>კომუნიკაციის არხი-1</i>	ზეპირი
<i>კომუნიკაციის არხი-2</i>	გაზეთი <i>The Independent</i> -ის 2009 წლის 14 ივნისის ნომერი
<i>გამოხმაურება-1</i>	ნიკ გრიფინის პასუხები ჟურნალისტს
<i>გამოხმაურება-2</i>	არ არის წარმოდგენილი

წინამდებარე შეპირისპირებითი ლინგვოპრაგმატიკული ანალიზი ხდება სამეტყველო ჟანრ ინტერვიუს კომუნიკაციის ორივე - მიკრო და მაკრო დონეებზე. ანალიზის უშუალო ობიექტია ინტერვიუ, როგორც ორპლანიანი სამეტყველო აქტის - მაკრო დონის შემადგენელი ელემენტი - შეტყობინება-2. ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემებით კი ასევე ვიმსჯელებ მიკრო დონეზე, სადაც მოხდება კომუნიკაციის აქტ 1-ში ადრესატი 1-ის მიერ გაკეთებულ გამოხმაურება 1-ში პრაგმატიკული მარკერებით გამოხატული ილოკუციური ძალის ანალიზი.

ამრიგად, მთავარი თავისებურება, რაც ინტერვიუს პუბლიცისტიკის სხვა ჟანრებისაგან განასხვავებს, არის დიალოგურობა: იგი პუბლიცისტიკის დიალოგური ჟანრია. ინტერვიუს, როგორც კომუნიკაციის აქტს, ახასიათებს ორპლანიანობა, რაც

ბუნებრივია, მისი ელემენტების ორპლანიანობასაც განაპირობებს. ინტერვიუ რთული, მრავალკომპონენტური პროცესია, იგი ორმაგ კომუნიკაციას წარმოადგენს. მისი ეს თავისებურება განაპირობებს იმას, რომ ინტერვიუ, როგორც მედიატექსტი შეიძლება გახდეს ბევრი მრავალფეროვანი და საინტერესო ლინგვისტური კვლევის ობიექტი, მით უფრო, რომ საკვლევი მასალის არჩევისას, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ჟანრად, ბევრი მკვლევრის აზრით, ინტერვიუ მიიჩნევა. ამასთან, ინტერვიუს პრაგმატიკული თუ სხვა სახის ანალიზისას მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს ის ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურებანი, რაც ინტერვიუს საინტერესო კვლევის ობიექტად აქცევს.

#### **2.4. პოლიტიკური მედიადისკურსის ასპექტები**

თანამედროვე ენათმეცნიერებაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პოლიტიკური დისკურსის პრობლემებს. ეს იმით აიხსნება, რომ პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს ისეთ მოვლენას, რომელსაც საზოგადოებაში გაცილებით დიდი ხვედრითი წილი უჭირავს, ვიდრე დისკურსის სხვა სახეებს. პოლიტიკური კომუნიკაციის საკითხებით სულ უფრო და უფრო მეტი მეცნიერი ინტერესდება.

თანამედროვე ჰუმანიტარული კვლევების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს დისკურსის არსის მკაფიო განმარტება. ნ. თევდორამის მიერ წარმოდგენილი მნიშვნელობებიდან, რომლებითაც გამოიყენება ტერმინი „დისკურსი“, წინამდებარე კვლევისთვის საინტერესოა ის მნიშვნელობა, რომლითაც ტერმინი „დისკურსი“ გვხვდება სამეცნიერო პრაქტიკაში, რომ „დისკურსი არის გამონათქვამთა კომპლექსი, პროცესი და რეზულტატი კომუნიკაციური აქტისა..., ხოლო თავად ტექსტი არის დისკურსის პროდუქტი“ (თევდორამე 2010:57). აქ ავტორი ეყრდნობა ნ. არუთინოვას განმარტებას, რომ დისკურსი არის შეკავშირებული ტექსტი ექსტრალინგვისტური - პრაგმატიკული, სოციოკულტურული, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორების

გათვალისწინებით... ეს არის მეტყველება რომელიც განიხილება, როგორც მიზანმიმართული სოციალური ქმედება... (არუთინოვა 1990:136).

ამდენად, ლინგვისტური თვალსაზრისით დისკურსი თავის თავში მოიცავს ტექსტს, როგორც მეტყველებისა და იმ კონტექსტის ვერბალიზებულ შედეგს, რომელშიც იგი ფუნქციობს - იქნება ეს სიტუაციური, თუ კულტურული. როგორც ე. შეიგალი აღნიშნავს, ენა, როგორც აბსტრაქტულ ნიშანთა სისტემა, რეალურად არსებობს დისკურსის, უფრო სწორად, დისკურსების სახით... ურთიერთობა ყოველთვის აღწევს ადამიანური ქმედებების გარკვეულ სფეროში, გარკვეულ სოციალურ სივრცეში (შეიგალი 2004:15). ამიტომ, მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ დისკურსის სხვადასხვა ტიპზე - სამეცნიერო, მასმედიის, სამედიცინო, იურისპრუდენციის, ეკონომიკურ და ა. შ. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დისკურსი იქმნება ურთიერთობის კონკრეტულ სიტუაციაში, სადაც ინტერაქტანტებს გარკვეული სოციალური როლები აქვთ, გამოყოფენ ორი ტიპის დისკურსს - პიროვნულს და ინსტიტუციონალურს. ინსტიტუციონალური დისკურსი წარმოადგენს სტატუსისა და როლების დაწესებულ ჩარჩოებში მოქცეულ ურთიერთობას და ხასიათდება ორი ნიშნით - მიზნითა და ინტერაქტანტებით (კარასიკი 2000:11). იგი მოცემული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლების ურთიერთობის შედეგია. სწორედ ამ უკანასკნელს მიეკუთვნება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების პოლიტიკური დისკურსი, გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკური დისკურსი ისე, როგორც მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დისკურსი ცალ-ცალკე ინსტიტუციონალური დისკურსის ტიპებად განიხილება.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებები თანამედროვე საზოგადოებაში თავიანთი ფუნქციებით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, რომელთაგან აღსანიშნავია ინფორმაციული და რეგულაციის ფუნქციები. ინფორმაციული ფუნქცია შეიძლება ამ ორს შორის ძირითადად ჩავთვალოთ, რამდენადაც იგი სოციუმის თითოეულ წევრში რეალიზდება. არ არსებობს სოციუმის წევრი ინდივიდი, რომელიც შეიძლება საინფორმაციო ვაკუუმში ცხოვრობდეს. ამის მიუხედავად, ვერ უგულვებელყოფთ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, როგორც საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და დამარწმუნებელი ზემოქმედების საშუალების როლს. ეს როლი

უფრო მეტად თვალსაჩინო ხდება მის სოციალურ, ენობრივ თუ სოციოკულტურულ პლანში კვლევის შედეგად. მასმედიის ამ როლით კარგად მანიპულირებს პოლიტიკა საზოგადოებასთან კომუნიკაციისას. შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად, ამ საკითხის თითქმის ყველა მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ XX საუკუნის ბოლო ათწლეულის შემდეგ, მასმედია გახდა გავლენიანი პოლიტიკური იარაღი ბევრ დასავლურ ქვეყანაში, რაც ტექნიკური შესაძლებლობების ზრდასთან ერთად გახდა შესაძლებელი.

პოლიტიკური კომუნიკაციის ფუნქციაა იდეების პროპაგანდა და ხელისუფლებისათვის ბრძოლა საზოგადოებაზე ზემოქმედების მოხდენით. „პოლიტიკური კომუნიკაცია რთული მექანიზმია, რომელიც, ერთი მხრივ, ასახავს, პოლიტიკურ რეალობას, არსებულს მოცემულ პერიოდში ამა თუ იმ საზოგადოებაში, მეორე მხრივ, ახდენს მასზე არსებით გავლენას, ცვლის მას და იცვლება მასთან ერთად" (ხახუტაიშვილი 2012).

პოლიტიკური კომუნიკაცია იმდენად იწოდება მასმედიის დისკურსად, რამდენადაც თანამედროვე სამყაროში პოლიტიკოსებს ნაკლებად აქვთ პირდაპირი კონტაქტი მოსახლეობასთან. ისინი ხალხთან, მასებთან კავშირს მედიის საშუალებით ამყარებენ. ამიტომ, პოლიტიკური დისკურსი ძირითადად წარმოდგენილია და გადაიცემა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით. პოლიტიკური ძალები აქტიურად იყენებენ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს თავიანთი გამოსვლებისას პირდაპირი (ინტერვიუ, განცხადებები, საავტორო სტატიები) თუ საშუამავლო (ჟურნალისტური სტატიები) გზით.

მასმედიის დისკურსში ჟურნალისტები ფუნქციობენ, როგორც პოლიტიკოსებსა და მასობრივ აუდიტორიას შორის შუამდგომელი რგოლი. ვინაიდან მასობრივ აუდიტორიას არა აქვს საშუალება პირდაპირ ადევნოს თვალყური პოლიტიკაში მიმდინარე იმ პროცესებს და გადაწყვეტილებებს, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებას ეხება, ამიტომ ჟურნალისტები იღებენ თავზე აღნიშნულ ფუნქციას და ამასთან, აყალიბებენ საზოგადოებრივ აზრს; ე.ი. მასობრივი კომუნიკაცია არის, პრაქტიკულად, პოლიტიკასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის ერთადერთი საშუალება.

ამდენად, პოლიტიკასა და მასმედიას შორის ჩამოყალიბდა ურთიერთსასარგებლო ერთობა: თუ პოლიტიკოსისთვის აუცილებელია ხალხთან, ამომრჩეველთან ურთიერთობის საშუალება, ჟურნალისტისთვის საჭიროა მისთვის საინტერესო ინფორმაციის წყარო. ორივე მათგანი - პოლიტიკოსიც და ჟურნალისტიც თავიანთი ინტერესებისთვის იყენებს მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს. ამდენად, ადგილი აქვს მჭიდრო თანამშრომლობას პოლიტიკურ სამყაროსა და მასმედიას შორის. ეს კავშირი აშკარაა და, როგორც უკვე აღინიშნა, იპყრობს კიდევ მკვლევართა ყურადღებას.

მასმედიისა და პოლიტიკური დისკურსები გარკვეულ ასპექტებში კვეთენ ერთმანეთს, რამდენადაც მათ გარკვეული საერთო თვისებები გააჩნიათ. მაგალითად, პოლიტიკოსის გამოსვლა პოლიტიკურ დისკურსს წარმოადგენს, მისი ტელეტრანსლაცია კი - მასმედიის პოლიტიკური დისკურსია; მიმდინარე განათლების რეფორმის შესახებ პრესკონფერენცია პოლიტიკური დისკურსია, ხოლო გაზეთში დაბეჭდილი ინტერვიუ იმავე საკითხზე - მასმედიის პოლიტიკური დისკურსი. ამგვარად, მასმედიის პოლიტიკური დისკურსი მოიცავს როგორც მასმედიის, ისე პოლიტიკურ დისკურსსაც. აქედან შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ მასმედიის პოლიტიკური დისკურსი რთული კომუნიკაციური მოვლენაა, რომლის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე ძალაუფლებისათვის ბრძოლა. იგი გულისხმობს ტექსტს, როგორც მეტყველების ვერბალიზებულ შედეგს, კონტექსტს, როგორც სიტუაციურს, ასევე სოციოკულტურულსა და პრაგმატიკულს, ასევე სპეციალურ ენობრივ საშუალებებს, რომლებიც დისკურსის მიზნებსა და ამოცანებს შეესაბამება (ნიკიტინა 2006:3).

სამეცნიერო ანალიზი საშუალებას იძლევა ყოველ სამეტყველო აქტში დავინახოთ გარკვეული არასამეტყველო მიზნის მიღწევის პროცესი, რომელიც, საბოლოო ჯამში, შეესაბამება კომუნიკანტთა ქმედებების რეგულაციებს. იქიდან გამომდინარე, რომ ყოველი ქმედება, მათ შორის საინფორმაციო პლანისა, გარკვეულწილად მიზანმიმართულია, ყოველგვარი ინფორმაცია გარკვეული მიზნით ზემოქმედებას ახდენს აუდიტორიაზე. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები მიმართულია მკითხველის, მსმენელის თუ ტელემყურებლის აზრის

ფორმირებისაკენ, გარკვეული, ინსტიტუციონალურად დასახული მიმართულებით. ამრიგად, მასმედიის პოლიტიკურ დისკურსს აქვს ზემოქმედების შესაძლებლობა და შეუძლია გარკვეული კუთხით საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება. ეს არის მისი ამოცანა, რომელიც იძლევა პოლიტიკური დისკურსის მიზნის მიღწევის საშუალებას. იმ ენობრივ საშუალებებს შორის, რომლებიც პოლიტიკურ დისკურსში გამოიყენება საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით შეიძლება დასახელდეს: პარალელური კონსტრუქციები, ანადიპლოზისი (სტილისტური ხერხი, როდესაც მომდევნო სტრიქონი იწყება იმ სიტყვით, რომლითაც დასრულდა წინამავალი სტრიქონი), რთული სინტაქსური კონსტრუქციები, იმპერატივები, რიტორიკული შეკითხვები და სხვა. მაგალითად:

- პარალელური კონსტრუქციები:

(11) ა) *You have a Republican Party, and a presumptive Republican nominee, **that believes in drastically rolling back environmental regulations, that believes in drastically rolling back collective-bargaining rights, that believes in an approach to deficit reduction in which taxes are cut further for the wealthiest Americans..*** (9).

ბ) *But when you look at the history of how we became an economic superpower, that rugged individualism and private-sector dynamism was always coupled with government creating a platform **so that everybody could succeed, so that consumers weren't taken advantage of, so that the byproducts of capitalism, like pollution or worker injuries, were regulated*** (9).

(გ) One of the reasons I am in this is because that's what governors do. **We balance budgets. We make things work. We improve schools. We build highways. We work** to make sure the healthcare system has improvement, more people can access it, more people can afford it. That's what matters to people (1).

- ანადიპლოზისი:

(12) *That's hugely important – but you shouldn't also underestimate the fact that there are a whole bunch of little white girls and white boys all across the country who just take it for granted that there's an African-American **president. The president** they're growing up with, and that's changing attitudes* (9).

- პარალელური კონსტრუქციები ანადიპლოზისთან ერთად:

(13) *I think Fox is part of that tradition — it is part of the tradition that has a very clear, undeniable **point of view**. It's a **point of view that I disagree with**. It's a **point of view that I think is ultimately destructive for the long-term growth of a country that has a vibrant middle class and is competitive in the world** (9).*

- რიტორიკული შეკითხვები:

(14) ა) *I just made the announcement about Elizabeth Warren setting up our Consumer Finance Protection Bureau out in the Rose Garden, right before you came in. Here's an agency that has the potential to save consumers billions of dollars over the next 20 to 30 years — simple stuff like making sure that folks don't jack up your credit cards without you knowing about it, making sure that mortgage companies don't steer you to higher-rate mortgages because they're getting a kickback, making sure that payday loans aren't preying on poor people in ways that these folks don't understand. **And you know what?** That's what we say we stand for as progressives. If we can't take pleasure and satisfaction in concretely helping middle-class families and working-class families save money, get a college education, get health care — if that's not what we're about, then we shouldn't be in the business of politics. Then we're no better than the other side, because all we're thinking about is whether or not we're in power (23).*

ბ) *But if the rules are written properly — and I have confidence that the people I appointed to these agencies intend to apply them properly — it's going to make a difference. **Is it going to solve every potential problem in Wall Street in a multi-trillion-dollar, worldwide, capital market?** Probably not. There could end up being new schemes, new loopholes that folks are going to try to exploit. The special interests are already ginning up to try to influence the rulemaking process in all these issues, so we have to remain vigilant. But to say that we did not significantly improve oversight of the derivatives market, it just isn't true (11).*

- იმპერატივი:

(15) *We have been very successful in recruiting and beginning to train Afghan security forces. There are elements that are working, and there are elements that are not*

*working. Keep in mind that the decision I have to make is always, "If we're not doing this, then what does that mean? What are the consequences?" I don't know anybody who has examined the region who thinks that if we completely pulled out of Afghanistan, the Karzai regime collapsed, Kabul was overrun once again by the Taliban, and Sharia law was imposed throughout the country, that we would be safer, or the Afghan people would be better off, or Pakistan would be better off, or India would be better off, or that we would see a reduction in potential terrorist attacks around the world. You can't make that argument (11).*

პოლიტიკური დისკურსის იმ სეგმენტში, რომლებშიც ეს და სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე ენობრივი საშუალებები გამოიყენება, ხდება „დამარწმუნებელი არგუმენტების სისტემის შექმნა, პოლიტიკური სურათის ლინგვოკომენტალური შეცვლა, მოქმედებათა მიმართვა განსაზღვრული მიმართულებით, ზეგავლენის მოხდენა არა მარტო ცალკეული ადამიანის პოლიტიკურ ქმედებაზე, არამედ ადამიანთა ჯგუფების, სოციუმის, საზოგადოებაზე მთლიანობაში“ (ხახუტაიშვილი 2012).

მასმედიის პოლიტიკური დისკურსი ასევე ფლობს სამყაროს შესახებ საზოგადოების ცოდნის და შესაბამისად მისი რეაქციის მართვის ისეთ რესურსს, როგორცაა ინფორმაცია. თანამედროვე საზოგადოება ბევრად არის დამოკიდებული ინფორმაციაზე. ინფორმაციის გადაცემა უბრალოდ ობიექტური რეალობის შესახებ ფაქტების კონსტატაცია კი არ არის, არამედ, პირველყოვლისა, მათი ინტერპრეტაციაა. მასმედიის საშუალებების მიერ მიწოდებული ინფორმაცია გავლენას ახდენს მაყურებლის, მსმენელის თუ მკითხველის აზროვნებასა და ემოციურ მდგომარეობაზე. იგი აყალიბებს მათ აზროვნებას, გამოცდილებას და შესაბამისად, განსაზღვრავს შეხედულებებს გარე სამყაროზე. ამრიგად, მასმედიის პოლიტიკური დისკურსის ინფორმაციულობას სარჩულად უდევს ზემოქმედება-იდეოლოგიურობა. იდეოლოგიასაც რომ თავი დავანებოთ, მიწოდებული ინფორმაცია შეიძლება იყოს მაქსიმალურად ობიექტური, მაგრამ ვერ იქნება აბსოლუტურად ობიექტური, რადგან იგი აუცილებლად გულისხმობს ინტერპრეტაციას. ნებისმიერი ტიპის დისკურსის შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს ადამიანური ფაქტორი. ე. ბენვენისტის თანახმად, დისკურსი ანთროპოცენტრისტული მოვლენაა, იგი სამყაროს სუბიექტურად ასახავს,



ვინაიდან მეტყველი სუბიექტი მეტყველების პროცესში ენას ითავისებს, თავისად ხდის (ბენვენისტი 1974:327). იქედან გამომდინარე, რომ მასმედიის პოლიტიკური დისკურსის სუბიექტი - მასობრივი ინფორმაციის საშუალება, რომელსაც გარკვეული ინტერესები, მიზნები და ამოცანები გააჩნია, ახდენს რეალობის ტექსტში ინტერპრეტირებას, გამოირჩევა სუბიექტურობით, რაც მას ინფორმაციით მისთვის საჭირო მიმართულებით მანიპულირების საშუალებას აძლევს (ნიკიტინა 2006:6).

მასმედიის პოლიტიკური დისკურსის სოციოკულტურული კონტექსტი ერთი მხრივ, ხასიათდება მასობრივ აუდიტორიაზე ორიენტაციით, მეორე მხრივ, სოციო-კულტურული სპეციფიკითა და იდეოლოგიურობით. როგორც ურთიერთობის ინსტიტუციონალური ფორმა, მასმედიის პოლიტიკური დისკურსი ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების ფართო ფენებზე, ეს მისი ამოცანა და საშუალებაა, რადგანაც მასობრივ აუდიტორიას აქვს საკუთარი ღირებულებები, რომლებიც შეიძლება იმართოს.

პოლიტიკური მედიადისკურსი სოციალური ურთიერთქმედების გარკვეულ სფეროს მიეკუთვნება, იგი თავისი იდეოლოგიური ფუნქციით ემსახურება კონკრეტული სოციალური ჯგუფების ინტერესებს. მასმედიის პოლიტიკური დისკურსის იდეოლოგიურობა დაკავშირებულია იმასთან, რომ მასმედია დღესდღეობით არის უფრო იდეოლოგიის, ვიდრე ინფორმაციის მიწოდების საშუალება. იდეოლოგია კი გულისხმობს იმ ძირითად ნორმებს, ღირებულებებსა და სხვა პრინციპებს, რომლებიც კონკრეტული ჯგუფის მიზნებისა და ინტერესების მისაღწევად და ძალაუფლების რეალიზაციისა და ლეგიტიმაციისათვის გამოიყენება (ვან დეიკი 1991:118). ამრიგად, მასმედიის პოლიტიკური დისკურსის სოციალურ-კულტურული კონტექსტი იძლევა ამ ტიპის დისკურსის მანიპულაციური ფუნქციის რეალიზების საშუალებას. მოცემული კონტექსტი გულისხმობს მასობრივ აუდიტორიაზე ორიენტაციას, რაც მისი აუცილებელი წინაპირობაა (ნიკიტინა 2006:6). დისკურსის ადრესატი გარკვეული კულტურის წარმომადგენელია და გარკვეული იდეოლოგიის მატარებელიც, რომელთან ურთიერთქმედებაც მასმედიის პოლიტიკურ დისკურსს აძლევს თავისი მიზნის მიღწევის საშუალებას.

მასმედიის პოლიტიკური დისკურსის აუდიტორია გარკვეულ კულტურულ ჯგუფს წარმოადგენს. ამიტომ მასმედიის ენის პოლიტიკური დისკურსის მნიშვნელოვან ასპექტს ასევე წარმოადგენს მისი ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა. დისკურსის ხასიათი ყოველთვის გულისხმობს მოცემული კულტურის მოთხოვნებსა და ხასიათს, რადგან მასმედიის პოლიტიკური დისკურსი ფორმულირდება გარკვეულ ცხოვრებისეულ პირობებში, გარკვეული კულტურის მატარებელი საზოგადოების მიერ. შესაბამისად, მასმედიის პოლიტიკური დისკურსის ტექსტი უნდა აღიქმებოდეს, როგორც მოცემული კულტურის პროდუქტი. ამასთანავე, მასმედიის პოლიტიკურ დისკურსს თავისი წვლილი შეაქვს თანამედროვეობის კულტურულ სპეციფიკაში. თანამედროვე ადამიანს არ შეუძლია გაეცეს მასმედიის გავლენას, რადგან მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები გავლენას ახდენს კულტურაზე.

სწორედ ამიტომ, მასმედიის პოლიტიკური დისკურსი ხშირად ხდება ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის ობიექტი სხვადასხვა თვალსაზრისით. ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის ანალიზის უშუალო ობიექტია პოლიტიკური მედიატექსტი, რომელიც განიხილება, როგორც შესაბამისი ტიპის დისკურსის არსებობის ფორმა. შესაბამისად, ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის ობიექტი შეიძლება გახდეს მედიატექსტის სტრუქტურა, სემანტიკა ან პრაგმატიკა (ივანოვა 2008). პოლიტიკური მედიადისკურსის შესწავლამ შეიძლება გამოავლინოს ლინგვოკულტუროლოგიური კატეგორიების რეალიზაციის თავისებურებები, ხოლო შეპირისპირებითმა შესწავლამ - ლინგვოკულტუროლოგიური კატეგორიების რეალიზაციის თავისებურებები ორ ენაში.

ამრიგად, მასმედიის პოლიტიკური დისკურსი არის კომუნიკაციური მოვლენა, რომელიც წარმოიქმნება პოლიტიკური და მასმედიის დისკურსების გადაკვეთის სფეროში. მას ახასიათებს გამიზნულობა, მასებზე ორიენტირება, ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა. შეიძლება გამოიყოს პოლიტიკური მედიადისკურსის სამი ძირითადი ასპექტი: იდეოლოგიურობა, ინფორმაციულობა და სუბიექტურობა, რომლებიც ქმნიან საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირების ყველა აუცილებელ წინაპირობას. პოლიტიკური ინტერვიუს - მასმედიის დისკურსის ერთ-

ერთი მნიშვნელოვანი სახის პრაგმატიკული ანალიზისას, რაც წინამდებარე ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს, ჟანრული თავისებურებების გარდა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მასმედიის პოლიტიკური დისკურსის ყველა ეს თავისებურება, რადგან მათ გარეშე, ჩემი აზრით, კვლევის შედეგები ვერ იქნება ზუსტი და მართებული.

### **თავი 3 - პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის შეპირისპირებითი ლინგვოპრაგმატიკული ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში**

წინამდებარე თავი ეძღვნება პრაგმატიკული მარკერების, როგორც ილოკუციური ძალის ინდიკატორების კონტრასტულ კვლევას ინგლისური და ქართული ინტერვიუს მასალაზე. მიღებული მონაცემები გამოვლენილი თავისებურებების მაქსიმალური თვალსაჩინოების მიზნით წარმოდგენილი იქნება ცხრილებისა და სქემების სახით.

#### **3.1. პრაგმატიკული მარკერების ფუნქციურ-სემანტიკური ტიპოლოგია**

როგორც უკვე აღინიშნა, პრაგმატიკულ მარკერებს დიდი ყურადღება ექცევა თანამედროვე ენათმეცნიერებაში. მრავალფეროვნება შეიმჩნევა პრაგმატიკული მარკერების კვლევისადმი მიდგომაში, მეთოდოლოგიასა და ტერმინოლოგიაში. ეს კი, თავის მხრივ, განპირობებულია საკითხის მოცულობით, კერძოდ, პრაგმატიკული მარკერების ფუნქციათა და მნიშვნელობათა მრავალფეროვნებით. მიუხედავად არაერთი მეცნიერის მცდელობისა (ფრეიზერი 1996, ჰატჩინსონი 2003 და ა.შ.), პრაგმატიკული მარკერების ერთიანი და საყოველთაოდ მიღებული კლასიფიკაცია არ არსებობს. აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი შრომების უმრავლესობა დისკურსის მარკერებს შეისწავლის.

წინამდებარე კვლევას საფუძვლად ბრუნს ფრეიზერის მიერ შემოთავაზებული პრაგმატიკული მარკერების კლასიფიკაცია დაედო (ფრეიზერი 1996:167-190). ეს არჩევანი განაპირობა აღნიშნული შრომის მასშტაბურობამ (ავტორი დისკურსის მარკერებს განიხილავს პრაგმატიკული მარკერების ერთ-ერთ ტიპად) და მარკერთა თითოეული ტიპის თანმიმდევრულმა დახასიათებამ. ამ კლასიფიკაციას საფუძვლად შემდეგი კონცეფცია უდევს: ყველა წინადადებას აქვს აქტუალური მნიშვნელობა, რომელსაც ბ. ფრეიზერი „პირდაპირი შეტყობინების პოტენციალს“ უწოდებს (ibid.:167). იგი გამომდინარეობს წინადადებების მნიშვნელობიდან და იმ შეტყობინებების დაზუსტებას წარმოადგენს, რომლებიც შეიძლება საუბარში პოტენციურად იქნეს გამოხატული წინადადებების წარმოთქმისას. წინადადების

„შეტყობინების პოტენციალი“ იშვიათად რეალიზდება სრულად. წარმოთქმის თავისებურებანი (მაგ., ინტონაცია) და კონტექსტი განსაზღვრავს წინადადებაში ჩადებულ მნიშვნელობას, გარდა ზოგიერთი შეტყობინებისა, რომლებიც თვით განსაზღვრავენ სხვებს ან დამატებით შეტყობინებას გამოხატავენ. მაგალითად, წინადადებას "Calm down!" პირველადი მნიშვნელობით თხოვნის გამოხატვის პოტენციალი აქვს. თუ ეს წინადადება აღმავალი ინტონაციით წარმოითქმება, თხოვნა - შეკითხვად გადაიქცევა, ხოლო გაბრაზებულმა ხმამაღალმა ტონმა შეიძლება გამოხატოს მოსაუბრის განაწყენება. მაგრამ ბ. ფრეიზერი აღნიშნულ შრომაში განიხილავს ადრესატის მიერ შეტყობინების პრაგმატიკული ინტერპრეტაციის პროცესის საწყის ეტაპს. ეს არის „შეტყობინების პოტენციალი“, რომელიც გამომდინარეობს თვით წინადადების მნიშვნელობიდან და მსმენელი სუბიექტის მიერ აღიქმება მანამ, სანამ შეტყობინების სრული აღქმა მოხდება.

წინადადების მნიშვნელობა - ენობრივ გამონათქვამებში ჩადებული ინფორმაცია შეიძლება გაიყოს ორ სხვადასხვა შემადგენელ ნაწილად. ერთი მხრივ, წინადადებაში ჩვეულებრივ დევს პროპოზიცია, შესაძლოა რთულიც, რომელიც წარმოადგენს ჭეშმარიტებას, სამყაროს კონტინუუმის გარკვეული სეგმენტის ასახვას ენაში, რომელზეც მოსაუბრეს სურს ადრესატმა გაამახვილოს ყურადღება. წინადადების მნიშვნელობის ეს ასპექტი ცნობილია, როგორც პროპოზიციული შინაარსი. „სინტაქსური ნომინაციის თეორიის მიხედვით, ყოველი წინადადება წარმოადგენს სინამდვილის რომელიღაც ფაქტის ხატს (იკონიკურ ასახვას). სინამდვილე - ესაა ე.წ. ავტომარული ფაქტების ერთობლიობა. წინადადებას, რომელიც ასახელებს ერთ ავტომარულ ფაქტს, პროპოზიცია ეწოდება" (ლებანიძე 2004:91). მეორე მხრივ კი, გამონათქვამის ნომინაციური შინაარსის გარდა გამოიხატება სხვა შეტყობინებები, აქ საქმე გვაქვს კომუნიკაციურ შინაარსთან, რომელიც ასახავს კომუნიკაციურ სიტუაციას. ამრიგად, ერთმანეთისაგან გამიჯნულია გამონათქვამის ნომინაციური და კომუნიკაციური შინაარსი. ნომინაციური შინაარსი უშუალოდ ასახავს რეფერენტულ სიტუაციას, წარმოადგენს მის ინტერპრეტაციას, გამონათქვამის კომუნიკაციური შინაარსი კი, კომუნიკაციურ სიტუაციას ასახავს.

გამონათქვამის კომუნიკაციური შინაარსი პირდაპირ დაკავშირებულია კომუნიკაციური ინტენციის ცნებასთან, რომლის კონკრეტულად ხდება ილოკუციური ძალის ცნებით. ილოკუციური ძალა შეიძლება სხვადასხვა საშუალებით გამოიხატოს (ვრცლად იხ. §1.3.2.), მათ შორის, წინადადების სინტაქსური სტრუქტურის მარკერებით და განსხვავებული ფონეტიკური თვისებებისა და სირთულის მქონე ლექსიკური ერთეულებით, რომელთაც ბ. ფრეიზერის კვალდაკვალ, პრაგმატიკულ მარკერებს ვუწოდებთ. პრაგმატიკული მარკერები, რომლებიც მიჩნეულია, რომ უნდა იყოს გამოყოფილი და გამიჯნული წინადადების პროპოზიციული შინაარსისგან, არის ლინგვისტურად კოდირებული ინფორმაცია, რომელიც გადმოცემს მოსაუბრის პოტენციურ საკომუნიკაციო ინტენციას.

პრაგმატიკულ მარკერებს ფორმის თვალსაზრისით ცოტა რამ აქვთ საერთო ერთმანეთთან. პრაგმატიკულ მარკერებად შეიძლება სხვადასხვა სიტყვათა კლასის ელემენტი ფუნქციობდეს, თუ იგი პროპოზიციული შინაარსის ნაწილი არ არის. შედეგად, პრაგმატიკული მარკერების კლასი მრავალფეროვანია. იგი მოიცავს შორისდებულებს (*Oh!, Uh!*), რუტინებს (*How are you?*), საპასუხო სიგნალებს, ვოკატივებს (*Senator!*), ზმნიზედებისა (*francly, fortunately*) და კავშირების (*and, but*) პრაგმატიკულ გამოყენებას, შემარბილებლებს (*If you don't mind...*) და კიდევ ბევრ სხვა ენობრივ ერთეულს (აიმერი et al 2009:289). რადგან პრაგმატიკული მარკერები წარმოშობის მიხედვით შეიძლება განსხვავებულად ფუნქციობდეს, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი ტიპების გარჩევა. ბრუს ფრეიზერმა (1996) შემოგვთავაზა პრაგმატიკული მარკერების ტაქსონომია, რომელიც განასხვავებს ოთხი ტიპის შეტყობინებას და შესაბამისად, მათთან დაკავშირებულ პრაგმატიკული მარკერების ოთხ ტიპს, რომლებიც ფუნქციებით განსხვავდებიან: ძირითად პრაგმატიკულ მარკერებს (რომლებიც აფიქსირებენ გამონათქვამის ილოკუციურ ძალას), კომენტარის მარკერებს (წარმოადგენენ კომენტარებს ძირითად შეტყობინებაზე), პარალელურ მარკერებს (აქ გამიზნული შეტყობინება ემიჯნება მთავარ შეტყობინებას) და დისკურსის მარკერებს (რომლებიც მთავარ შეტყობინებას აკავშირებენ მიმდინარე დისკურსთან). პრაგმატიკული მარკერების ეს ოთხი ტიპი, თავის მხრივ, კიდევ იყოფა ქვეტიპებად (იხ. ცხრილი №4).

პრაგმატიკული მარკერების კლასიფიკაცია<sup>3</sup>

ძირითადი პრაგმატიკული მარკერები (Basic Markers)	სტრუქტურული (Structural Basic Markers)	თხრობითი (Declarative)
		კითხვითი (Interrogative)
		ბრძანებითი (Imperative)
	ლექსიკური (Lexical Basic Markers)	პერფორმატიული გამონათქვამები (Performative Expressions)
		პრაგმატიკული იდიომები (Pragmatic Idioms)
	ჰიბრიდული (Hybrid Basic Markers)	თხრობითზე დაფუძნებული (Declarative Based Hybrids)
კითხვითზე დაფუძნებული (Interrogative Based Hybrids)		
ბრძანებითზე დაფუძნებული (Imperative Based Hybrids)		
კომენტარის პრაგმატიკული მარკერები (Commentary Markers)	შეფასების მარკერები (Assessment markers)	
	საუბრის მანერის მარკერები (Manner-of-speaking Markers)	
	სიცხადის მარკერები (Evidential Markers)	
	გაგონილის გადმოცემის მარკერები (Hearsay Markers)	
	სათქმელის შერბილების მარკერები (Mitigation Markers)	
	ემფატიკური მარკერები (Emphatic Markers)	
პარალელური პრაგმატიკული მარკერები (Parallel Markers)	ვოკატივები (Vocative Markers)	
	მეტყველი სუბიექტის უკმაყოფილების გამომხატველი მარკერები (Speaker Displeasure Markers)	
	სოლიდარობის მარკერები (Solidarity Markers)	
	ფოკუსირების მარკერები (Focusing Markers)	
დისკურსის პრაგმატიკული მარკერები (Discourse Markers)	თემის შეცვლის მარკერები (Topic Change Markers)	
	კონტრასტული მარკერები (Contrastive Markers)	
	აზრის განვითარების მარკერები (Elaborative Markers)	
	დასკვნითი მარკერები (Inferential Markers)	

<sup>3</sup> შენიშვნა: პრაგმატიკული მარკერების კლასიფიკაცია შემუშავებულია ბ. ფრეიზერის მიხედვით (ფრეიზერი 1996).

ძირითად შეტყობინებაში წინადადების პროპოზიცია წარმოადგენს ერთადერთ შეტყობინებას. ძირითადი მარკერები, რომლებიც მეტ-ნაკლებად სპეციფიკურად მთავარი წინადადების ძალას აღნიშნავენ, მოიცავს წინადადების სინტაქსურ სტრუქტურას და ლექსიკურ გამონათქვამებს, მაგალითად, გამონათქვამი

(16) *Do you think it was the right decision?* (1)

წარმოადგენს ჟურნალისტის *მოთხოვნას* რესპონდენტის ვერბალურ პასუხზე, ანუ მოცემულ შემთხვევაში წინადადების კითხვითი წყობა წარმოადგენს ძირითად პრაგმატიკულ მარკერს.

*შეტყობინება-კომენტარი* წარმოადგენს კომენტარს მთავარ შეტყობინებაზე. შეტყობინება-კომენტარი და შესაბამისად, კომენტარის მარკერების არსებობა არჩევითია ანუ არ არის აუცილებელი წინადადება შეიცავდეს რომელიმე მათგანს:

(17) *Obviously, yesterday was another tough day* (2).

გამონათქვამში პროპოზიციულ შინაარსს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გუშინ იყო კიდევ ერთი რთული დღე, ხოლო პრაგმატიკული მარკერი **obviously** გამოხატავს მეტყველი სუბიექტის კომენტარს, რომ ეს ფაქტი ცხადი და აშკარაა.

*პარალელური შეტყობინებები*, ასევე არჩევითი, გამოხატავს მთლიან შეტყობინებას გამოყოფილს მთავარი შეტყობინებისაგან და შეტყობინება-კომენტარისგან. მაგალითად, ინტერვიუში ჟურნალისტი მიმართავს სენატორ მაკკეინს:

(18) *Senator McCain, thanks very much for coming in..* (7).

პრაგმატიკული მარკერით, რაც მოცემულ შემთხვევაში მიმართვით არის გამოხატული, მეტყველი სუბიექტი აკონკრეტებს იმას, რომ ძირითადი შეტყობინება მიმართულია პრაგმატიკული მარკერით დაფიქსირებული სუბიექტის მიმართ.

ბოლოს, არსებობს *დისკურსის შეტყობინებები*, რომლებიც ასევე არჩევითია. ისინი აჩვენებენ, როგორ არის მთავარი შეტყობინება დაკავშირებული მიმდინარე დისკურსთან, მაგალითად:

(19) *You've passed more progressive legislation than any president since Lyndon Johnson. Yet your base does not seem nearly as fired up as the opposition, and you don't seem to be getting the credit for those legislative victories* (11).



შეტყობინება, რომლის საწყის პოზიციაშიც ფიქსირდება პრაგმატიკული მარკერი Yet, წინა დისკურსთან მიმართებაში გამოხატავს კონტრასტს.

ამრიგად, პრაგმატიკული მარკერები შეტყობინების ტიპებთან შესაბამისობაში მოდის და ოთხი ტიპისაა: ძირითადი მარკერები გამოხატავს მთავარი შეტყობინების ძალას, მარკერი-კომენტარი - შეტყობინებას, რომელიც წარმოადგენს კომენტარს მთავარ შეტყობინებაზე, პარალელური მარკერი კი - დამატებით შეტყობინებას მთავარ შეტყობინებასთან ერთად და დისკურსის მარკერი აღნიშნავს ურთიერთობას მთავარ შეტყობინებასა და მიმდინარე დისკურსს შორის.

ამ ოთხი ტიპის მარკერის დეტალურად განხილვამდე, შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ პრაგმატიკული მარკერები წინადადების პროპოზიციული შინაარსის ნაწილი არ არის. ისინი გამოყოფილი და გამიჯნული არიან. ამიტომ, მოცემული ლექსიკური გამონათქვამისათვის (მაგ: *truthfully, amazingly*) კონკრეტულ წინადადებაში არ არსებობს ფუნქციების გადაფარვა. როდესაც ერთეული ფუნქციობს, როგორც ერთი ტიპის პრაგმატიკული მარკერი, იგი არ განიხილება, როგორც პროპოზიციული შინაარსის ნაწილი და პირიქით. გარდა ამისა, როდესაც ერთეული ფუნქციობს, როგორც ერთი ტიპის პრაგმატიკული მარკერი, ის იმავდროულად ვერ იმოქმედებს როგორც სხვა ტიპის მარკერი. ასე რომ, ამასთან დაკავშირებით გამორიცხულია რაიმე ორაზროვნება ან გაუგებრობა.

მეორე თავისებურება, რაც პრაგმატიკულ მარკერებს ახასიათებს არის ის, რომ მათ აქვთ მნიშვნელობა. მაგრამ თუ ძირითად, კომენტარის და პარალელურ მარკერებს აქვთ რეპრეზენტაციული მნიშვნელობა, რომლითაც ისინი აღნიშნავენ ცნებებს, დისკურსის მარკერებს აქვთ პროცედურული მნიშვნელობა და აკონკრეტებენ, როგორ არიან დაკავშირებული წინამავალ დისკურსთან ის წინადადებები, რომელთა ნაწილსაც თვითონ წარმოადგენენ. ამ საკითხს დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავ, მაგრამ საჭიროდ მივიჩნევ აქვე განვმარტო რეპრეზენტაციული და პროცედურული მნიშვნელობების არსი.

პრაგმატიკულ დონეზე განასხვავებენ გამონათქვამის ორგვარ შინაარსს - კონცეპტუალურსა და პროცედურულს. ეს უკანასკნელი ახალი ხედვაა სემანტიკაში და რელევანტურობის თეორიის მთავარ კომპონენტს წარმოადგენს (მიუხედავად

იმისა, რომ ბ. ფრეიზერი, რომლის ნააზრევსაც ეყრდნობა წინამდებარე შრომა, გარკვეულწილად ემიჯნება რელევანტურობის თეორიას და თვლის, რომ პრაგმატიკული მარკერების შესწავლისას იგი ახდენს ენის ლინგვისტურ ანალიზს და არ იზიარებს არც ერთ კონკრეტულ გრამატიკულ მიმდინარეობას (ფრეიზერი 2005), ბუნებრივია, ბოლომდე გვერდს ვერ უვლის მათ). ტერმინი „პროცედურული“, ბ. ფრეიზერის თანახმად, პირველად დ. ბლეკმორმა (1987) შემოიტანა, რათა დისკურსის მარკერები სხვა ლექსიკური გამონათქვამებისგან გაემიჯნა (ფრეიზერი 1999: 944). დ.უილსონისა და დ. სპერბერის (უილსონი, სპერბერი 1993:1) თანახმად, გამონათქვამში შეიძლება კოდირებული იყოს ორი ძირითადი ტიპის ინფორმაცია - რეპრეზენტაციული ანუ კონცეპტუალური და პროცედურული. იმ შესაძლო ენობრივ ერთეულებს, რომლებიც შეიძლება პროცედურული შინაარსის მატარებლები აღმოჩნდნენ, მიეკუთვნება შემდეგი: ნაცვალსახელები, დეიქსისი, ანაფორა, გრამატიკული დრო, კილო, ასპექტი, მოდალობა, სიტყვათა რიგი წინადადებაში და ინფორმაციული სტრუქტურა, დისკურსის მარკერები და ა.შ.

კონცეპტუალური ანუ რეპრეზენტაციული მნიშვნელობა ასახელებს მოცემული ლექსიკური ერთეულის გარკვეულ სემანტიკურ თვისებას, პროცედურული მნიშვნელობის მქონე გამონათქვამი კი უჩვენებს, როგორ უნდა მოხდეს დისკურსის წინა სეგმენტთან მიმართებაში მიმდინარე დისკურსის იმ სეგმენტის ინტერპრეტაცია, რომლის შემადგენლობაშიც ის შედის.

პრაგმატიკული მარკერების მესამე თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ისინი ისეთ ილოკუციურ შეტყობინებებს გამოხატავენ, რომლებიც მიმართულია პირდაპირი, ძირითადი შეტყობინებებისკენ. ისინი არ შეიძლება იყონ მიმართულნი ირიბი შეტყობინებებისკენ, რომელიც შეიძლება იმპლიციტურად იყოს ჩადებული ძირითად შეტყობინებაში.

პრაგმატიკული მარკერების მეოთხე თავისებურება ისაა, რომ თითქმის ყველა პრაგმატიკული მარკერი შეიძლება აღმოჩნდეს წინადადების საწყის პოზიციაში და ეს ჩვეულებრივ ასეც ხდება. არის შემთხვევები, როდესაც ისინი შუა ან ბოლო პოზიციას იკავებენ, მაგრამ მარკერები ხშირად გამოყოფილია მძიმით ან ინტონაციით

იმ მიზნით, რომ განვასხვავოთ ისინი ომოფონური ფორმისაგან, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც წინადადების პროპოზიციის ნაწილი. მაგალითად:

(20) *Frankly, I told him frankly what I thought!*

ამ წინადადებაში პრაგმატიკული მარკერის *Frankly* გამოყენებით მეტყველი სუბიექტი აფიქსირებს საუბრის მანერას, რომ იგი გულახდილად ესაუბრება ადრესატს, მეორე *frankly* კი პროპოზიციის ნაწილია.

ბოლოს, პრაგმატიკული მარკერები შეიძლება მიეკუთვნებოდეს სხვადასხვა გრამატიკულ კლასს. ზმნები, არსებითი სახელები, ზმნიზედები ისე, როგორც ისეთი იდიომები, როგორცაა *OK*, გამოიყენება როგორც პრაგმატიკული მარკერი.

ამრიგად, იმისათვის, რომ ვიკვილო პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობისა და მათი ტიპების გამოყენების სიხშირის თანმხვედრი და განმასხვავებელი თავისებურებანი ორ ენაში, შევიძუშავე საერთო კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად ბ. ფრეიზერის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია დაედო.

წინამდებარე თავში სათითაოდ განვიხილავ პრაგმატიკულ მარკერთა თითოეულ ტიპს როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაში და ვაჩვენებ ჩატარებული შეპირისპირებითი კვლევის სტატისტიკურ შედეგებს. ეს უკანასკნელი საშუალებას მომცემს ვიმსჯელო პრაგმატიკული მარკერების თავისებურებების კორელაციაზე ორ ენაში.

### 3.2. ძირითადი პრაგმატიკული მარკერები ინგლისურსა და ქართულ ენებში

ძირითად პრაგმატიკულ მარკერებს რეპრეზენტაციული მნიშვნელობა აქვთ, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი პროპოზიციული შინაარსის გარდა, დამატებით გადმოცემენ კონცეპტუალურ ინფორმაციას. უფრო კონკრეტულად, ისინი გადმოცემენ იმ ინფორმაციას, რომელიც მეტნაკლებად გამოხატავს წინადადების პირდაპირი ძირითადი შეტყობინების ილოკუციურ ძალას. მნიშვნელობათა ეს სხვადასხვაობა პროპოზიციულ შინაარსსა და ძირითად პრაგმატიკულ მარკერებს შორის პირველად შენიშნა ჯ. სერლმა (სერლი 1969:30). მისი აზრით წინადადების სინტაქსურ სტრუქტურაში შეიძლება გაიმიჯნოს ორი ელემენტი - პროპოზიცია და ილოკუციური ძალის ინდიკატორი. ეს უკანასკნელი აჩვენებს, როგორ მიიღოს ადრესატმა პროპოზიცია, ანუ სწორად მოახდინოს ინფორმაციის დეკოდირება .

ჯ. სერლის მოსაზრების გათვალისწინებით ბ. ფრეიზერმა გამოყო ძირითადი პრაგმატიკული მარკერების სამი ტიპი: **სტრუქტურული, ლექსიკური და ჰიბრიდული.**

ძირითადი პრაგმატიკული მარკერებიდან ყველაზე ზოგადია **სტრუქტურული** მარკერი - წინადადების ტიპი კომუნიკაციის ტიპის მიხედვით: თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი. თითოეული მათგანი გამოხატავს ძირითადი შეტყობინების ზოგად მნიშვნელობას.

წინადადების **თხრობითი** აგებულება გამოხატავს მეტყველი სუბიექტის რწმენას, რომ პროპოზიციის შინაარსი წარმოადგენს (წარმოადგენდა ან მომავალში წარმოადგენს) ჭეშმარიტებას. მაგალითად, როდესაც რესპონდენტი მაიკ ჰუკაზე ჟურნალისტს ეუბნება:

(21) *A good honest debate is a healthy thing, especially when it comes to something as defining as a war* (1).

პირველ რიგში, იგი ამით გამოხატავს რწმენას, რომ სუფთა დებატები ჯანსაღი რამაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ომს ეხება. მაგრამ ის, თუ როგორი რწმენაა - მტკიცება, აღიარება, დათანხმება, ცნობა თუ დადასტურება - არ კონკრეტდება. ეს შეიძლება დაზუსტდეს, მაგალითად, ექსპლიციტური

პერფორმატივების გამოყენებით. თუმცა ასეთი სტილური ვარიაციების შემთხვევაშიც კი, ამ ტიპის მარკერის მიერ გამოხატული პირველადი მნიშვნელობა - რწმენა იგივე რჩება.

იმავე ილოკუციური ძალის გამოხატველია წინადადების თხრობითი სტრუქტურა ქართულშიც:

(22) *ის ყელყელოა, რომლითაც „ნაცმოდრობის“ ლიდერები მიემართებოდნენ გადაჭედილ ქუჩებზე, თავისთავად გამომწვევი ქცევა იყო* (29).

თხრობითი აგებულების ძირითადი სტრუქტურული მარკერის მქონე გამონათქვამი შეიძლება ასე ფორმულირდეს:

*(რწმენა) პროპოზიცია.*

განსხვავებით თხრობითი ფორმისგან, კითხვითი ფორმა გამოხატავს ადრესანტის მოთხოვნას ადრესატის ვერბალურ პასუხზე. მაგალითად, ბარაკ ობამასთან ინტერვიუში ჟურნალისტი სვამს შემდეგ შეკითხვებს:

(23) *ა)- Given all that, what do you think the general election is going to look like, and what do you think of Mitt Romney? (9)*

*(ბ)- What about the two biggest concerns at the moment, Syria and Iran? (9)*

*(გ)- Do you read Paul Krugman? (9)*

რომელზეც იგი რესპონდენტისგან ითხოვს ვერბალურ პასუხს.

ვერბალურ პასუხზე თხოვნის ილოკუცია ძირითადად, წინადადების კითხვითი სტრუქტურით გამოიხატება ქართულ ენაშიც. მაგალითად:

(24) *როგორ ფიქრობთ, დადგა დრო, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ მართლაც საზოგადოებას ეკუთვნოდეს და მის ხელმძღვანელებად ამა თუ იმ პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლები არ ინიშნებოდნენ, თუ მსგავს პერსპექტივას ჯერ ვერ ხედავთ?* (26)

ინტერვიუს თავისებურებიდან გამომდინარე, შეკითხვები კითხვითი ფორმების გარდა შეიძლება გამოხატული იყოს სხვადასხვა სინტაქსური საშუალებით, თხრობითი ან ბრძანებითი ფორმით. მაგალითად,

(25) *ა) - And everybody telling you how bad you're doing every day.*

*- You end up having a very thick skin. I entered here with a thick skin, and now my skin is*

even thicker. Part of what you understand is that you are a person, but you're also a symbol. If things are going wrong, then people are looking to you to fix them. And sometimes, if you're just frustrated in your efforts, you're going to be the object of their frustration. You don't take it personally – you just recognize that it goes with the office and the desk and Marine One and all the other aspects of being president (9).

ბ) - *He told me that the night before, you came down to the rehearsal and hung out quite a bit.*

- Yeah, I was down there for probably about 45 minutes. It was great fun, just watching them work through stuff. And he had unbelievable energy. I tell you, that guy, when he performed the next night, he was as energized as he's ever been (9).

გ) - *ისე, სხვათა შორის, მიხეილ სააკაშვილიც „წუხდა“ - ძლიერი ოპოზიცია არ მყავსო.*

- მახსოვს ეს ამბავი. ბიძინა ივანიშვილი რამდენად გულწრფელია ამ წუხილში, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ხედავს ძლიერი ოპოზიციის საჭიროებას... (26).

რადგან ინტერვიუში, მისი ჟანრობრივი თავისებურებიდან გამომდინარე, როლები მკაცრად გადანაწილებულია ჟურნალისტსა და რესპონდენტს შორის, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ჟურნალისტის მოვალეობაა შეკითხვები დაუსვას რესპონდენტს, ხოლო რესპონდენტი ვალდებულია პასუხის გაცეც მათზე, შეიძლება დავუშვათ, რომ ინტერვიუში ჟურნალისტის გამონათქვამი შეიძლება შეკითხვებად განიხილებოდეს მაშინაც კი, თუ შეკითხვის ინდიკატორები, როგორცაა, მაგალითად, აღმავალი ინტონაცია, წინადადების კითხვითი წყობა ან შესაბამისი პუნქტუაცია სახეზე არაა. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ საკმაოდ რთული განსასაზღვრია, მოცემული გამონათქვამი შეკითხვაა, თუ არა, ანუ არის თუ არა იგი თხოვნა ან მითითება ინფორმაციის მიღებაზე (ჯაკერი 1986:101). წინამდებარე კვლევაში შეკითხვად მიიჩნევა ჟურნალისტის ყველა ის გამონათქვამი, რომლის მიზანია რესპონდენტისაგან ინფორმაციის მიღება.

თუ მხედველობაში მივიღებთ პ. გრაისის თანამშრომლობის პრინციპს (გრაისი 1975:45-49), მაშინ იმ პრობლემას, უნდა ჩაითვალოს თუ არა მოცემული

გამონათქვამი შეკითხვად, შეიძლება შევხედოთ სხვა მხრივ. რელევანტურობის პოსტულატის საფუძველზე და ინტერვიუს ფრეიმის კონტექსტში, ჟურნალისტის ყოველი გამონათქვამის ინტერპრეტაცია ხდება როგორც თხოვნა რესპონდენტისადმი, რომ მისცეს მას გარკვეული ინფორმაცია ან გამოხატოს აზრი, სანამ არ იქნება მომდევნო სიგნალი ჟურნალისტის მხრიდან. ეს შეიძლება გამოდგეს იმის დასტურად, რატომ არის შესაძლებელი შეკითხვის ილოკუციური ძალა ინტერვიუში არ გამოიხატებოდეს სინტაქსურად, პუნქტუაციით ან ინტონაციით.

ამ ტიპის გამონათქვამი შეიძლება ასე ფორმულირდეს:

*(თხოვნა ვერბალურ პასუხზე) პროპოზიცია.*

რაც შეეხება წინადადების ბრძანებით ფორმას, განსხვავებით თხრობითი ფორმისგან და კითხვითი ფორმის მსგავსად იგი, როგორც ძირითადი მარკერი გამოხატავს თხოვნას, მაგრამ ეს თხოვნა შეიძლება მიმართული იყოს როგორც ვერბალური, ისე არავერბალური პასუხისკენ (მოქმედების შესრულებისკენ). მაგალითად:

(26) (ა) We've talked in the past about how you've met Bob Dylan and Paul McCartney here in the White House. Now you've met Mick Jagger. *Tell us a bit about that* (9).

(ბ) *დავუბრუნდეთ ტარიფების თემას.... (24)*

შეკითხვით (26ა) ჟურნალისტი მიმართავს რესპონდენტს გასცეს მას ვერბალური პასუხი - მოუთხროს მიკ ჯაგერთან შეხვედრის შესახებ. (26ბ)-ში კი, ჟურნალისტი წინადადების ბრძანებითი სტრუქტურით აფიქსირებს თემის შეცვლას.

ბუნებრივია, ისეთ ბრძანებით ფორმებს, რომელიც არავერბალურ პასუხს - საპასუხო მოქმედებას მოითხოვს (მაგ. Go there! ან Bring me that book!) ინტერვიუში ვერ შევხვდებით, რაც სპეციფიკური რეგისტრით არის განპირობებული.

ასეთი ტიპის გამონათქვამი ზოგადი სახით შეიძლება ასე გამოისახოს:

*(თხოვნა ვერბალურ ან არავერბალურ პასუხზე) პროპოზიცია.*

მაგრამ ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ინტერვიუს ფრეიმის კონტექსტში ასეთი სქემატური სახე ექნება:

*(თხოვნა ვერბალურ პასუხზე) პროპოზიცია.*

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზემოთ განხილული სამი სინტაქსური კონსტრუქცია გამოხატავს მხოლოდ ორ ილოკუციურ ძალას - რწმენასა და თხოვნას, ხოლო ისეთ ილოკუციურ მნიშვნელობებს, როგორცაა მაგალითად, დაპირება, განზრახვა, ბოდიშის მოხდა, კრიტიკა და ა.შ., არ გააჩნია გამოხატვის სპეციალური სინტაქსური კონსტრუქციები, ისინი სხვა ტიპის პრაგმატიკული მარკერებით გამოიხატებიან.

ინტერვიუ, თავისი ჟანრული თავისებურებიდან გამომდინარე, აგებულია კითხვა-პასუხზე, შედგება დიალოგური ერთიანობებისაგან, სადაც ლოგიკურად, ერთ შეკითხვაზე მოდის ერთი პასუხი. ამიტომ, რა მოცულობის ტექსტიც არ უნდა ავიღოთ, როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ინტერვიუში შეკითხვის ილოკუცია იქნება სტრუქტურული ძირითადი მარკერების 50% (რაც ძირითადად, წინადადების კითხვითი, ხოლო იშვიათად ბრძანებითი ან თხრობითი ფორმით ვლინდება) და თავის მხრივ, თხრობითი ფორმით გამოხატული სტრუქტურული ძირითადი მარკერები პასუხების სახით - 50%. როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადი მარკერები ძალიან ზოგად პრაგმატიკულ მნიშვნელობას გამოხატავს, და ამიტომ, მათი სტატისტიკური ანალიზი არამიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული.

მხოლოდ სამი ძირითადი სტრუქტურული მარკერისაგან განსხვავებით, არსებობს ბევრი ძირითადი ლექსიკური მარკერი, რომლებიც ორ ჯგუფად არიან წარმოდგენილნი: **პერფორმატიული გამონათქვამები და პრაგმატიკული იდიომები.**

ილოკუციური ძალის გამომვლენ ყველაზე აშკარა და სრულფასოვან მექანიზმს წარმოადგენენ **პერფორმატივები ანუ პერფორმატიული ზმნები.** ტერმინი „პერფორმატივი“ მეცნიერებაში პირველად ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯონ ოსტინმა შემოიტანა. ის ისეთი ენობრივი აქტივობის ფორმაა, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს გამონათქვამსაც და მოქმედებასაც. ჯ. ოსტინი ერთმანეთისგან მიჯნავს კონსტატივებს და პერფორმატივებს. ჯ. ოსტინის თანახმად, კონსტატივები რაიმე ვითარების აღწერას წარმოადგენს, ხოლო პერფორმატივები - მოქმედების განხორციელებას, იგი თავისთავად შემდგარი ქმედებაა (ოსტინი 1962) . მაგალითად, კონსტატივია:

(27) (ა) *Baghdad is a completely mixed city* (2).



(ბ) არსებობს ტენდენციური შედეგების მიღების რამდენიმე საშუალება (22).

პერფორმატივის მაგალითად მოვიყვანოთ მოსამართლის სიტყვები (რაც ბუნებრივია, საანალიზო კორპუსიდან არ არის წარმოდგენილი):

(28) - *სასამართლო ამა და ამ პირს სცნობს დამნაშავედ!*

რის შედეგადაც ბრალდებული იქცევა დამნაშავედ და მას სვამენ ციხეში.

ჯონ ოსტინი მიიჩნევდა, რომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ ლექსიკურ ერთეულთა ფუნქციურ-სემანტიკურ განზოგადებას, რომლებიც პერფორმატიული გამონათქვამების ექსპლიციროებას ახდენენ. ამ მიზნით, მან შექმნა ექსპლიციტური პერფორმატიული ზმნების სია და გამოყო ხუთი კლასი იმ ილოკუციური ძალის შესაბამისად, რომელიც ამ ზმნების შემცველ გამონათქვამებში არსებობს, ესენია:

1. ვერდიქტივები
2. ეგზერსტივები
3. კომიტივები
4. ბიჰებიტივები
5. ექსპოზიტივები.

ჯონ სერლმა გამოთქვა გარკვეული შენიშვნები ოსტინისეული ტაქსონომიის მიმართ, რადგან მისი აზრით, ეს კლასიფიკაცია ასახავს არა სამეტყველო ქმედებებს ზოგადად, არამედ უბრალოდ წარმოადგენს ინგლისური ილოკუციური (პერფორმატიული) ზმნების კლასიფიკაციას, იგი არ გამოდგება სხვა ენებზე განხორციელებული სამეტყველო ქმედებების შესასწავლად, და რომ ჯ. ოსტინი არ იძლევა ნათელ და თანმიმდევრულ პრინციპებს, რომელზე დაყრდნობითაც იგი ახდენს ილოკუციური აქტების კლასიფიკაციას.

ჯ. სერლმა თავადაც წარმოადგინა ილოკუციური აქტების კლასიფიკაცია, რომელიც შემდგომ სხვა ლინგვისტებმაც გაიზიარეს (იულე 1996, თევდორაძე 2010). სერლისეული ტაქსონომია ასეთია (სერლი1976:10):

1. რეპრეზენტატივები
2. დირექტივები
3. კომისივები
4. ექსპრესივები

## 5. დეკლარაციები.

პერფორმატიული გამონათქვამების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სტრუქტურული ძირითადი პრაგმატიკული მარკერების მიერ გამოხატული ილოკუციური მნიშვნელობის დაზუსტება. მაგალითად :

ა. თხრობითი ძირითადი სტრუქტურული მარკერის დაზუსტება -

(29) ა) *I tell you, not a day passes where somewhere, somehow, I don't hear about something we've done that's really touched somebody directly* (9).

ბ) *გარწმუნებთ, რომ ბიძინა ივანიშვილს არავისი გადაბირება არ სჭირდება, პირიქით არის საქმე, ბევრს სურს ამ კოალიციაში გაწევრიანება.* (33)

ბ. კითხვითი ძირითადი სტრუქტურული მარკერის დაზუსტება -

(30) *გვეკითხებით (ჩემი შეკითხვა ასეთია), რატომ არ წავიდა მმართველი გუნდი დათმობაზე, როდესაც ამის საჭიროება შეიქნა.*

გ. ბრძანებითი ძირითადი სტრუქტურული მარკერის დაზუსტება -

(31) ა) *Let me ask you about the Middle East in general* (9).

ბ) *დააზუსტეთ* - ოქრუაშვილი ჩვენებების მიცემას მაშინ დაიწყებს, როდესაც ამას თავად ჩათვლის საჭიროდ, თუ ახალი ხელისუფლება...(28).

(ბ) რაც შეეხება ლექსიკური ძირითადი მარკერების კიდევ ერთ ტიპს - **პრაგმატიკულ იდიომებს**, ისინი ისეთი გამონათქვამებია, რომელთა პრაგმატიკული ინტერპრეტაციისათვის არ არსებობს რაიმე ენობრივი საფუძველი, რაც ადრესატს დაეხმარება პირდაპირი მნიშვნელობიდან იოლად გადავიდეს მოცემული გამონათქვამის პრაგმატიკულ მნიშვნელობაზე. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ იდიომები, რომლებიც გამოხატავენ შეთავაზებას (*Perhaps, have a drink!*), შორისდებულები, ემოციის გამომხატველი სიტყვები და ფრაზები, რომლებიც გამოხატავენ უკმაყოფილებას (*Ugh!*), თანხმობას (*Ok!, Yes!*), ახალი ინფორმაციის ემოციურ აღქმას (*Oh!*) და ა შ., გამონათქვამები, ანდაზები, რიტორიკული შეკითხვები, რომელთაგან, საანალიზო კორპუსის როგორც ინგლისურ, ისე ქართულენოვან სეგმენტში პოლიტიკურ მედიადისკურსში მათი გამოყენების მხოლოდ ერთეული პრეცედენტი აღმოჩნდა, ამ ტიპის მარკერები დიდი მრავალფეროვნებით არც ერთ ენაში არ გამოვლინდა. მათ ქვემოთ განვიხილავ:

- შორისდებული:

(32) *Oh, I remember on the Don Imus show one time I made a comment, because we were having election problems in Arkansas (1).*

- გამონათქვამი:

(33) ა) "...*The second thing, when I was a college freshman I had a professor that used to tell us, "don't use all your water on too small fire". His point was, to apply it today (1).*

ბ),...სხვათა შორის, სააკაშვილმა განაცხადა - მოდი, ისე ვიცხოვროთ, რომ ჩვენს წარსულს ვიმსახურებდეთო. **ღმერთმა დაგვიფაროს სააკაშვილის მიერ დამკვიდრებული წარსულის დამსახურებისაგან**" (29).

- გამონათქვამის („დრონი მეფობენ და არა მეფენი“) მოდიფიცირებული ვარიანტი:

(34) „...*ასე რომ, დრონი იცვლებიან. დრონი მეფობენ და აგერ უკვე სააკაშვილი მერაბიშვილში ხედავს გადარჩენის უკანასკნელ შანსს*" (21).

- ანდაზები:

(35) ა) *No, it can't be repaired. It can be repaired to a point. But there is a British proverb which is insidious and awful where people say "There is no smoke without a fire", you know, "he appears to be innocent, but..."(3).*

ბ) - *ამერიკაში ვიზიტზე საუბრისას, პრემიერმა აღნიშნა, რომ ყოფილი ხელისუფლება ახერხებს საზღვარგარეთ დეზინფორმაციის გავრცელებას. ამ დღეებში მთავრობამ ორი ლობისტური კომპანია დაიქირავა - ერთი ევროკავშირში მუშაობს, მეორე - ამერიკაში, ისე, ცოტა დაგვიანებული ხომ არ არის?*

- *სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. არაერთხელ მითქვამს - ახალი ხელისუფლების დრამატული შეცდომა იყო, რომ ლობისტურ მიმართულებას არ აქცევდა ყურადღებას. 2-3- თვის წინ რომ გაეკეთებინათ ეს, უკეთესი იქნებოდა..."(31).*

- გ) „ - *დებატებზე შეიარაღებული მიდიხართ?*

- *მე ყოველთვის შეიარაღებული ვარ და ჩემი იარაღი სიმართლეა. ხალხი არასოდეს მომიტყუებია, თუმცა ყოფილა შემთხვევა, როდესაც რაღაც არ მითქვამს,*

რადგან ყოველთვის მახსოვს გამოთქმა: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების" (15).

დ) ამ მრავალწლიანი უსამართლობის აღმასრულებლები იყვნენ პოლიტიზებული პროკურატურის, სასამართლოსა და ძალოვანი უწყებების სწორედ ის მაღალჩინოსნები, რომელთა მცირე ნაწილმა დღეისათვის უკვე გააცნობიერა, რას ნიშნავს ხალხური სიბრძნე - რასაც დასთეს, იმას მოიმკი (23).

3. ძირითადი მარკერების მესამე ჯგუფია - ჰიბრიდული ძირითადი მარკერები. ასეთი მარკერების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათში სპეციფიკური სტრუქტურა შერეულია გარკვეულ ლექსიკურ პირობებთან. ბ.ფრეიზერი ინგლისურ ენაში გამოყოფს ჰიბრიდული ძირითადი მარკერების სამ ტიპს: თხრობით სტრუქტურაზე დაფუძნებულ ჰიბრიდს - ე.წ. კუდიანი შეკითხვები, კითხვით სტრუქტურაზე დაფუძნებული ჰიბრიდს - ზოგადი შეკითხვები და შეთავაზების გამომხატველი სპეციფიკური შეკითხვები (General and why questions) და ბრძანებით სტრუქტურაზე დაფუძნებულ ჰიბრიდს - პირობითი წინადადებები, რომლებშიც გამოიყენება კავშირი *or* ან *and*.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ძირითადი პრაგმატიკული მარკერები ზოგად ილოკუციას გამოხატავს, ამიტომ წინამდებარე კვლევაში არ ვაანალიზებ მათ სტატისტიკური თვალსაზრისით.

### 3.3. კომენტარის პრაგმატიკული მარკერები

განსხვავებით ძირითადი პრაგმატიკული მარკერებისაგან, რომელთა სტრუქტურული, ლექსიკური და ჰიბრიდული ფორმები მეტყველი სუბიექტის ძირითად საკომუნიკაციო მიზანს გამოხატავს, კომენტარის პრაგმატიკული მარკერები ისეთი ლექსიკური გამონათქვამებია, რომლებსაც აქვთ როგორც რეპრეზენტაციული მნიშვნელობა, რომელიც მთლიან შეტყობინებას განსაზღვრავს, ისე პროცედურული, როგორც კომენტარი ძირითადი შეტყობინების რომელიმე ასპექტზე. მაგალითად:

(36) ა) *Frankly, sometimes that gets me in trouble* (1).

ბ) გულწრფელად რომ გითხრათ, ვერ გეტყვით, აქვს თუ არა ოქრუაშვილის სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი, მაგრამ მან ქვეყნის წინაშე ჩაიდინა დიდი დანაშაული (28).

იმის მიხედვით, თუ ძირითადი შეტყობინების რომელ ასპექტზე კეთდება კომენტარი, კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასში შემდეგი ექვსი ქვეკლასი შეიძლება გამოიყოს:

1. შეფასების
2. საუბრის მანერის
3. სიცხადის
4. გაგონილის გადმოცემის
5. სათქმელის შერბილების
6. ემფატიკური .

ქვემოთ სათითაოდ განვიხილავ თითოეულ მათგანს. თვალსაჩინოებისათვის კი წარმოვადგენ საანალიზო კორპუსში დაძებნილ ყველაზე საინტერესო მაგალითს.

### 1. შეფასების მარკერები

შეფასების მარკერები გამოხატავენ მეტყველი სუბიექტის შეფასებით კომენტარს სამყაროსეული კონტინუუმის იმ სეგმენტზე, რომელზეც პროპოზიციაშია საუბარი. მაგალითად:

(37) (ა) *Understandably, everybody has a great sense of urgency about these issues* (11).

(ბ) *გაუგებარია, რატომ არ მოხდა საჭირო საინფორმაციო ველის შექმნა* (41).

გამონათქვამით, რომელიც (37ა)-შია მოცემული, რესპონდენტი იძლევა ორ შეტყობინებას: ერთი ის, რომ ყველას აქვს უკიდურესი აუცილებლობის შეგრძნება საკითხზე, რომელზეც მოცემული დისკურსის წინა სეგმენტში იყო საუბარი - ეს ამ გამონათქვამის პროპოზიციული შინაარსია; მეორეც ის, რომ ეს სიტუაცია გასაგებია რესპონდენტისთვის, მისთვის ეს რეალობა გასაკვირი არაა. მაგალით (37ბ)-ში კი, პირიქით, პრაგმატიკული მარკერი გამოხატავს იმას, რომ რესპონდენტისთვის გაუგებარია პროპოზიციით გადმოცემული ფაქტი.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაში შეფასების მარკერები ძირითადად ზმნიზედებით ან მათი ვარიაციებითაა წარმოდგენილი. ასე, მაგალითად:

(38) ა) *...suddenly to find yourself a figure of public hatred, **unjustifiably**, is terrifying* (3).

ბ) *...**hopefully** she will say yes and we'd love to have her on the show if she wants to do that* (7).

გ) *...**I am hopeful** we'll get some more financial support. The Iraqis' debt relief would be a major breakthrough* (2).

დ) *For the first year, **unfortunately**, the people who were trying to represent the opposition outside Syria just couldn't gain traction or credibility* (10).

ე) *ბუნებრივია, ყველა თავის სამრეკლოდან რეკავს* (39).

ვ) *სამწუხაროდ, სააკაშვილის გუნდმა არ გაითვალისწინა ეს, არ ისარგებლა უსაფრთხო გასასვლელებით* (30).

შეფასების მარკერები საანალიზო კორპუსის ქართულენოვან სეგმენტში გაცილებით მრავალფეროვნებით გამოირჩევა: ინგლისურენოვანში 9 ტიპის შეფასების მარკერი დაფიქსირდა, ქართულენოვანში კი - 17. მრავალფეროვნების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მარკერების ნაწილი ჰომოფუნქციურია: მაგალითად, ქართული პრაგმატიკული მარკერები - *რაც მთავარია და მნიშვნელოვანია* გამოხატავს იმავე ილოკუციას, რასაც ინგლისური *importantly*;

(39) ა) ***Importantly**, it should be conducted in a civilized and civilian manner.* (1)

ბ) *რაც მთავარია - უწმინდესმა შეძლო ამ 20-წლიან ურთულეს ვითარებაში, ეკლესიისთვის შეენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი* (28).

გ) *ძალზე მნიშვნელოვანია, გამოიძიონ კახეთში 9 თვის ბარბარე რაფალიანცის დაღუპვის საქმე* (25).

ინგლისურ მარკერ *unfortunaltely*-ს ფუნქციით გვევლინება ქართული *სამწუხაროდ და უბედურება ის არის, რომ..* :

(40) ა) *The opposition is increasingly being represented by Al Qaeda extremist elements, including representatives of Al Qaeda in Iraq and Al Qaeda in the Maghreb and Al Qaeda, you know, messages coming, we believe, from the FATA [Federally Administered Tribal Areas, a semi-autonomous region in northwestern Pakistan], which is deeply distressing and **unfortunately** adds to the narrative with the Assad regime* (10).

ბ) *...მხოლოდ ის მსურდა, პრეზიდენტის გამოსვლას არ ჩაეგლო „იმ აკომპანემენტით“, რომლის კადრები შემოივლიდა მსოფლიო ტელევიზიებს. **სამწუხაროდ**, ამას ვერ ავცდით* (29).

გ) *თუმცა **უბედურება** ისაა, რომ პრეზიდენტს ისეთი უფლებამოსილებებიც დაუტოვეს, რომ მთლად საპარლამენტო რესპუბლიკაც არ გამოდის, ანუ თუ სააკაშვილი როგორღაც დარჩებოდა პრეზიდენტად, მას მთავრობაზე ზემოქმედების ბერკეტები მაინც ექნებოდა* (28).

ასევე, ქართულენოვან მედიადისკურსში უფრო მრავალფეროვან შეფასებას ვხვდებით, ვიდრე ინგლისურენოვანში, აქ წარმოდგენილია: *საგანგაშოა, სამარცხვინოა, გასაკვირია, ბუნებრივია, სასაცილოა, გაუგებარია, საინტერესოა, უცნაურია, პარადოქსულია*. მაგალითისთვის წარმოვადგენთ შემდეგ გამონათქვამებს ქართული ინტერვიუდან:

(41) ა) ***სამარცხვინოა**, რომ ამბობენ, პოლიცია არ მოქმედებდაო. ძალიან კარგად ჩანს ვიდეოფირზე, რას აკეთებს პოლიცია* (30).

ბ) *..ისინი არიან ადამიანები, ვინც სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ მოქალაქეებს და პოლიციელებს. **საგანგაშოა**, როდესაც ასეთი ქაოსის შექმნას ცდილობს ის ძალა, რომელმაც 2011 წლის 26 მაისი და 2007 წლის 7 ნოემბერი მოაწყო* (30).

შეფასების მარკერების ძირითადი სემები ორივე ენაში თავიანთი ფუნქციებით შეიძლება იზომორფულად ჩაითვალოს, მაგრამ ქართულში ისინი უფრო მრავალფეროვანი ლექსიკური საშუალებებით ვლინდება, ვიდრე ინგლისურში.

ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში შეფასების მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასის 5,9%-ს, ხოლო ინგლისურენოვანი სეგმენტის

2,1%-ს. ქართულენოვან სეგმენტში კი მდგომარეობა ასეთია: შეფასების მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასის 13,2 %-ს, ხოლო ქართულენოვანი სეგმენტის 6,6 %-ს.

## 2. საუბრის მანერის მარკერები

საუბრის მანერის გამომხატველი მარკერები წარმოადგენენ კომენტარს ძირითადი შეტყობინების გადმოცემის მანერაზე. მაგალითად,

(42) ა) *I personally think it's an unfortunate thing* (8).

ბ) *პირადად მე ვფიქრობ, საქართველოში იმ მომხსენებლებს ჩამოვიყვანდი და ადგილზე გავაცნობდი არსებულ ვითარებას, ვინც ევროსაბჭოს უკანასკნელი რეზოლუცია მოამზადა* (41).

გ) *Frankly, it's an easy issue to demagogue* (11).

დ) *გულწრფელად რომ ვითხრათ, ვერ გეტყვით, აქვს თუ არა ოქრუაშვილს სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი, მაგრამ მან ქვეყნის წინაშე ჩაიდინა დიდი დანაშაული* (28).

მეტყველი სუბიექტი (42ა)-ში გადასცემს შეტყობინებას, რომ ის, რაზეც მოცემული დისკურსის წინა სეგმენტშია საუბარი (it), ძალზე სამწუხარო რამაა და ამასთან, საუბრის მანერის გამომხატველი მარკერ *personally*-ის გამოყენებით უსვამს ხაზს, რომ ეს მისი პირადი აზრია. (42ბ)-ში წარმოდგენილია საუბრის მანერის გამომხატველი მარკერით გამოხატული იგივე ილოკუცია ქართულში, ხოლო (42გ)-სა და (42დ)- ში მეტყველი სუბიექტი მარკერების დახმარებით აფიქსირებს, რომ იგი გულახდილად ამბობს სათქმელს.

ინგლისურ ენაში ზმნიზედების გარდა, საუბრის მანერა შეიძლება გამოიხატოს ფრაზებით, რომლებიც ძირითადად, ამ ზმნიზედების ვარიაციებად შეიძლება მივიჩნიოთ. ასე, მაგალითად:

(43) ა) *And that was, to be very frank (=frankly), unexpected and I think put us into a different set of circumstances with Iraqi Government and Iraqi security forces had to very quickly respond to that their government would evenhanded* (2).



ბ) *My personal feelings are, I would have no problem with him being killed, to be honest with you (=honestly) (6).*

საუბრის მანერას ინგლისურ ენაში გამოხატავს, ბ. ფრეიზერის აზრით, იდიომური გამოთქმა *you know*. იგი დ. შიფრინის საწინააღმდეგოდ ფიქრობს, რომ აღნიშნული ერთეული მიეკუთვნება არა დისკურსის მარკერთა ჯგუფს (შიფრინი 1987), არამედ *confidentially*-ს ანალოგურად, იგი საუბრის მანერას გამოხატავს (ფრეიზერი 1996:183).

(44) ა) *But what I would say is that there's intolerance, and you know, I think in many different aspects of society that always have to be dealt with (5).*

ბ) *... Nobody knows where these rumours came from. You know, they've called for, that there was a cover up. But you can't have a cover up where there was no crime (3).*

საანალიზო კორპუსის ქართულენოვან სეგმენტში წარმოდგენილია თითქმის იმავე რაოდენობით სემები, რამდენიც ინგლისურენოვანში, ამრიგად, სემანტიკური თვალსაზრისით თითქმის იზომორფული მდგომარეობა შეიმჩნევა.

შეფასების მარკერების მსგავსად, ჰომოფუნქციურობა აქაც შეიმჩნევა: ინგლისური *generally*-ს პარალელურად იმავე ილოკუციის გამოსახატად, ქართულში გამოიყენება მარკერები *ზოგადად* და *საერთოდ*.

(45) ა) *Generally, you don't hear in the press about what goes right, but you do hear it from the people who were impacted by it (9).*

ბ) *პირველ რიგში მისაღებია ჩარჩო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. საერთოდ, სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს ენობრივი პოლიტიკა. ყველა თავმოყვარე და ცივილიზებულ სახელმწიფოს შემუშავებული აქვს ენობრივი პოლიტიკა (47).*

გ) *ვაპირებ, ვაშინგტონში წასვლამდე შემოვიარო სამთავრობო უწყებები და თავი მოვუყარო სხვადასხვა მიმართულებით არსებულ პრიორიტეტებს, გავეცნო მიმდინარე და სამომავლო პროექტებს. ვაშინგტონში ადგილზე ჩასვლის შემდეგ კი უფრო ზუსტად მეცოდინება, კონკრეტულად რა და როგორ არის გასაკეთებელი. ზოგადად, ყოველთვის არის რეზერვი და რესურსი საელჩოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისთვის (43).*

ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში საუბრის მანერის გამომხატველი მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასის 10,1%-ს, ხოლო ინგლისურენოვანი სეგმენტის 3,6 %-ს. ქართულენოვან სეგმენტში კი მდგომარეობა ასეთია: საუბრის მანერის გამომხატველი მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასის 6,2%-ს, ხოლო ქართულენოვანი სეგმენტის 3,1 %-ს.

### 3. სიცხადის მარკერები

კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კიდევ ერთი ქვეჯგუფია სიცხადის გამომხატველი ზმნიზედები. ისინი მეტ-ნაკლებად ასახავენ სიცხადის ხარისხს, დადებითს ან უარყოფითს, რომელსაც მეტყველი სუბიექტი გამოხატავს ძირითად შეტყობინებაში გადმოცემულ ფაქტთან დაკავშირებით. მაგალითად:

(46) ა) *Obviously, some of these things happen, and you can't carpet the world, as much as you try to, and you want everything to be perfectly done and you want candidates to have comments coming out of their mouths that don't embarrass the party...* (5).

ბ) *What I liked was just real complicated characters. Obviously, there's a lot of overdramatization of what our days are like around here day to day, and how our national security apparatus works* (9).

გ) - *...On top of that you only have to look at the jihadist and the semi jihadist web sites to see that they regard... Islam will conquer Europe. It won't do it through guns, it will just do it through having lots of children.*

- *Surely you don't believe that, that's nonsense, isn't it?*

- *Nope. There's an utter gulf of comprehension between us isn't there* (8).

დ) *აშკარაა, რომ მომხდარში ორივე მხარეს ჰქონდა ჩადებული ძალის დემონსტრირების კომპონენტი* (39).

ე) *რასაკვირველია, ისინი ამავე ტერმინების გამოყენებით გაგზავნიან ანგარიშს თავიანთ საგარეო საქმეთა სამინისტროებში* (29).

მოცემულ მაგალითებში ძირითად სათქმელთან ერთად, გამოყენებული პრაგმატიკული მარკერებით გამოიხატება ის, თუ რამდენად ცხადი და დამაჯერებელია მეტყველი სუბიექტისათვის ძირითადი შეტყობინება - (46ა), (46ბ) და (46დ)-ში, პროპოზიციით გადმოცემული ფაქტი რესპონდენტისთვის ცხადი და აშკარაა, (46გ)-ში კი - ჟურნალისტი დარწმუნებულია იმაში, რომ რესპონდენტს არ სჯერა დისკურსის წინა სეგმენტში გამოთქმული მოსაზრებისა, რომ ისლამი ევროპას დაიპყრობს, ოღონდ ამას იგი მოახერხებს არა იარაღით, არამედ დემოგრაფიული ზრდით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ინგლისურ ენაში სიცხადის მარკერების ნაწილი, მაგალითად: *certainly, indeed, undoubtedly, undeniably, no way* და *clearly*, გამოხატავს სიცხადის მაღალ ხარისხს, ხოლო მარკერები, როგორცაა *possibly, conceivably, evidently, supposedly* - დაბალს.

ზმნიზედების გარდა, სიცხადის ხარისხი შეიძლება გამოიხატოს ფრაზებით, რომლებიც ძირითადად, ამ ზმნიზედების სახესხვაობებად შეიძლება მივიჩნიოთ, ასე მაგალითად:

(47) ა) *We've got to have a strong military, **there is no doubt about that*** (=undoubtedly) (1).

ბ) *But **there is no doubt that** (=undoubtedly) we have a lot more work to do* (9).

სიცხადის გამომხატველი ზმნიზედებისა და მათი სახესხვაობების გარდა, ამ ჯგუფს განეკუთვნება ჯ. ურმსონის მიერ შემუშავებული პარენტეტიკული ზმნების (parenthetical verbs) მესამე ჯგუფი (ურმსონი 1952:484), ესენია: *think, know, believe, guess, suspect* და *feel*. ჯ. ურმსონის თანახმად, ისინი მიუთითებენ იმ ევიდენციულ სიტუაციაზე, რაშიც მოცემული განცხადება გაკეთდა და ამრიგად, უჩვენებენ სიცხადის ხარისხს (ibid:485). მაგალითად,

(48) ა) *I'm very proud of the fact that we stood with the people of Egypt and said that it would be unacceptable, from our perspective, to see all those tens of thousands of people in Tahrir Square subjected to violence, and that it was time to transition to*

democracy. *I believe* we did the right thing with respect to Libya, in a very surgical way, avoiding a potential massacre (9).

ბ) ამნისტია ორ ნაწილად რომ ყოფილიყო გაყოფილი, **დარწმუნებული ვარ**, პრეზიდენტი ხელს მხოლოდ პოლიტპატიმრების ნაწილს არ მოაწერდა (28).

გ) *I think* the American approach has to be to uphold core principles of universal rights, freedom and democracy. We're also going to have to show some humility, in the sense that we're not going to be able to completely impose our own vision on these countries (9).

დ) **ვფიქრობ**, რომ ევროპასთან ურთერთობაში გამაღიზიანებელ ტონს უნდა მოვერიდოთ (44).

ე) Part of the challenge over these past three years has been that people's number-one priority is finding a job and paying the mortgage and dealing with high gas prices. In that environment, it's been easy for the other side to pour millions of dollars into a campaign to debunk climate-change science. **I suspect** that over the next six months, this is going to be a debate that will become part of the campaign, and I will be very clear in voicing my belief that we're going to have to take further steps to deal with climate change in a serious way (9).

ვ) რაც შეეხება ოქრუაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას - **მეეჭვება**, რომ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ეს სერიოზული ფიგურის რანგში შეძლოს (28).

ინგლისურენოვან სეგმენტში აღმოჩნდა პარენტეტიკული ზმნის *think* შემდეგი ვარიაცია:

(49) ***I happen to think*** that's a very good thing (4).

(48ა) და (48ბ)-ში გამოყენებული ზმნა დიდ დამაჯერებლობას გამოხატავს, (48გ), (48დ) და (49) მაგალითებში გამოყენებული ზმნით არსებობს საფუძველი დავუშვათ პროპოზიციაში გადმოცემული ფაქტი, (48ე) და (48ვ)-ში კი პარენტეტიკული ზმნა ნაკლებ დამაჯერებლობას სძენს პროპოზიციას.

პარენტეტიკული ზმნები დადებით სიცხადესთან ერთად უარყოფითსაც, ანუ საფუძვლის არარსებობასაც გამოხატავს უარყოფითი ფორმებით:

(50) ა) - *Let's talk about the campaign. Given all we've heard about and learned during the GOP primaries, what's your take on the state of the Republican Party, and what do you think they stand for?*

- First of all, I think it's important to distinguish between Republican politicians and people around the country who consider themselves Republicans. **I don't think** there's been a huge change in the country. If you talk to a lot of Republicans, they'd like to see us balance the budget, but in a balanced way"(9).

ბ) *...So, yeah, we may not win. I don't believe we have a god given right to win or come to power in this country: It's not even likely...* (8).

გ) *არა მგონია, ამ განცხადებას იურიდიული ძალა ჰქონდეს* (25).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ინგლისურ კორპუსში დამებნილი 259 სიცხადის მარკერიდან 168 არის *I think* და 17 მისი უარყოფითი ფორმა *I don't think*, რაც 358 კომენტარის პრაგმატიკულ მარკერს შორის ყველაზე დიდი მაჩვენებელია. ამ მარკერის გამოყენების მასშტაბი იმდენად დიდია, რომ დისკურსის ერთ მცირე სეგმენტშიც კი შეიძლება რამდენიმე აღმოჩნდეს. მაგალითად:

(51) - *I'm going to start by asking you the question that I could not get Congressman Ford to answer earlier, which is, given what you know about Barack Obama, do you think he's a progressive who is now posing as a centrist, or do you think he's a centrist who posed as a progressive in the primaries?*

- *I'm not sure I want to answer the question in exactly those terms. I don't know enough about him to be able to start slapping labels on him. I think he's somewhat a newcomer to the world of politics. I suspect there are areas in which his views are not fully formed. I happen to think that's a very good thing. I think the last thing you want in a president is someone who knows all the answers the day they come in the door.*

*I think what Harold said is right: I think he springs from roots of great patriotism and love of country.*

*Most of the great presidents have grown in many ways from what they brought to the door of the office. I think that office is almost unique in its demand for people to set*

*things behind them and to continue to grow. **And I think** he's someone, from what I can tell, who has the personality and has the intellect to do that.*

*So I don't know enough to label him. And I would hate to do so because **I think** what the presidency needs is an agile, intelligent mind, looking at some of these problems from a basis of deep patriotism not of some particular solidly constructed view of the world (4).*

ქვემოთ წარმოდგენილ სეგმენტში რამდენიმე ტიპის სიცხადის მარკერს ვხვდებით. ეს მიანიშნებს რესპონდენტის მცდელობაზე, რაც შეიძლება დამაჯერებლად მიუთითოს პროპოზიციაში წარმოდგენილი ფაქტების სიცხადეზე:

*(52) - President Clinton said that one of his greatest regrets was not doing more to stop genocide in Rwanda. We have a situation in Syria where more than 60,000 Syrians have been killed. [U.N. envoy Lakhdar] Brahimi has been making no headway diplomatically. The conflict is beginning to spread regionally with Iran's intervention with its Quds Forces, its arms supplies, Hezbollah's participation and now the Israeli strike on the convoy in Syria. Looking back, can you say that the United States has done everything it could have to stem the killing in Syria? And when you look back on this episode in the book you are going to write, do you think that you might regret that the United States wasn't able to do more in your years here?*

- **I think** those are two separate questions, Michael. **I think**, that **certainly** there will always be regrets when you are in positions like this one when it comes to the horrific slaughter of people trying to express themselves and defend themselves by a government that seems to have lost all sense of responsibility toward their own population. That is **definitely** a terrible set of facts on the ground that we try to deal with every single day (10).

ასევეა ქართულ პოლიტიკურ მედიადისკურსშიც - ერთ მცირე სეგმენტშიც კი ხშირად რამდენიმე სიცხადის მარკერი ჩნდება:

*(53) ა) ჩემი აზრით, ამ თემას გარკვეულწილად ხელი აშკარად დავაკელით, ყურადღება არ მივაქცევით. იმდენი რამ ითქვა ჩახალიანის შესახებ, რომ ვითარებაში სრულად გარკვევა ჭირს. ფაქტია, რომ ეს გათავისუფლება ძალიან ცუდი საინფორმაციო კამპანიის ფონზე მოხდა (41).*

ბ) რეალურად, ოპოზიციას არ აქვს რესურსი, შექმნას ის ვითარება, რომლის შემთხვევაშიც ივანიშვილის მთავრობის დათხოვნა ლეგიტიმურად გამოჩნდებოდა. ბიბლიოთეკასთან მომხდარი საზოგადოებამ დესტაბილიზაციის შესაძლო ნიშნად კი აღიქვა და უარყოფითად შეაფასა, მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ ქვეყანაში ვითარება სტაბილური მართლაც არ არის, წინა ხელისუფლებას ამგვარი ინციდენტის სულ ცოტა ორჯერ მოხდენა დასჭირდება. რეალურად, ქვეყანაში დესტაბილიზაციის ნიშნები არ არის. ჩემი აზრით, სავარაუდოდ, დესტაბილიზაციის ხელოვნურად შექმნის თემაზე „ნაცმოძრაობაში“ მსჯელობენ (40).

საანალიზო კორპუსის ქართულენოვან სეგმენტში ამ ტიპის მარკერებში დიდი მრავალფეროვნება შეიმჩნევა: თუ ინგლისურენოვან სეგმენტში თოთხმეტი ტიპის შეფასების მარკერი დაფიქსირდა, ქართულენოვანში - ოცდახუთი დავთვალე. რაოდენობის მხრივ ქართულენოვან სეგმენტში პრაგმატიკულ მარკერთა ყველა ქვეკლასზე, რიცხვობრივად ყველაზე მეტს სიცხადის მარკერები შეადგენს, მისი რიცხვი 327-ია.

საანალიზო კორპუსის ქართულენოვან სეგმენტში აღმოჩენილმა მრავალფეროვნებამ საშუალება მომცა ერთგვარი კლასიფიკაცია შემემუშავებინა იმ ოთხი ძირითადი სემის მიხედვით, რომელთა გამოყოფაც შევქმელი (ცხრილი №5). ინგლისურენოვან სეგმენტში არსებული მდგომარეობა მოცემულია ცხრილში №6.

ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში სიცხადის მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასის 72,3 % -ს, ხოლო ინგლისურენოვანი სეგმენტის 25,9%-ს. ქართულენოვან სეგმენტში კი მდგომარეობა ასეთია: სიცხადის მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასის 65,3 %-ს, ხოლო ქართულენოვანი სეგმენტის 32,7%-ს.

## სიცხადის მარკერები ქართულ ენაში

სიცხადის მაღალი ხარისხის გამომხატველი მარკერები +++	სიცხადის დაბალი ხარისხის გამომხატველი მარკერები ++-	ვარაუდის გამომხატველი მარკერები --+	ეჭვის გამომხატველი მარკერები ---
ფაქტია (ფაქტობრივად)	ჩანს, რომ (როგორც ჩანს)	შესაძლოა	მეეჭვება (ეჭვი მეპარება) (ვეჭვობ)
მართალია	ეტყობა	სავარაუდოდ (ჩემი ვარაუდით)	არ ვარ დარწმუნებული
რასაკვირველია	ჩემი ინფორმაციით	ალბათ	მეჩვენება, რომ
ცხადია	ვიცი (როგორც ვიცი) (რამდენადაც ვიცი)	(ასე) მგონია (მე მგონი)	
ნამდვილად (სინამდვილეში)		ვფიქრობ	
თავისთავად		ჩემი აზრით	
საკამათო არ არის, რომ		მიმაჩნია, რომ (მივიჩნევ)	
რეალურად		მე თუ მკითხავთ	
აშკარად			
ნათელია			

## სიცხადის მარკერები ინგლისურ ენაში

სიცხადის მაღალი ხარისხის გამომხატველი მარკერები +++	სიცხადის დაბალი ხარისხის გამომხატველი მარკერები ++-	ვარაუდის გამომხატველი მარკერები --+	ეჭვის გამომხატველი მარკერები ---
Obviously	I know	Possibly	I suspect
certainly		presumably	
clearly		I think	
Surely		I guess	
definitely			
Undoubtedly (I have no doubt about)			
I believe			



#### 4. გაგონილის გადმოცემის მარკერები

სიციხადის მარკერებისაგან განსხვავებით, გაგონილის გადმოცემის მარკერები წარმოადგენს კომენტარს ძირითად შეტყობინებაზე მეტყველი სუბიექტის მიერ გადმოცემული ინფორმაციის წყაროზე მითითებით. ასეთ მარკერს ვხვდებით შემდეგ გამონათქვამში:

(54) ა) *...The MoD, according to the Times, now whether it was sensationalist or not I don't know, but the Times doesn't often sensationalise on a huge scale, not like the tabloids...* (8).

ბ) *... And in fact, as Powell said, all political careers end in failure. But an attempt to do something do anything to politics or in life, even if it doesn't succeed in its own way, it can achieve, through its opponents having to co-opt sections of it, the more successful we become the more opponents will have to co-opt* (8).

გ) *მერაბიშვილის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შესაძლოა მაინც დადგეს, კერძოდ, შსს-ს ცნობით, პრეზიდენტის თანმხლები დელეგაციის შემადგენლობაში მყოფი მერაბიშვილი ერევანში წასვლას ყალბი პასპორტით ცდილობდა* (25).

დ) *მსმენია, რომ მიხეილ სააკაშვილმა არჩევნების წინ მკვლელებიც გამოუშვა ციხიდან ორასი ხმის მოტანის სანაცვლოდ. ეს უფრო შემაშფოთებელი და დამაბნეველია, ამაში არის ობსტრუქციის ელემენტებიც* (25).

საინტერესო ერთეულია ქართული „თურმე“:

(55) *გარდა პოლიტიკური პატიმრებისა, სააკაშვილი ... „წუხს“, რომ თურმე ჯაშუშებს უშვებენ და გველეშაპთან მებრძოლ ახალგაზრდა დემოკრატებს საფრთხე ემუქრება* (27).

ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში გაგონილის გადმოცემის მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასის 0,6%-ს, ხოლო ინგლისურენოვანი სეგმენტის 0,2 %-ს. ქართულენოვან სეგმენტში კი მდგომარეობა ასეთია: გაგონილის გადმოცემის მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის

პრაგმატიკული მარკერების კლასის 3%-ს, ხოლო ქართულენოვანი სეგმენტის 1,5 %-ს.

### **5. სათქმელის შერბილების მარკერები**

კომენტარის პრაგმატიკული მარკერების ჯგუფის მეხუთე ქვეჯგუფს წარმოადგენს სათქმელის შერბილების მარკერები. ისინი გამოხატავენ მეტყველი სუბიექტის მცდელობას თავიდან აიცილოს შესაძლო უხერხულობა ან ადრესატისადმი უპატივცემულობა, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ძირითად შეტყობინებასთან. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ინტერვიუს სუბიექტები ოფიციალურ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში სათქმელის შერბილების მარკერების გამოყენების არც ერთი პრეცედენტი არ დაფიქსირებულა, რაც, ჩემი აზრით, შემთხვევითობით არის განპირობებული. რაც შეეხება ქართულენოვან სეგმენტს, ასეთი მარკერების გამოყენების ხუთი პრეცედენტი დაფიქსირდა, მაგალითად:

(56) ა) *ჩემს თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ამერიკელები ხშირად უშვებენ შეცდომებს. უამრავი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია...(26).*

ბ) *ამ თემაზე რუსულ ენაზე გამომხაურებები, რბილად რომ ვთქვათ, არც თუ ისე სასიამოვნო იყო და საქართველო არც თუ ისე კარგ კონტექსტში იყო მოხსენიებული (41).*

გ) *თუ შეიძლება ასე ითქვას, „ქართული ოცნების“ გაურკვეველი ერთიანობა აძლევს საშუალებას „ნაცმოძრაობას“, რომელსაც ძალიან მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული თავისი მოქმედების ტაქტიკა, წერტილოვანი დარტყმებით ყოველ წუთს მიაყენოს ზიანი ახალ ხელისუფლებას (36).*

ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში სათქმელის შერბილების მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასის 0%-ს, და შესაბამისად, ინგლისურენოვანი სეგმენტის 0%-ს. ქართულენოვან სეგმენტში კი მდგომარეობა

ასეთია: სათქმელის შერბილების მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასის 1 %-ს, ხოლო ქართულენოვანი სეგმენტის 0,5%-ს.

## 6. ემფატიკური მარკერები

კომენტარის პრაგმატიკული მარკერების ბოლო, მეექვსე ჯგუფია ემფატიკური მარკერები, რომელთა ფუნქციაა ხაზი გაუსვან ძირითად შეტყობინებას. განხილულ კორპუსში აღნიშნული ტიპის მარკერები დიდი მრავალფეროვნებით არ არის წარმოდგენილი, თუმცა შეინიშნება ერთი და იგივე მარკერის მრავალჯერადი გამოყენება. მაგალითისთვის წარმოვადგენთ შემდეგს:

(57) ა) *My view on race has always been that it's complicated. It's not just a matter of head – it's a matter of heart. It's about interactions. What happens in the workplace, in schools, on sports fields, and through music and culture shapes racial attitudes as much as any legislation that's passed. I **do** believe that we're making slow and steady progress (9).*

ბ) *I **do** think the American people are more patient than we think. I think they want to know that we can make progress, that we can succeed (2).*

გ) - *Did you think of ringing the BBC yourself?*

- *I was in a state of total shock , **really**. I couldn't understand... you see. I was in southern Italy, I don't have television, I don't get newspapers, we don't have the internet. To suddenly find I was mixed up in all this and I didn't know what Newsnight were going to say. It **really** was a horrendous shock (3).*

დ) *The reality is that we never entered this engagement in Iraq with the level of resources that the Department of Defense said we needed in order to really bring stability there. I think that is a concern. My concern is that if you're going to do this we need to do it with all the resources possible. Here's a concern: we spend 3.8% of GDP **right** now on defense. That is less than any time since the end of the Cold War in terms of a percentage of spending. We've never spent that small amount of our GDP during a shooting war. You have to wonder, are we trying to do too much with too little? And that's a challenge (1).*

ე) *... You may well be right. I can have a more comfortable life, not necessarily such an interesting one, if I went along with the flow and said yes it's inevitable. But I*

*believe, you put yourself in my position, if you believe what I believe, do you think well we should give up and things which you genuinely believe are wrong and dangerous to human happiness, not just to my people but to all people, things that are wrong I should just pass by on the other side of the road and let it happen. Why on earth should I do that? (8)*

მაგალითში (57ა) ბარაკ ობამა საუბრობს რასობრივ პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებებზე თავისი პრეზიდენტობის პერიოდში, მას ნამდვილად სჯერა, რომ მისი გუნდი კარგად მუშაობს ისე, როგორც (57ბ) მაგალითში კონდოლიზა რაისი მყარად დგას იმ აზრზე, რომ ამერიკელი ხალხი მეტი მოთმინების მქონეა, ვიდრე ისინი ფიქრობენ. (57გ)-ში ორჯერ გამოყენებული მარკერი ხაზს უსვამს, თუ რამდენად შოკირებული იყო რესპონდენტი იმ შემთხვევისას, რის შესახებაც ჟურნალისტი ცდილობს გამოარკვიოს დეტალები. აქ თვალშისაცემია ემფატიკური ნაცვალსახელის გამოყენებაც ჟურნალისტის მიერ. (57დ) მაგალითში რესპონდენტი ხაზს უსვამს იმას, რომ პროპოზიციით გადმოცემული მოქმედება ხდება ახლა - სწორედ ახლა, (57ე) მაგალითში კი, პოლიტიკოსი ნიკ გრიფინი ფიქრობს, რომ საჭიროების შემთხვევაში ის ჩრდილში ვერ დარჩება და მის ამ დამოკიდებულებას ხაზი ესმება ემფატიკური მარკერის გამოყენებით.

საანალიზო კორპუსის ქართულენოვან სეგმენტში, შედარებით მეტი ტიპის ასეთი მარკერი დაიძებნა. მაგალითისთვის წარმოვადგენ ყველაზე საინტერესოს:

(58) ა) *ამ მრავალწლიანი უსამართლობის აღმასრულებლები იყვნენ პოლიტიზებული პროკურატურის, სასამართლოსა და ძალოვანი უწყებების სწორედ ის მაღალჩინოსნები, რომელთა მცირე ნაწილმა დღეისათვის უკვე გააცნობიერა რას ნიშნავს ხალხური სიბრძნე - რასაც დასთეს, იმას მოიმკი. მათ ეგონათ, არასოდეს დადგებოდა მათივე დათესილის მომკის დრო (23).*

ბ) *საქართველოშიც იყო მსგავსი მდგომარეობა, რომელიც პროვოცირებულს ჰგავდა. თავად ბიძინა ივანიშვილს რომ არ ეთქვა ის ცნობილი ფრაზა - შეიძლება გართულებები იყოს და ამას გაგებით უნდა მოვეკიდოთო, ეს თემა წინა პლანზე არ წამოიწევდა (28).*

გ) *მე მხოლოდ პრემიერზე არ ვსაუბრობ, მე ვსაუბრობ მთელ მთავრობაზე. მართლაც, პრემიერს გულახდილობის პრობლემა არ აქვს. საზოგადოებამ კარგად*

უნდა იცოდეს, რის გაკეთებას აპირებს ხელისუფლება, რა გაკეთდა და საქმეს რომ გააკეთებს, შემდეგ მან ანგარიშიც უნდა ჩააბაროს (44).

საყურადღებოა პერფორმატივით გამოხატული ემფატიკა:

(59) მე არ მითქვამს, რომ ივანიშვილმა ქვეყნის საგარეო კურსი შეცვალა. **ხაზს ვუსვამ**, ჩვენ იმდენად რთულ ვითარებაში ვართ და მსოფლიოში პროცესები იმ დინამიკით მიმდინარეობს, რომ ჩვენ შეცდომის დაშვების ფუფუნება არ გვაქვს. ნებისმიერი შეცდომა და მის გამოსწორებაზე დაკარგული დრო და ძალისხმევა ძალიან ძვირად შეიძლება დაგვიჯდეს და სწორედ ამან შეიძლება დაგვაშოროს მთავარ მიზანს... (41).


ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში ემფატიკური მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასის 11,2%-ს, ხოლო ინგლისურენოვანი სეგმენტის 4%-ს. ქართულენოვან სეგმენტში კი მდგომარეობა ასეთია: ემფატიკური მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასის 11,4%-ს, ხოლო ქართულენოვანი სეგმენტის 5,7%-ს.

### 3.3.1. კომენტარის პრაგმატიკული მარკერების შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ კომენტარის პრაგმატიკული მარკერები ორივე ენაში მოიპოვება. კერძოდ, ინტერვიუში, როგორც მედიადისკურსის უმნიშვნელოვანეს სეგმენტში, საკმაოდ დიდი რაოდენობის კომენტარი კეთდება. ეს დასკვნა იქიდან გამომდინარეობს, რომ კომენტარის მარკერი სხვა არაფერია, თუ არა კომენტარის გაკეთების ილოკუციური ძალის გამომხატველი მექანიზმი. როგორც შეპირისპირებითმა ანალიზმა აჩვენა, საანალიზო კორპუსის ქართული ინტერვიუებისაგან შემდგარ სეგმენტში 14,3%-ით მეტი კომენტარის მარკერი დაიძებნა, ვიდრე ინგლისურენოვანში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართველი მეტყველი სუბიექტი პოლიტიკურ თემაზე საუბრის დროს, ძირითადი შეტყობინების

გადაცემისას უფრო ხშირად აკეთებს კომენტარს, ვიდრე ინგლისურენოვანი (იხ. სქემა №3).


სქემა №3



კომენტარი, როგორც უკვე აღინიშნა, ექვსი სახისა შეიძლება იყოს (იხ. § 3.3.). საანალიზო პარალელურ კორპუსებში დაძებნილ 1000-1000 პრაგმატიკულ მარკერს შორის მათი ფუნქციობის ინტენსივობა ორ ენაში მოცემულია სქემა №4-ში:

სქემა №4

კომენტარის პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობა ინგლისურსა და ქართულ ენებში



ამრიგად, საანალიზო კორპუსის ქართულენოვან სეგმენტში წარმოდგენილია ექვსივე ტიპის კომენტარის პრაგმატიკული მარკერი, ინგლისურენოვანში კი, სათქმელის შერბილების მარკერები სახეზე არაა.

ორივე ენაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სიცხადის მარკერებს არა მხოლოდ კომენტარის, არამედ ზოგადად, ყველა პრაგმატიკულ მარკერს შორის. ასეთი მარკერების მასიური გამოყენება პოლიტიკურ მედიადისკურსში მეტყველებს იმაზე, რომ როგორც ქართველი, ისე ინგლისურენოვანი რესპონდენტი ცდილობს რაც შეიძლება დამაჯერებლად დაასაბუთოს პროპოზიციაში წარმოდგენილი ფაქტები.


შეფასების მარკერები ქართულ პოლიტიკურ მედიადისკურსში დაახლოებით სამჯერ მეტი ინტენსივობით ფუნქციობს, ვიდრე ინგლისურში. ქართულ მედიადისკურსში უფრო მრავალფეროვან შეფასებას ვხვდებით, მაგრამ რა შეფასებასაც არ უნდა იძლეოდეს მეტყველი სუბიექტი, ილოკუცია მაინც ერთია - შეფასების გაკეთება.

საუბრის მანერის მარკერებს ინგლისურენოვანი მეტყველი სუბიექტი მცირე სხვაობით ქართველისაგან, მეტად იყენებს. თუმცა, ასეთი მარკერები საერთო თანაფარდობით საანალიზო ენებში მსგავს ხასიათს ავლენს.

პროპოზიციაში გადმოცემული ინფორმაციის წყაროზე მითითება გაგონილის გადმოცემის მარკერების საშუალებით საანალიზო კორპუსის ქართულენოვან სეგმენტში მეტად ფიქსირდება, ვიდრე მის პარალელურ ინგლისურენოვანში. რაც შეეხება ემფატიკურ მარკერებს, რომელთა ფუნქცია ძირითადი შეტყობინების ხაზგასმაა, მცირედი სხვაობით მისი პარალელური სეგმენტისაგან, ქართულენოვანში მეტი დაიძებნა, თუმცა, საუბრის მანერის მარკერების მსგავსად, არც ასეთი მარკერებია დიდი რაოდენობით წარმოდგენილი.

კომენტარის პრაგმატიკული მარკერების საერთო მდგომარეობა ორივე ენაში სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად წარმოდგენილია სქემა №5-ში:

კომენტარის პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის პროცენტული  
მაჩვენებლები პრაგმატიკული მარკერების სხვა ტიპებთან მიმართებაში  
ინგლისურსა და ქართულ ენებში



### 3.4. პარალელური პრაგმატიკული მარკერები

პრაგმატიკული მარკერების მესამე ტიპი პარალელურ მარკერთა კლასია. მათი ფუნქციაა ძირითადი შეტყობინების პარალელურად წარმოადგინოს დამატებითი შეტყობინება. პარალელური შეტყობინების ხასიათის მიხედვით ბ. ფრეიზერი გამოყოფს პარალელური მარკერების ოთხ ქვეკლასს:

1. ვოკატივები
2. მეტყველი სუბიექტის უკმაყოფილების გამომხატველი მარკერები
3. სოლიდარობის მარკერები
4. ფოკუსირების მარკერები.



ქვემოთ სათითაოდ განვიხილავ თითოეულ მათგანს და თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენ საანალიზო კორპუსში დაძებნილ ყველაზე საინტერესო მაგალითს.

### 1. ვოკატივები

ამ ტიპის მარკერები წარმოდგენილია მიმართვის ფორმით. მაგალითად, ჟურნალისტი ასე მიმართავს თავის რესპონდენტს:

(60) ა) - *Senator McCain, thanks very much for coming in* (7).

ბ) - *ბატონო რამაზ, პრემიერ-მინისტრმა ახალი ხელისუფლების მუშაობის 100 დღე შეაჯამა, ისაუბრა ბიუჯეტის 1 მილიარდი ლარით გაზრდაზე, პენსიების ზრდაზე, ფასების კლებაზე, ჯანდაცვასა და განათლებაში დაფინანსების გაზრდაზე, სოფლის მეურნეობაში საგაზაფხულოდ დაგეგმილ უპრეცედენტო გეგმებზე. თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატურად აფასებს პრემიერი ახალი ხელისუფლების საქმიანობას?* (38).

ამ მარკერების გამოყენებით, მეტყველი სუბიექტი, გარდა ძირითადი შეტყობინებისა, ექსპლიციტურად ასახელებს ადრესატს, რომელსაც გაგზავნილი შეტყობინება ეკუთვნის.

უნდა აღინიშნოს, რომ ვოკატივების გამოყენება ძირითადად ინტერვიუს დაწყებისას ხდება და თითქმის არ გვხვდება მის ძირითად ნაწილში.

ინტერვიუს ჟანრული თავისებურებებიდან გამომდინარე, ასეთი მარკერები ძირითადად ჟურნალისტის მიერ გამოიყენება, როდესაც იგი ინფორმაციის მიღების მიზნით მიმართავს რესპონდენტს. მიუხედავად ამისა, ერთი ისეთი შემთხვევა დაფისირდა ქართულენოვან სეგმენტში, როცა, პირიქით, რესპონდენტი მიმართავს ჟურნალისტს:

(61) *...ეს ფუნქცია, თავის დროზე, ჩვენ სასამართლოს მივეცით. ქალბატონო დარეჯან, ჩვენ იმ დროის ადამიანები ვართ, როდესაც 221-ე და 222-ე მუხლები შემოვიღეთ, რათა პროკურატურას დაკავების სანქციები ჩამოერთვათ, რასაც აღძვევითი ღონისძიება ჰქვია* (35).

ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში ვოკატივების ქვეკლასი შეადგენს პარალელური პრაგმატიკული მარკერების კლასის 4,2%-ს, ხოლო ინგლისურენოვანი სეგმენტის 0,1%-ს. ქართულენოვან სეგმენტში კი მდგომარეობა ასეთია: ვოკატივების ქვეკლასი შეადგენს პარალელური პრაგმატიკული მარკერების კლასის 67,9%-ს, ხოლო ქართულენოვანი სეგმენტის 1,9%-ს.

## **2. მეტყველი სუბიექტის უკმაყოფილების გამომხატველი მარკერები**

მეტყველი სუბიექტის უკმაყოფილების გამომხატველი მარკერები, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ძირითად შეტყობინებასთან ერთად, ადრესანტის გაღიზიანებას გამოხატავს. ასეთი მარკერებია, მაგალითად, *damned, the hell, in heaven's name*.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი პრეცედენტი ამ ტიპის მარკერის გამოყენებისა არ დაფიქსირებულა საანალიზო კორპუსის ინგლისურ ან ქართულენოვან სეგმენტში. ეს ფაქტიც, ჩემი აზრით, განპირობებულია ინტერვიუს ჟანრული თავისებურებით, სადაც მეტყველი სუბიექტები ფორმალურ რეგისტრში საუბრობენ პოლიტიკურ საკითხებზე და ამ სიტუაციაში უკმაყოფილებით გამოხატვას და, შესაბამისად, ამ ტიპის მარკერების გამოყენებას ადგილი ვერ ექნება.

## **3. სოლიდარობის მარკერები**

სოლიდარობის მარკერები ძირითადი შეტყობინების პარალელურად გამოხატავს მეტყველი სუბიექტის მიერ ადრესატისადმი თანასწორობის ან პირიქით, ზემდგომობის გამოცხადებას.

მსგავსად წინა ტიპის მარკერებისა, არც ამ ტიპის მარკერის გამოყენების პრეცედენტი დაფიქსირებულა საანალიზო კორპუსის ინგლისურ თუ ქართულენოვან სეგმენტში. ეს ფაქტიც, ჩემი აზრით, განპირობებულია ისევ და ისევ ინტერვიუს ჟანრული თავისებურებით, სადაც არ არსებობს არანაირი საჭიროება იმისა, რომ ჟურნალისტმა რესპონდენტს ან, პირიქით, ძირითადი შეტყობინების პარალელურად თანასწორობა ექსპლიციტურად გამოუცხადოს, ან სულაც

ზემდგომობაზე გაამახვილოს ყურადღება, თუნდაც ის ქვეყნის უმაღლესი პირი იყოს, რადგან ეს თავისთავად გარკვეულია, სუბიექტებს შორის როლები გადანაწილებულია და ზედმეტ ექსპლიცირებას არ მოითხოვს.

#### 4. ფოკუსირების მარკერები

პარალელური მარკერების მეოთხე ქვეჯგუფია ფოკუსირების მარკერები, რომელთა ფუნქციაა ძირითადი შეტყობინების პარალელურად მოცემულ საკითხზე ფოკუსირება მოახდინონ. მაგალითად,

(62) ა) - *And if we look at it now, and if you get these settlements, how will you feel? Will it make you feel better? A sense of relief?*

- ***Look**, I've... I will feel better not from settlements, but from my wife, my family, my friends. The people I don't even know who've written to me. That's what makes you feel better. The settlement will just be a warning - don't go there* (3).

ბ) - *What do you think about this policy that we now see in these memorandums that have been revealed that the president can simply order an American citizen to be killed by a drone without any judicial review?*

- *Wolf, from everything I've seen over the last several years, including everything that's come out in the last several days, I think the president is acting according to the law, according to the Constitution. The president's main job, his main obligation is to protect the security of the American people. And the fact that the enemy may happen to be an American citizen should not give that enemy any immunity. And to me there are sufficient procedures in place, there are protocols in place. And to say that someone who's on the battlefield, who is a high-ranking member of an enemy force, is somehow entitled to due process - **listen**, if we can capture that person, if we could somehow bring him into justice, otherwise, fine. But you take someone like Awlaki, there's no other way we could get him, and he really was one of the most dangerous people in the world, more dangerous than Bin Laden* (6).

გ) - *Not every Muslim in the country works in takeaways and taxis?*

- *But in the Burnleys and the Blackburns significant numbers of them do. You see, less of it in London. The Muslim population in London, very significant lots of them came from cities* (8).

საანალიზო კორპუსის ქართულ სეგმენტში ფოკუსირების მარკერები წარმოდგენილია ფოკუსირების ნაწილაკით „აი“, რომლის გამოყენების რამდენიმე პრეცედენტი დაფიქსირდა, მაგალითად:

(63) ა) *...გადავხედოთ, რამდენი მუმიანა სააკაშვილის ხელისუფლებაში, კერვალშივლით დავიწყოთ და იმით, რაც ხდება „ცენტროინტთან“ დაკავშირებით. ხელისუფლებასთან შერწყმული ბიზნესი, - აი, ეს არის ოლიგარქია, რომელიც ხალხის მოტყუების ხარჯზე თაღლითობით შოულობს ფულს* (33).

ბ) *აი, აქ უშუალო ზედამხედველობა აქვს პროკურატურას, პროკურატურის მეშვეობით სასამართლოს უნდა ჰქონდეს ზედამხედველობა, რადგან ის არის მართლმსაჯულების ერთადერთი ორგანო. აი, ეს პრინციპია დარღვეული* (35).

ზემოთ მოყვანილ ყველა მაგალითში, მეტყველი სუბიექტი, გარდა იმისა, რომ გადასცემს ძირითად შეტყობინებას, ცდილობს ადრესატის ყურადღება გაამახვილოს პროპოზიციის რომელიმე ასპექტზე, რომელსაც იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. იგი ამას სწორედ ფოკუსირების მარკერების მეშვეობით ახერხებს.

ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში ფოკუსირების მარკერების ქვეკლასი შეადგენს პარალელური პრაგმატიკული მარკერების კლასის 95,8%-ს, ხოლო ინგლისურენოვანი სეგმენტის 2,3%-ს. ქართულენოვან სეგმენტში კი მდგომარეობა ასეთია: ფოკუსირების მარკერების ქვეკლასი შეადგენს პარალელური პრაგმატიკული მარკერების კლასის 32,1%-ს, ხოლო ქართულენოვანი სეგმენტის 0,9%-ს.


### **3.4.1. პარალელური პრაგმატიკული მარკერების შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში**

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ პარალელური პრაგმატიკული მარკერები ორივე ენაში მოიპოვება. თუმცა, ასეთი ტიპის მარკერები განსაკუთრებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, ვიდრე დანარჩენი სხვა. უფრო მეტიც, იმ ოთხი

ქვეკლასიდან, რაც პარალელური მარკერების კლასში გამოიყო, ორი მათგანი საანალიზო კორპუსის არც ერთ სეგმენტში ფიქსირდება; ესენია: მეტყველი სუბიექტის უკმაყოფილების გამომხატველი მარკერები და სოლიდარობის გამომხატველი მარკერები. ეს ფაქტი, ჩემი აზრით, განპირობებულია ინტერვიუს ჟანრული თავისებურებით.

საერთო ჯამში, საანალიზო კორპუსის ორივე სეგმენტში დაახლოებით თანაბარი რაოდენობის პარალელური მარკერი დაიძებნა (იხ. სქემა №6).


სქემა №6



საანალიზო კორპუსის პარალელურ სეგმენტებში დაძებნილ 1000-1000 პრაგმატიკულ მარკერს შორის მოცემული ტიპის პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის ინტენსივობა ორ ენაში მოცემულია სქემა №7 - ში:

სქემა №7

პარალელური პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობა ინგლისურსა და ქართულ ენებში




ამრიგად, საანალიზო კორპუსის ორივე სემენტში წარმოდგენილია ვოკატივები და ფოკუსირების მარკერები. მიმართვის ფორმა ორივე ენაში ძირითადად ჟურნალისტის მიერ გამოიყენება, ქართულში ოდნავ მეტი ინტენსივობით. რაც შეეხება ფოკუსირების მარკერებს, ამ შემთხვევაში მდგომარეობა პირიქითაა: ინგლისურენოვან პოლიტიკურ მედიადსკურსში ფაქტებზე ფოკუსირებას და ხაზგასმას უფრო ხშირად აქვს ადგილი, ვიდრე ქართულენოვანში.

პარალელური პრაგმატიკული მარკერების საერთო მდგომარეობა ორივე ენაში სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად წარმოდგენილია სქემა №8-ში:

სქემა №8

პარალელური პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის პროცენტული მაჩვენებლები პრაგმატიკული მარკერების სხვა ტიპებთან მიმართებაში ინგლისურსა და ქართულ ენებში



### 3.5. დისკურსის პრაგმატიკული მარკერები

პრაგმატიკული მარკერების მეოთხე კლასია დისკურსის მარკერები, რომელთა ფუნქცია მიმდინარე დისკურსთან ძირითადი შეტყობინების დაკავშირებაა. პრაგმატიკული მარკერების სხვა კლასებისაგან განსხვავებით, დისკურსის მარკერები მონაწილეობას არ იღებს წინადადების რეპრეზენტაციული მნიშვნელობის წარმოქმნაში, რადგან მათ მხოლოდ პროცედურული მნიშვნელობა აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი განაპირობებენ ადრესატის მიერ მოცემული მარკერის შემცველი გამონათქვამის სწორ ინტერპრეტაციას. მიუხედავად მრავალფეროვნებისა, ამ კლასის წარმომადგენლებს აერთიანებს ერთი თვისება: ისინი ამყარებენ პრაგმატიკული ხასიათის აზრობრივ კავშირს მიმდინარე დისკურსის ორ სეგმენტს ანუ ორ პროპოზიციას შორის ისე, რომ არ არიან არც ერთი პროპოზიციის ნაწილი. თუ დისკურსის იმ სეგმენტს, რომლის შემადგენლობაშიც შედის მოცემული დისკურსის მარკერი, აღვნიშნავთ S2-ით, ხოლო დისკურსის წინა სეგმენტს, რომელსაც უკავშირდება ეს უკანასკნელი, S1-ით, მაშინ დისკურსის მარკერის შემცველი გამონათქვამის კანონიკურ ფორმა შემდეგი გრაფიკული ფორმით გამოისახება: [S1. DM+ S2] (ფრეიზერი 1999:938), მაგალითად:

(64) *That's real terror. I mean, people have to understand that there are many forms of terror in the United States* (1).

სადაც *That's real terror.* - არის S1, დისკურსის წინა სეგმენტი - პირველი პროპოზიცია, რომელსაც პრაგმატიკულმა მარკერმა უნდა დაუკავშიროს ძირითადი შეტყობინება, *I mean* - არის დისკურსის მარკერი, ხოლო *people have to understand that there are many forms of terror in the United States* - ძირითადი შეტყობინება - მეორე პროპოზიცია, რაც გრაფიკულად შეესაბამება S2-ს.

იგივე კანონიკური ფორმა ვრცელდება ქართულზეც - პროცედურული მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულები ყველა ენაში შეიძლება დაიდებნოს, არც ქართული ენაა გამონაკლისი:

(65) *საზოგადოებრივი აქტიურობით ზოგიერთს სურს, თავისი პერსონა წარმოაჩინოს. გარდა ამისა, თვითმმართველობებთან დაკავშირებით მიმდინარე*

პროცესების გამართლება არც იმით შეიძლება - როგორ შეიძლება იქ „ნაციონალები“ იყვნენ (28).

სხვათა შორის, დისკურსის მარკერის არარსებობის შემთხვევაში, მსმენელ სუბიექტს არ ექნებოდა ლექსიკური მინიშნება იმაზე, რა კავშირი იყო გამიზნული მეტყველი სუბიექტის მიერ წარმოთქმულ გამონათქვამებს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერ დაფიქსირდება ილოკუციური ძალა და შესაბამისად ილოკუციური მიზანი, რაც, საბოლოო ჯამში, კომუნიკაციის კრახს განაპირობებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დისკურსის მარკერების საწყისი პოზიცია [DM+S2] მკაცრად კანონიზებული არ არის, იგი, თავისი ფუნქციით შეიძლება მოხვდეს როგორც შუა, ისე ბოლო პოზიციაშიც, მაგალითად, (66)-ში მარკერი *otherwise* დგას ძირითადი შეტყობინების შუაში:

(66) *And to say that someone who's on the battlefield, who is a high-ranking member of an enemy force, is somehow entitled to due process - listen, if we can capture that person, if we could somehow bring him to justice, otherwise, fine* (6).

დისკურსის მარკერის კანონიკურმა ფორმამ [S1. DM+ S2] (იხ. მაგალითი (67ა)) შეიძლება მიიღოს შემდეგი სახეც - [S1, DM+ S2], როგორც ( 67ბ), (67გ) და ( 67დ)-შია, ისე, რომ მისი ფუნქცია უცვლელი დარჩება:

(67) ა) *In some ways, one of the most important things they could do is to make sure that money and reconstruction is getting out to provinces that are Sunny provinces. And we're beginning to hear that some of that is happening* (2).

ბ) *I think some movement forward on de-Baathification is important, although some of the steps that they've taken have been underreported* (2).

გ) *We don't need to be thinking that way, and that requires leadership* (1).

დ) *წესით, 8 თებერვალს პრეზიდენტი ანგარიშით პარლამენტში უნდა წარმდგარიყო, თუმცა საპარლამენტო უმრავლესობამ მისი გამოსვლა გადადო* (29).

დისკურსის მარკერების კვლევისას ბ. ფრეიზერი ემიჯნება დ. შიფრინს (1987), რომლის მიხედვით, დისკურსის მარკერი აჩვენებს ორ სეგმენტს შორის ურთიერთობას ისე, როგორც შემასმენელი ქვემდებარესა და დამატებას შორის არსებულ ურთიერთობას, და ეთანხმება დ. ბლეკმორს (1992), რომ დისკურსის



მარკერი ადრესატს სთავაზობს ძირითადი შეტყობინების შესაძლო ინტერპრეტაციას (ფრეიზერი 1999:942).

საანალიზო კორპუსის განხილვამდე ორიოდ სიტყვით მინდა შევხებო პრაგმატიკული მარკერების გრამატიკულ სტატუსს. სინტაქსური თვალსაზრისით, ნათლად ჩანს, რომ დისკურსის, ისე როგორც სხვა ტიპის პრაგმატიკული მარკერები ცალკე სინტაქსურ კატეგორიას არ ქმნის. მორფოლოგიურად ისინი შეიძლება წარმოდგენილი იყოს კავშირების, ზმნიზედების ან წინდებულიანი ფრაზების (prepositional phrase) სახით. მართალია, ეს მეტყველების ნაწილები კონკრეტულ შემთხვევებში დისკურსის მარკერების ფუნქციით გამოიყენება, მაგრამ, ბუნებრივია, მათ ალტერნატიული მნიშვნელობაც გააჩნიათ, მაგალითად, (68ა)-ში *yet* გამოიყენება, როგორც დისკურსის მარკერი, რომელიც დისკურსის წინა სეგმენტთან მიმართებით გამოხატავს კონტრასტს, ხოლო (68ბ) მაგალითში წარმოდგენილია ზმნიზედა - *yet*.

(68) ა) *You've passed more progressive legislation than any president since Lyndon Johnson. Yet your base does not seem nearly as fired up as the opposition, and you don't seem to be getting the credit for those legislative victories* (11).

ბ) *So I think the real issue is what does it mean in terms of their desire to go back into the streets rather than to defect from the political process. And I just don't think we know the answer to that yet* (2).

ან კიდევ:

(69) ა) *I think we will see nationally some further gains in the two areas Congress, but I keep telling everybody, though, that I don't think this election is a slam dunk at all. I think we would be really stupid to assume that it is. I think John McCain is very attractive as a candidate in a lot of ways.*

*And my own personal experience is that these elections where people are engaged enough that they know some of the details, they can easily differentiate the individuals within a party* (4).

ბ) *I don't think there is anything that is unfair, unkind or uncivil about that. I think, in fact, that it's being uncivil to not have some understanding of who's coming, where they're going, what they are going to do and how they're going to be functioning* (1).

(70) ა) *And we know that Awlaki, for instance, in December 2009, he was one of the architects of the attempted Christmas Day bombing. We know there were others he was involved in. So, we have to assume if he's on the run and if he's operating in Yemen, and he's put together previous attacks, that he would be planning another one out* (6).

ბ) *I guess what I would say is: I'm aware he's changed his position on some issues. So has John McCain* (4).

(71) (ა) - *და ეს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ლუკაშევიჩმა განაცხადა, რუსეთ-საქართველოს შორის დაწყებულ მოლაპარაკებებში საქართველოს დსთ-ში დაბრუნების თემა არ განიხილება?*(37).

(ბ) *ივანიშვილის დებიუტი წარმატებული იყო და მისი შედეგები გრძელვადიანი იქნება* (23).

მაგალითში (69ა), *and* ფუნქციობს, როგორც დისკურსის მარკერი, რომელიც ავითარებს აზრს, გამოთქმულს წინა სეგმენტში, ხოლო მაგალითში (69ბ) *and* ფუნქციობს, როგორც გრამატიკული კავშირი. (70ა)-ში *So* დისკურსის მარკერად გვევლინება, (70ბ) -ში კი - არა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზმნიზედებისა და კავშირების გარდა, დისკურსის მარკერის ფუნქციით შეიძლება წინდებულიანი ფრაზები (prepositional phrase) იყოს წარმოდგენილი ისე, როგორც მაგალითშია:

(72) *What I specifically said was that we were not going to prioritize prosecutions of persons who are using medical marijuana. I never made a commitment that somehow we were going to give carte blanche to large-scale producers and operators of marijuana – and the reason is, because it's against federal law. I can't nullify congressional law. I can't ask the Justice Department to say, "Ignore completely a federal law that's on the books." What I can say is, "Use your prosecutorial discretion and properly prioritize your resources to go after things that are really doing folks damage." As a consequence, there haven't been prosecutions of users of marijuana for medical purposes* (9).

მართლაც, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ზმნიზედები, კავშირები და წინდებულიანი ფრაზები ქმნის ცალკეულ სინტაქსურ კატეგორიას, რადგან

თვალსაჩინოა, რომ ზმნიზედები გრამატიკული თვალსაზრისით ფუნქციობს ისე, როგორც ზმნიზედების კლასის სხვა წარმომადგენლები, კავშირები - კავშირების მსგავსად და ა. შ. მაგრამ, მათი სინტაქსური პოზიცია, როცა ისინი ფუნქციობენ, როგორც დისკურსის მარკერები, განსხვავდება იმ პოზიციისაგან, რაც მათ გრამატიკული ფუნქციის მიხედვით უჭირავთ. ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული ელემენტის ეს ორი - გრამატიკული და პრაგმატიკული ფუნქცია ერთმანეთთან დამატებით დისტრიბუციაში არის.

როგორც წინამდებარე ქვეთავის დასაწყისში აღინიშნა, დისკურსის მარკერების ფუნქციაა ძირითადი შეტყობინების დაკავშირება მიმდინარე დისკურსთან. იმის მიხედვით, რა ხასიათის კავშირს უზრუნველყოფს დისკურსის მარკერი, გამოიყოფა დისკურსის პრაგმატიკული მარკერების ორი ძირითადი კლასი ოთხი ქვეკლასით:

1. დისკურსის მარკერები, რომლებიც უშუალოდ შეტყობინებას უკავშირდება:

- ა) კონტრასტული მარკერები
- ბ) აზრის განვითარების მარკერები
- გ) დასკვნითი მარკერები

2. დისკურსის მარკერები, რომლებიც საუბრის თემას უკავშირდება:

- დ) თემის შეცვლის მარკერები

ბ. ფრეიზერი შემდგომ შრომებში დისკურსის მარკერების შესახებ (1999, 2005) კიდევ უფრო დაწვრილებით განიხილავს ამ ქვეკლასებს, მაგრამ წინამდებარე შრომის მიზნიდან გამომდინარე ამ საკითხს მეტად არ ჩავუღრმავებ, მხოლოდ განვიხილავ დისკურსის პრაგმატიკული მარკერების ზემოთ დასახელებულ ოთხ ძირითად ქვეკლასს და წარმოვადგენ საანალიზო კორპუსში დამებნილ მაგალითებს.

### **1. კონტრასტული მარკერები**

კონტრასტული მარკერების ქვეკლასი გამოხატავს კონტრასტულ კავშირს ძირითად შეტყობინებასა და წინდამდებარე დისკურსს შორის ისე, როგორც მაგალითშია:

(73) *It's very difficult to be an absolutist at that level, even though I cut taxes 90 times in Arkanzas (1).*

წინამდებარე მაგალითში, თუ დისკურსის მარკერების შემცველი გამონათქვამის კანონიკურ ფორმას გავიხსენებთ და მის ალტერნატიულ ფორმას [S1, DM+S2] მივმართავთ, გამოდის, რომ ეს წინადადება (მაგ. 73) შეიძლება ასე დაიშალოს:

*It's very difficult to be an absolutist at that level= S1*

**even though = DM**

*I cut taxes 90 times in Arkanzas = S2*

ეს სხვანაირად ასე ჩაიწერება:

*პროპოზიცია 1, კონტრასტული მარკერი + პროპოზიცია 2.*

ანალოგიური მდგომარეობაა ქართულშიც - დისკურსის მარკერის შემცველი გამონათქვამის კანონიკური ფორმა ვრცელდება შემდეგ კონტრასტული დისკურსის მარკერის შემცველ ქართულ გამონათქვამზეც:

(74) *ივანიშვილმა ბრძანა, რომ სანამ „ნაცმოძრაობა“ ქვეყნისათვის სახიფათო რისკის ფაქტორად რჩება, იქამდე კოალიციის ერთიანობა უპირობოა. ხოლო როცა რისკის ფაქტორი მოიხსნება, იგი შემდეგ ვარაუდობს იმ სიტუაციის შექმნას, რომ ამ კოალიციიდან გაჩნდეს მრავალპარტიული წევრი (38).*

ამ გამონათქვამის კანონიკურ ფორმასთან შესაბამისობა ასეთია:

*ივანიშვილმა ბრძანა, რომ სანამ „ნაცმოძრაობა“ ქვეყნისათვის სახიფათო რისკის ფაქტორად რჩება, იქამდე კოალიციის ერთიანობა უპირობოა.= S1*

**ხოლო = DM**

*როცა რისკის ფაქტორი მოიხსნება, იგი შემდეგ ვარაუდობს იმ სიტუაციის შექმნას, რომ ამ კოალიციიდან გაჩნდეს მრავალპარტიული წევრი = S2.*

ინგლისურ ენაში ზოგადად და, შესაბამისად, საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტშიც, ამ ქვეკლასის უმთავრესი წარმომადგენელი არის მაკავშირებელი *but*. მას აქვს ბირთვული მნიშვნელობა, რომელიც ყველა დანარჩენი კონტრასტული მარკერის მნიშვნელობათა პოტენციალის ბირთვს წარმოადგენს. მისი მაჩვენებელი იმდენად დიდია, რომ იგი შეადგენს საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვანი სეგმენტის კონტრასტული მარკერების 82,9%:

(75) ა) *The free market is the greatest generator of wealth in history. I'm a firm believer in the free market, and the capacity of Americans to start a business, pursue their dreams and strike it rich. **But** when you look at the history of how we became an economic superpower, that rugged individualism and private-sector dynamism was always coupled with government creating a platform so that everybody could succeed, so that consumers weren't taken advantage of, so that the byproducts of capitalism, like pollution or worker injuries, were regulated. Creating that social safety net has not made us weaker – it's made us stronger* (9).

ბ) *For the first year, unfortunately, the people who were trying to represent the opposition outside Syria just couldn't gain traction or credibility, and it made it difficult not only for the United States but many other countries to really do what we had hoped we could do.*

***But** we never stopped trying, and we now have a new opposition coalition largely established because of our intensive efforts, my personal efforts, Robert Ford and our team* (10).

საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სემინტში კონტრასტული პრაგმატიკული მარკერები დიდი მრავალფეროვნებით არ გამოიჩინება, როგორც უკვე აღვნიშნე, ძირითადად წარმოდგენილია მარკერით *but*. სხვა მარკერებიდან აღსანიშნავია *whereas, rather (than), (even) though, although, still, yet, on the other hand*. მაგალითად,

(76) ა) *Umm, it certainly caused a lot of our people concern, problems, several job losses or people threatened with job losses, **whereas**, the BBC have done the same thing you know, in the past so I would say it's unfair and it's wrong and it's certainly on the edge of at least morality if not legality for people to be doing that* (8).

ბ) ***But even though** I don't have a ready historical analogy for a state with kind of deep internal fissures, I think there are plenty of examples historically of countries where either war or tyranny, the end of tyranny produces a rather difficult and turbulent near-term history, becoming stable over time, I think there are plenty those* (2).

გ) *Well, I gave very specific instructions to the Department of Justice. What I've said is that we are not going to use a shroud of secrecy to excuse illegal behavior on our part. On the other hand, there are occasions where I've got to protect operatives in the field, their sources and their methods, because if those were revealed in open court, they could be subject to very great danger* (11).

რაც შეეხება განხილულ ქართული მედიადისკურსის სეგმენტს, აქ მდგომარეობა ცოტა სხვაგვარადაა. ინგლისური მარკერის - *but* ქართულ ეკვივალენტს *მაგრამ*, არ უჭირავს წამყვანი პოზიცია კონტრასტულ მარკერებს შორის, აქ კონტრასტული მარკერების უმრავლესობას - 56,5% - ს შეადგენს მარკერი *თუმცა*;

(77) ა) *პროცესის წარმართვა ბევრ რამეზეა დამოკიდებული და იმედია, ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ დამთავრდება. თუმცა დღეს იმაზე მსჯელობა, როდის დაიძვრება მკვდარი წერტილიდან პოლიტიკური საკითხები, ნაადრევია* (26).

(ბ) *ვფიქრობ, იურიდიულად ჟვანიას საქმის ბოლომდე მიყვანა გაჭირდება. თუმცა, ამ საქმის გამოძიებაში თავის დროზე ქართულ მხარეს აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიურო ეხარებოდა* (25).

(გ) *თურმე საარჩევნო ბარიერი 1%-მდე უნდა შემცირდეს. სააკაშვილმა ეს დამაჯერებლად უარყო და ისაუბრა პარტიების გამსხვილებაზე. ძნელია არ დაეთანხმო. თუმცა ჩემთვის აღმაშფოთებელია სააკაშვილის ღია მოწოდება ახალი ხელისუფლებისადმი - ისიც იმავე სიცრუის დოზით წარდგეს საზღვარგარეთის წინაშე, როგორც სააკაშვილი და მისი გუნდი იქცეოდა* (29).

მრავლადაა მარკერის - *მაგრამ* გამოყენების შემთხვევებიც:

(78) *...ზოგიერთი ექსპერტი აქტიურად მონაწილეობდა, მეტიც, გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა მინისტრების დანიშვნაში. მაგრამ, როგორც კი მინისტრთა კაბინეტი ჩამოყალიბდა, განაცხადა, რომ გადადის სამოქალაქო სექტორში და „გარედან“ დააკვირდება მინისტრების საქმიანობას* (27).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულენოვან სეგმენტში კონტრასტის ილოკუცია ინგლისურენოვან სეგმენტთან შედარებით გაცილებით მრავალფეროვანი საშუალებებითაა წარმოდგენილი. სხვა კონტრასტული მარკერებიდან აღსანიშნავია

არადა, მაინც, სამაგიეროდ, მიუხედავად იმისა, რომ, კი, თუნდაც, ხოლო, აბა, სხვა შემთხვევაში, მაგალითად:

(79) ა) ...მის [NDI-ს კვლევის შედეგების] გამოქვეყნებას რა მიზანი აქვს, ნათლად ჩანს - შეამზადოს ფონი, საზოგადოება ხელისუფლების მიერ არჩევნებში გამარჯვებას რომ შეეგუოს. არადა, არ არის საზოგადოებაში მთლად ასეთი განწყობა (22).

ბ) არა მგონია მას ან მის გარემოცვას ილუზიები ჰქონდეთ, რომ ოდესმე 2003-2004 წლების ავტორიტეტსა და სიყვარულს დაიბრუნებენ. სამაგიეროდ, მათ გამოუჩნდათ ახალი შანსი: საყოველთაო გულგრილობა პოლიტიკური სპექტრის მიმართ... (13).

საინტერესო ერთეულია კი, რომლის მიერ გამოკვეთილი კონტრასტი ნათლად ჩანს მაგალითში (80):

(80) სხვათა შორის, საქართველოში ჩამოდის ევროკომისარი ქეთრინ ეშტონი. გავრცელდა მისი განცხადებაც ... ბიძინა ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ევროპაში ვიზიტისას ყველა კითხვას გავეცი პასუხიო. ეშტონმა კი ზემოთ ხსენებული განცხადება რამდენიმე დღის წინ, ანუ ივანიშვილის ბრიუსელში ვიზიტის შემდეგ გააკეთა (24).

ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში კონტრასტული მარკერების ქვეკლასი შეადგენს დისკურსის პრაგმატიკული მარკერების კლასის 23,6%-ს, ხოლო ინგლისურენოვანი სეგმენტის 14,6%-ს. ქართულენოვან სეგმენტში კი მდგომარეობა ასეთია: კონტრასტული მარკერების ქვეკლასი შეადგენს დისკურსის პრაგმატიკული მარკერების კლასის 27,8 %-ს, ხოლო ქართულენოვანი სეგმენტის 13,1%-ს.

## 2. აზრის განვითარების მარკერები

აზრის განვითარების მარკერები დისკურსის პრაგმატიკული მარკერების მეორე ქვეკლასია. ასეთი მარკერების ფუნქციაა უჩვენოს, რომ მათ მიერ წარმოდგენილი სეგმენტი დისკურსის წინა სეგმენტის დაზუსტებას, მასში გამოთქმული აზრის განვითარებას ან სულაც, ამ მიზნით წარმოდგენილ დამატებით ინფორმაციას წარმოადგენს. მაგალითად,

(81) ა) *You contest these things, I mean, it's time and money that John McCain is going to have to spend in these other areas so as not to lose it* (4).

ბ) *ნებისმიერი დარტყმა „ნაციონალურ მოძრაობაზე“ ამერიკელი პოლიტიკოსების იმიჯზეც ურტყამს. ვგულისხმობ იმას, რომ მათ თავიანთ ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრი დაუპირისპირდება - გვეგონა დემოკრატის გვაფინანსებინებდი და დიქტატურა აღმოჩნდაო* (26).

მაგალითში (81ა) მეტყველი სუბიექტი ახდენს ორი პროპოზიციის აზრობრივად დაკავშირებას მარკერის *I mean* დახმარებით. პირველ პროპოზიციაში გამოთქმულ აზრს, რომ ასეთ რაღაცეებს (რაზეც მიმდინარე დისკურსშია საუბარი) მოიპოვებ ხოლმე, იგი ავითარებს მეორე პროპოზიციაში, რომ იმისათვის, რომ არ წააგოს (არჩვენებში), ჯონ მაკკეინს დროისა და ფულის დახარჯვა მოუწევს იმ ოლქებში, სადაც კენჭს იყრის. ანალოგიური ილოკუციის გამომხატველია ქართული პრაგმატიკული მარკერი მაგალითში (81ბ).

ინგლისურ ენაში ზოგადად და, შესაბამისად, სანაალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტშიც, ამ ქვეკლასის უმთავრესი წარმომადგენელი არის მაკავშირებელი *and*. მას აქვს ბირთვული მნიშვნელობა, რომელიც ყველა დანარჩენი აზრის განვითარების მარკერის მნიშვნელობათა პოტენციალის ბირთვს წარმოადგენს. მისი მაჩვენებელი იმდენად დიდია, რომ იგი შეადგენს საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვანი სეგმენტის აზრის განვითარების მარკერების 56,6%:

(82) *The issues that cross my desk are hard and complicated, and oftentimes involve the clash not of right and wrong, but of two rights. And you're having to balance and reconcile against competing values that are equally legitimate* (11).



იმავე ილოკუციას გამოხატავს ასევე აზრის განვითარების სხვა მარკერებიც, რომლებიც საანალიზო კორპუსში დაფიქსირდა, მაგალითად:

(83) ა) *The key thing was, I remember it was a pledge states were confronted with and as a governor it was going to be very difficult for me to sign a pledge as absolute as it was because as a governor I had to balance a budget; I couldn't print money, I couldn't borrow money, I could go to jail for not balancing a budget. **Also** you're under very different constraints; you have to spend certain things in a state government because you have court orders to educate people, as we did in Arkansas, you have judicial mandates to incarcerate and deal with people in your prison system (1).*

ბ) *This is, to me, one of the dichotomies of where the American people get it and some of the punditry does not. Pundits tend to think it's what you know, **in other words** it's your "database" that's incredibly important, and as president they want to peer into your database and see what they can find (1).*

გ) *Afghanistan, if I can find a way of reducing the costs to the American taxpayer, and **more profoundly**, to our young men and women in uniform, while making sure that we are not rendered much more vulnerable to a terrorist attack in the future, that's going to be the option that I choose (11).*

დ) *... That is discrimination. If that was being carried out, say in a remnant whit South Africa or in Alabama, you'd be outraged by it and so would every good liberal in Britain but because it's my people, **specifically** because it's the white working class everyone thinks its great. **And** it's a huge injustice and it's a core part of our job to put that right (8).*

მიუხედავად იმისა, რომ საანალიზო მასალის ქართულენოვან სეგმენტში აზრის განვითარების მარკერები რაოდენობრივად გაცილებით ნაკლები მაჩვენებლით დაფიქსირდა (შეფარდებით 320:222), ლექსიკური მრავალფეროვნების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად თვალსაჩინო მდგომარეობაა. სხვადასხვა მარკერის ერთეული გამოყენების შემთხვევები დაფიქსირდა, მათ შორის: *ვეჯისხმობ იმას, რომ; კერძოდ; გარდა ამისა; ამასთანავე; ასევე (გეტყვი, რომ); უფრო ზუსტად; იმის თქმა მინდა, რომ; საქმე ის არის, რომ; (პო)და; ანუ; მაგალითად; შეგახსენებთ;*

ვიმეორებ; კიდევ ერთი საინტერესო დეტალი; სხვანაირად; ეს ნიშნავს იმას, რომ; სხვაგვარადაც ვიტყვი; (უფრო) მეტიც და ა. შ. :

(84) ა) თუ პარლამენტის არჩეული იქნება პრეზიდენტი, მუდმივი კრიტიკის ატმოსფეროში მოუწევს მუშაობა. **კერძოდ**, ოპოზიცია მუდმივად იტყვის - საყოველთაო არჩევნები რომ გამართულიყო, პრეზიდენტი პარლამენტის მიერ დანიშნული კი არა, ჩვენი კანდიდატი იქნებოდაო (29).

ბ) მაშინ სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა, მთლიანად დემორალიზებული იყო მილიცია. **უფრო ზუსტად**, სამართალდამცველები არ არსებობდნენ - იყო გვარდია, „მხედრიონი“ და ათასგვარი არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფება. მოკლედ, **იმის თქმა მინდა, რომ მაშინ მხოლოდ** პატიმრების გამოშვება არ გამხდარა კრიმინოგენული მდგომარეობის განვითარების მიზეზი (28).

გ) რადგან ვლასპარაკობთ საკადრო საკითხებზე, ალბათ ყურადღება ე.წ. რუხ კარდინალიზმზეც უნდა გავამახვილოთ. **მაგალითად**, ზოგიერთი ექსპერტი აქტიურად მონაწილეობდა, **მეტიც**, გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა მინისტრების დანიშვნაში... (27).

ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში აზრის განვითარების მარკერების ქვეკლასი შეადგენს დისკურსის პრაგმატიკული მარკერების კლასის 51,8%-ს, ხოლო ინგლისურენოვანი სეგმენტის 32%-ს. ქართულენოვან სეგმენტში კი მდგომარეობა ასეთია: აზრის განვითარების მარკერების ქვეკლასი შეადგენს დისკურსის პრაგმატიკული მარკერების კლასის 47,1 %-ს, ხოლო ქართულენოვანი სეგმენტის 22,2%-ს.

### **3. დასკვნითი მარკერები**

დისკურსის პრაგმატიკული მარკერების მესამე ქვეკლასია დასკვნითი მარკერები. ასეთი მარკერების ფუნქციაა უჩვენოს, რომ მათ მიერ წარმოდგენილი ძირითადი შეტყობინების ილოკუციური ძალა გამოხატავს დისკურსის წინა სეგმენტის საფუძველზე გაკეთებულ დასკვნას. მაგალითად:

(85) ა) *What I specifically said was that we were not going to prioritize prosecutions of persons who are using medical marijuana. I never made a commitment that somehow we were going to give carte blanche to large-scale producers and operators of marijuana – and the reason is, because it's against federal law. I can't nullify congressional law. I can't ask the Justice Department to say, "Ignore completely a federal law that's on the books." What I can say is, "Use your prosecutorial discretion and properly prioritize your resources to go after things that are really doing folks damage." As a consequence, there haven't been prosecutions of users of marijuana for medical purposes (9).*

ბ) კარგია, რომ ხელისუფლებას ამგვარი გეგმები აქვს. პირადად მე მეჩნებოდა სურვილი, რომ ნებისმიერ ასეთ გეგმებზე ტრადიციად იქცეს უკვე გადადგმულ ნაბიჯებზე და განხორციელებულ შედეგებზე საუბარი. გულახდილად და გულწრფელად ვუთხრათ ერთმანეთს თუ რაიმე ეჭვები გვაქვს და რამეს გაკეთებას უკეთესად ვისურვებდით. **საბოლოო ჯამში**, ასეთი კომუნიკაცია საქმის წარმატებულად კეთების და დასახული გეგმების წარმატებით შესრულებას შეუწყობდა ხელს. ხელისუფლება დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ რამდენადაც ის იქნება გულახდილი თავის ამომრჩეველთან და თავის საზოგადოებასთან, მათ შორის შეცდომების აღიარებაში, მას საზოგადოებისაგან მეტი მხარდაჭერა ექნება (44).

მაგალითში (85ა) მეტყველი სუბიექტი დისკურსის წინა სეგმენტში განვითარებული მსჯელობის საფუძველზე ძირითად შეტყობინებაში აკეთებს დასკვნას, რომ სამედიცინო მიზნით მიებას მარიხუანას მომხმარებლებზე არ ჰქონია ადგილი. ანალოგიური ილოკუციური ძალა ფიქსირდება მაგალითში (85ბ) ქართულენოვანი სეგმენტიდან.

ინგლისურ ენაში ზოგადად და, შესაბამისად, სანაალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტშიც, ამ ქვეკლასის უმთავრესი წარმომადგენელი არის მაკავშირებელი *so*. მას აქვს ბირთვული მნიშვნელობა, რომელიც ყველა დანარჩენი დასკვნითი მარკერის მნიშვნელობათა პოტენციალის ბირთვს წარმოადგენს. მისი მაჩვენებელი იმდენად დიდია, რომ იგი შეადგენს საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვანი სეგმენტის დასკვნითი მარკერების 65,5%:

(86) ა) *The political elite and the voting class don't know these things, so of course they're not going to be exercised by anti-indigenous racism...* (8).

ბ) *As these transitions take place, democracy can easily turn to demagoguery, to civil strife. So it is going to be a bumpy road, and a challenging time* (9).

გ) *I wanted to hear Al Green. The guys who were working the soundboard in the back, a couple of real good guys, they say, "Oh, man, you missed the Reverend, but he was terrific, he was in rare form." So I was frustrated by that* (9).

ამავე ფუნქციის მატარებელია სხვა დასკვნითი მარკერებიც, რომლებიც საანალიზო კორპუსში დაფიქსირდა, მაგალითად:

(87) ა) *But at some level, Iraqis may be more inclined to unite against those people than to see that as a source of tension between them. For instance, in a place like Anbar where the sheikhs are fighting back now because of what the al-Qaida has done or when the parliament was bombed and al-Qaida took responsibility for it, you saw Iraqis saying, you know, this attacked all Iraqis* (2).

ბ) *Now, they happened to be the most progressive tax cuts in history, very much geared toward middle-class families. There was not only a fairness rationale to that, but also an economic rationale — those were the folks who were most likely to spend the money and, hence, prop up demand at a time when the economy was really freezing up* (11).

გ) *What I was surprised somewhat by, and disappointed by, although I've got to give some grudging admiration for just how effective it's been, was the degree to which [Senate Minority Leader] Mitch McConnell was able to keep his caucus together on a lot of issues. Eventually, we were able to wear them down, so that we were able to finally get really important laws passed, some of which haven't gotten a lot of attention — the credit-card reform bill, or the anti-tobacco legislation, or preventing housing and mortgage fraud. We'd be able to spick off two or three Republicans who wanted to do the right thing* (11).

საანალიზო კორპუსის ქართულენოვან სეგმენტში რაოდენობრივად შედარებით ნაკლები დასკვნითი მარკერი დაიძებნა (შეფარდებით 148:51). ამ ქვეკლასს, პარალელური ინგლისურენოვანი სეგმენტისგან განსხვავებით, სემანტიკური თვალსაზრისით გამოკვეთილი წევრი არ ჰყავს. მაგალითად:

(88) ა) ჩვენ პრეზიდენტის რეზიდენციაში სააკაშვილის სიტყვით გამოსვლისას მოვისმინეთ, რომ თურმე „ნაციონალები“ მზად არიან ამ მიმართულებით საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერისათვის, მაგრამ პარლამენტში გამოსვლისას ეს სააკაშვილის არც ერთ თანაგუნდელს არ დაუფიქსირებია. ასე რომ, სააკაშვილის ეს განცხადება მხოლოდ დიპლომატიური კორპუსისთვის არის განკუთვნილი (29) .

ბ) გულახდილად და გულწრფელად ვუთხრათ ერთმანეთს თუ რაიმე ეჭვები გვაქვს და რამეს გაკეთებას უკეთესად ვისურვებდით. **საბოლოო ჯამში**, ასეთი კომუნიკაცია საქმის წარმატებულად კეთების და დასახული გეგმების წარმატებით შესრულებას შეუწყობდა ხელს (44).

გ) ეს [ადეიშვილის მოძებნა და საქართველოში ექსტრადირება] ძალიან რთული იქნება, რადგან როგორც ვიცი, ადეიშვილს რამდენიმე პასპორტი და სერიოზული კავშირები აქვს თავის კოლეგა უცხოელ პროკურორებთან. ამას დავამატოთ „ნაცმოძრაობის“ პიარმანქანა, რომელიც შეეცდება ადეიშვილი პოლიტდევნილად გამოიყვანოს. **ყოველ შემთხვევაში**, ქართულ მხარეს ძალიან სერიოზული არგუმენტების წარდგენა მოუწევს (27).

რაც შეეხება მრავალფეროვნებას, უნდა ითქვას, რომ ორივე სეგმენტში ამ მხრივ თანაბარი ვითარებაა - არც ერთი ენა არ გამოირჩევა განსაკუთრებული თვალსაჩინოებით.

ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში კონტრასტული მარკერების ქვეკლასი შეადგენს დისკურსის პრაგმატიკული მარკერების კლასის 23,6%-ს, ხოლო ინგლისურენოვანი სეგმენტის 14,6%-ს. ქართულენოვან სეგმენტში კი მდგომარეობა ასეთია: კონტრასტული მარკერების ქვეკლასი შეადგენს დისკურსის პრაგმატიკული მარკერების კლასის 27,8 %-ს, ხოლო ქართულენოვანი სეგმენტის 13,1%-ს.

#### 4. თემის შეცვლის მარკერები

დისკურსის პრაგმატიკული მარკერების კიდეც ერთი ქვეკლასია თემის შეცვლის მარკერები. ზემოთ განხილული ქვეკლასებისგან განსხვავებით, რომლებიც უშუალოდ შეტყობინებას უკავშირდება, თემის შეცვლის მარკერები დაკავშირებულია საუბრის თემასთან. მათი ფუნქციაა უჩვენოს, რომ ძირითად შეტყობინებაში ხდება მიმდინარე დისკურსის თემისგან განსხვავებული თემის შემოტანა, ინტერვიუს ფრეიმის კონტექსტის გათვალისწინებით, თემიდან თემაზე გადასვლა ძირითადად ჟურნალისტის პრეროგატივაა, მაგრამ ასეთი მარკერები გვხვდება რესპონდენტის რეპლიკებშიც. მაგალითად, ერთ-ერთ ინგლისურენოვან ინტერვიუში ჟურნალისტს ასე შემოქვს ახალი თემა:

(89) ა) *Let's switch gears to taxes. You signed the Club For Growth no tax pledge recently, and they put out a press release saying something to the effect of "Huckabee Knuckles Under" though I read that you said you were happy to sign the pledge and that this was something you believed in. In a recent interview with George Stephanopoulos, however, he asked you about signing the Club for Growth pledge and you were non committal. When did you change your mind, what changed your mind?*(1).

ან კიდეც:

ბ) *Let's talk about specific issues, starting with Iraq. You support the surge, correct?*(1).

გ) *კარგი, გადავიდეთ პუტინზე. ვფიქრობ, ლოგიკას იქ მაინც დავინახავ... მოახდენს თუ არა პუტინის რუსეთი გავლენას საქართველოს არჩევნებზე?*(33).

ამ და მსგავს რეპლიკებში, ბრძანებითი კონსტრუქციის გამოყენებით ჟურნალისტი ექსპლიციტურად გამოხატავს თემის შეცვლის ილოკუციას.

ინგლისურ ენაში თემის შეცვლის მარკერებს მიეკუთვნება ასევე *back to my original point, before I forget, incidentally* და.ა.შ., მაგრამ საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში ეს მარკერები არ დაფიქსირებულა.

თემის შეცვლის მარკერებს მიეკუთვნება ასევე ფრაზა *by the way*, რომელიც რამდემჯერმე შემხვდა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევებში მისი გამოყენება არ

შესაბამებოდა დისკურსის მარკერების კანონიკურ ფორმას და, შესაბამისად, არც პრაგმატიკული მარკერის ფუნქციით მოქმედებდა. მაგალითად:

(90) *The Recovery Act alone represented the largest investment in research and development in our history, the largest investment in infrastructure since Dwight Eisenhower, the largest investment in education — and that was combined, **by the way**, with the kind of education reform that we hadn't seen in this country in 30 years — and the largest investment in clean energy in our history* (11).

ქართულენოვან სეგმენტში მდგომარეობა სხვაგვარი აღმოჩნდა: აქ რაოდენობრივ სხვაობასაც აქვს ადგილი და, შესაბამისად, ლექსიკურ მრავალფეროვნებასაც. აქ წარმოდგენილი მარკერებიდან აღსანიშნავია: *რაც შეეხება, ისე, დავუბრუნდეთ, გადავიდეთ, იმაზე ვილაპარაკოთ, სხვათა შორის*, მაგალითად:

(91) ა) *როდესაც საჭირო გახდება, ოქრუაშვილი დაიწყებს ჩვენებების მიცემას. როდის დადგება ეს დრო, ვერ გეტყვით, რადგან პროცესები ცოტა სხვა მიმართულებისთ წავიდა. დარწმუნებული ვარ, მას უამრავ ფაქტზე შეუძლია საუბარი. **რაც შეეხება** ოქრუაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას - მეეჭვება, რომ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ეს სერიოზული ფიგურის რანგში შეძლოს* (28).


ბ) *ისე, სხვათა შორის, მიხეილ სააკაშვილიც „წუხდა“, ძლიერი ოპოზიცია არ მყავსო* (26).

ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში თემის შეცვლის მარკერების ქვეკლასი შეადგენს დისკურსის პრაგმატიკული მარკერების კლასის 0,6%-ს, ხოლო ინგლისურენოვანი სეგმენტის 0,4%-ს. ქართულენოვან სეგმენტში კი მდგომარეობა ასეთია: თემის შეცვლის მარკერების ქვეკლასი შეადგენს დისკურსის პრაგმატიკული მარკერების კლასის 14,2 %-ს, ხოლო ქართულენოვანი სეგმენტის 6,7%-ს.

### 3.5.1. დისკურსის პრაგმატიკული მარკერების შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დისკურსის პრაგმატიკული მარკერები ორივე ენაში მოიპოვება. კერძოდ, ინტერვიუში, როგორც მედიადისკურსის უმნიშვნელოვანეს სეგმენტში დისკურსის მენეჯმენტს საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა. ეს უდაოდ ინტერვიუს, როგორც პოლიტიკური მედიადისკურსის მიზნებითა და ამოცანებითაა განპირობებული. დისკურსის მენეჯმენტი საბოლოო ჯამში ემსახურება საუბრის სასურველი, სპეციფიკური მიმართულებით წაყვანას და მსმენელ სუბიექტზე გარკვეული პერლოკუციური ეფექტის მოხდენას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში პოლიტიკური იდეოლოგიის განხორციელებას, დამარწმუნებელ ზემოქმედებას. დისკურსის მარკერები საშუალებას იძლევა მსმენელმა სუბიექტმა, საზოგადოებამ გააკეთოს მიღებული ინფორმაციის მეტყველი სუბიექტის მიზნების შესაბამისი ინტერპრეტაცია. როგორც შეპირისპირებითმა ანალიზმა აჩვენა, ინგლისურენოვან ინტერვიუში 14,7%-ით მეტი დისკურსის მარკერი დაიძებნა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ინგლისურენოვანი მეტყველი სუბიექტი პოლიტიკურ თემაზე საუბრის დროს, ძირითადი შეტყობინების გადაცემისას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დისკურსის მენეჯმენტს, როგორც თავისი იდეოლოგიური მიზნის განხორციელების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას, ვიდრე ქართველი (იხ. სქემა №9).

სქემა №9






როგორც უკვე აღინიშნა, დისკურსის პრაგმატიკული მარკერების ოთხი ქვეკლასი გამოიყოფა (იხ. §3.5.). საანალიზო კორპუსის პარალელურ სეგმენტებში დაძებნილ 1000-1000 პრაგმატიკულ მარკერს შორის მათი ფუნქციობის ინტენსივობა ორ ენაში მოცემულია სქემა №10- ში:

სქემა №10

დისკურსის პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობა  
ინგლისურსა და ქართულ ენებში



ამრიგად, საანალიზო კორპუსის ორივე სეგმენტში წარმოდგენილია დისკურსის პრაგმატიკული მარკერების ყველა ტიპი. როგორც ჩანს, კონტრასტული მარკერები საკმაოდ ხშირად (მცირედი სხვაობით) გამოიყენება ორივე ენაში, მხოლოდ, ქართულენოვან სეგმენტში კონტრასტის ილოკუცია ინგლისურთან შედარებით გაცილებით მრავალფეროვანი ლექსიკური საშუალებებით ვლინდება.

აზრის განვითარების მარკერებმა ორივე ენაში დიდი მაჩვენებელი აჩვენა. სიცხადის გამომხატველ კომენტარის მარკერებთან ერთად, ისინი ფუნქციობის სიხშირის მხრივ ორივე ენაში, ზოგადად პრაგმატიკული მარკერების სიის თავში დგანან; ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ინგლისურში აზრის განვითარების მარკერები პირველ ადგილზეა (32%), სიცხადის (კომენტარის პრაგმატიკული მარკერები) -

მეორეზე (25,9%). ხოლო ქართულში პირიქითაა: სიცხადის მარკერები პირველ ადგილზეა (32,7%), აზრის განვითარების მარკერები კი - მეორეზე (22,2%).


დასკვნითი მარკერების გამოყენება განსაკუთრებით დამახასიათებელია ინლისურენოვანი მედიადისკურსისთვის, რადგან საანალიზო კორპუსის ქართულენოვან სეგმენტში რაოდენობრივად გაცილებით ნაკლები დასკვნითი მარკერი დაიძებნა (შეფარდებით 148:51), რაც ამ კუთხით ორ ენას შორის არსებულ განსხვავებაზე მიუთითებს.

რაც შეეხება თემის შეცვლის მარკერებს, ქართულენოვან სეგმენტში რაოდენობრივ სხვაობასაც აქვს ადგილი და თემის შეცვლის ილოკუციის გამომხატველ საშუალებათა მრავალფეროვნებასაც.

დისკურსის პრაგმატიკული მარკერების საერთო მდგომარეობა ორივე ენაში სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად წარმოდგენილია სქემა №11-ში:

სქემა №11

დისკურსის პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის პროცენტული მაჩვენებლები პრაგმატიკული მარკერების სხვა ტიპებთან მიმართებაში ინგლისურსა და ქართულ ენებში




### 3.6. პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში

პრაგმატიკულ მარკერთა თანმიმდევრულმა დახასიათებამ და მათი ფუნქციობის შესწავლამ ინგლისურსა და ქართულ მედიადისკურსში, საბოლოო ჯამში საშუალება მომცა დამედგინა საკვლევი ობიექტის ფუნქციობის შესაბამისობა ორ ენაში. პრაგმატიკულ მარკერთა ფუნქციობის შეპირისპირებით-სტატისტიკური ანალიზი მოცემულია სქემაზე №12:

სქემა №12


პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის შეპირისპირებით-სტატისტიკური ანალიზი



ამ მონაცემების საფუძველზე შევიმუშავე პრაგმატიკულ მარკერთა ფუნქციობის ველი ორ ენაში, რომლებმაც შემდეგი სახე მიიღო:


სქემა №13

პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის ველი ინგლისურ ენაში



სქემა №14

პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის ველი ქართულ ენაში



როგორც სქემებიდან ჩანს (სქემა №13 და №14), ორივე ველის ბირთვში მოთავსდა ძირითადი პრაგმატიკული მარკერები, რომლებიც, როგორც ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, ზოგად პრაგმატიკულ მნიშვნელობას გამოხატავს და ორივე ენაში (და სავარაუდოდ, ყველა ენაში) ძირითადია.

რაც შეეხება ინგლისურ და ქართულ მედიადისკურსში პრაგმატიკული მარკერების ფუნქციონის ალომორფულ ხასიათს, თვალსაჩინოა, რომ ამ ველებში შეიმჩნევა განსხვავებაც. ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ პრაგმატიკული მარკერების ქართულ ველში კომენტარის მარკერები I პერიფერიას იკავებენ, ინგლისურში კი ისინი ადგილს უცვლიან დისკურსის მარკერებს და II პერიფერიაში გადაინაცვლებენ. ეს ნიშნავს იმას, რომ ქართულ პოლიტიკურ მედიადისკურსში კეთდება გაცილებით მეტი კომენტარი, ვიდრე ინგლისურში, სადაც ნაკლები კომენტარების ილოკუციის გამომხატველი საშუალებებია დაფიქსირებული. ამ სეგმენტში კი თითქმის ორჯერ მეტი ყურადღება ეთმობა დისკურსის მენეჯმენტს, რადგან დისკურსის მარკერების საერთო წილი საანალიზო კორპუსის ინგლისურ სეგმენტში 61,8%-ს შეადგენს.

ეს განსხვავება ამ ორი ენის მედიის კულტურათა სხვადასხვაობაზე მეტყველებს. აღსანიშნავია ინგლისური ენის დომინანტური ადგილი საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე და შესაბამისად მას დომინანტის სტატუსი აქვს მასობრივი კომუნიკაციის სფეროშიც. ინგლისური ენის ეს სტატუსი განაპირობა მასობრივი საინფორმაციო სივრცის გლობალიზაციამ. ინგლისურენოვანი მედიატექსტების საერთო რაოდენობა ბევრად აჭარბებს ქართულ ენაზე მომზადებული მედიატექსტების რაოდენობას. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში შეინიშნება ინგლისურენოვანი მასობრივი საინფორმაციო კულტურის ექსპანსია. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ენა ფრანგულ და სხვა ზოგიერთი ენის გვერდით ერთ-ერთ მსოფლიო დონეზე დომინანტურ ენას წარმოადგენდა, ბოლო ათწლეულებია ინგლისური ენა აქტიურად იძენს მსოფლიო დომინანტური ენის სტატუსს, ენისა, რომელზედაც მასიურად საუბრობს ხალხი თავიანთი ენობრივი საზოგადოების გარეთ. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ, როგორც კვლევამ აჩვენა, ინგლისური მედიატექსტებზე პრაგმატიკული თვალსაზრისით მეტად გამართული აღმოჩნდა.

რაც შეეხება ქართულ მედიამეტყველებას, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მწვავედ დგას ჟურნალისტური მეტყველების პრობლემა. ის ფაქტი, რომ დისკურსის პრაგმატიკული მარკერები და, შესაბამისად, დისკურსის მენეჯმენტის საკითხი ინგლისურ მედიამეტყველებასთან შედარებით ნაკლებად აქტუალურია ქართულში, მედიატექსტებიც ამ კუთხით ნაკლებად გამართულია.

ერთ-ერთი ისეთი ასპექტი, რომელიც მიღებული მონაცემებით დაემთხვა ორ ენაში, არის პარალელურ მარკერთა განლაგება პრაგმატიკული მარკერების ველში - ორივე ენაში ამ ტიპის მარკერები III პერიფერიაში განლაგდა. ეს თანხვედრა შეიძლება აიხსნას იმით, რომ პოლიტიკურ დისკურსში ნაკლებად აკეთებენ პარალელურ შეტყობინებებს და შესაბამისად, პარალელური მარკერების გამოყენებაც მინიმუმამდეა დაყვანილი.

ყველაზე დიდი მაჩვენებელი ორ ენაში პრაგმატიკული მარკერების სხვადასხვა ქვეკლასმა აჩვენა: ინგლისურ ენაში ყველაზე დიდი დატვირთვა მოდის აზრის განვითარების მარკერებზე (დისკურსის მარკერთა კლასიდან) - 32%, ქართულ ენაში კი პირველი ადგილი სიცხადის მარკერებს უჭირავს (კომენტარის მარკერთა კლასიდან) - 32,7%.

ემპირიულმა კვლევამ კიდევ ერთი სხვადასხვაობა გამოავლინა: საანალიზო კორპუსის ქართულენოვანი სეგმენტი გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით. პრაგმატიკულ მარკერთა თითოეულ ტიპი ქართულ ენაში გაცილებით მრავალფეროვანი ფორმებით ვლინდება, ვიდრე მისი პარალელური ინგლისურენოვანი სეგმენტი. მაგრამ მიუხედავად მრავალფეროვნებისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მარკერების ნაწილი მსგავსი ფუნქციით ოპერირებს, ანუ ერთსა და იმავე ილოკუციას გამოხატავს. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ ქართული ენა ზოგადი თვალსაზრისით მდიდარია ტერმინებითა და ისეთი სიტყვებით, რომლებიც საშუალებას აძლევს ადამიანს, ზედმიწევნით ზუსტად გამოთქვას თავისი აზრი და დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია. მისი ხანგრძლივი ისტორის მანძილზე ამ ენაში ჩაიდო უამრავი სინონიმური სიტყვა, ინგლისურ ენაში კი, როგორც საერთაშორისო კომუნიკაციის ენაში, კომუნიკაციის

კრახის თავიდან არიდებისა და ურთიერთობის გამარტივების მიზნით შეიმჩნევა ტერმინების შეკვეცის მცდელობა და ენის გამარტივების ტენდენცია.

ამრიგად, საკვლევი ობიექტის შეპირისპირებისას ორ ენაში, გამოვლინდა როგორც თანხვედრა, ისე სხვაობები. ყოველივე ამას თავისი სპეციფიკური მიზეზები გააჩნია.

### **3.7. პრაგმატიკული კატეგორიები პრაგმატიკულ მარკერებში**

თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში, კონკრეტული ენობრივი ერთეულის პრაგმატიკული ანალიზისას, რომელიც ინტერსუბიექტურობის კონცეფციას ეყრდნობა, ერთმანეთს ემიჯნება მეტყველ და მსმენელ სუბიექტებთან დაკავშირებული პრაგმატიკულ კატეგორიათა ქვესისტემები (ლებანიძე 2004:255).

პოლიტიკურ მედიადისკურსში პრაგმატიკული მარკერების სხვადასხვა კლასის ფუნქციობის კვლევისას გამოვლენილი ილოკუციური შინაარსის მიხედვით შევეცადე გამომევლინა ის პრაგმატიკული კატეგორიები, რომელთა რეალიზებასაც მარკერთა ესა თუ ის ტიპი ახდენს, ესენია: მეტყველ სუბიექტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიები - შეფასების, ემოციურობისა და დისტანტურობის, და მსმენელ სუბიექტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიები - ინფორმაციულობის, ექსპრესიულობისა და გამჭვირვალობის. თანამედროვე პრაგმატიკაში გამოიყოფა ასევე მეტყველ სუბიექტთან დაკავშირებული სხვა კატეგორიებიც, მაგრამ ვფიქრობ, ისინი შეიძლება მივუსადაგოთ მედიატექსტს ზოგადად, თუმცა პრაგმატიკულ მარკერებში ეს კატეგორიები არ ვლინდება.

ადრესანტთან და ადრესატთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიები წარმოადგენენ იმ ლინგვოპრაგმატიკულ მახასიათებლებს, რომლებიც პრაგმატიკულ მარკერთა ფუნქციობას განაპირობებენ.

ჩემი მოსაზრებით, პოლიტიკურ მედიადისკურსში პრაგმატიკული მარკერებით გამოხატული ილოკუციური ძალა ვერტიკალურ ჭრილში კვეთს

პოლიტიკური მედიადისკურსის ძირითად ასპექტებს, ხოლო ჰორიზონტალურ ჭრილში იგი ილოკუციური მიზნით უკავშირდება პრაგმატიკულ კატეგორიებს, როგორც მათი რეალიზების საშუალება. ამ ორმაგ დინამიკაში იკვეთება პოლიტიკური მედიადისკურსის კომუნიკაციური შინაარსის რეალიზაცია (იხ. სქემა №15, გვ. 153).


როგორც სქემაზე ჩანს, პოლიტიკურ მედიადისკურსში დისკურსის და პარალელური მარკერები, გამოვლენილი ილოკუციური ძალით, მთლიანად ემსახურება მსმენელ სუბიექტთან დაკავშირებულ პრაგმატიკულ კატეგორიათა გამოხატვას. კომენტარის მარკერები კი, სანახევროდ მეტყველ სუბიექტთან დაკავშირებულ პრაგმატიკულ კატეგორიებსაც ასახავს.

საბოლოო ჯამში, ორივე საკვლევ ენაში დომინირებს მსმენელ სუბიექტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიები. მოპოვებული მონაცემების საფუძველზე ვასკვნი, რომ პოლიტიკურ მედიადისკურსში პრაგმატიკული მარკერები ემსახურება მკითხველზე, როგორც ადრესატზე იდეოლოგიური ზემოქმედების მიზნით ინფორმაციის გადაცემას სუბიექტურ პრიზმაში (აქ ინტერვიუს, როგორც კომუნიკაციის პროცესის ორმაგი ბუნების გათვალისწინებით (იხ. §2.3) იგულისხმება როგორც რესპონდენტის, ისე მედიის სუბიექტურობა) გადაცემას. ეს დასკვნა ვრცელდება ორივე ენაზე და უფრო მეტიც, ვფიქრობ, ეს ფაქტი უნივერსალური ბუნებისაა.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე ვასკვნი, რომ ინგლისურ პოლიტიკურ მედიადისკურსში დომინანტური ფუნქცია აქვს დისკურსის მარკერებს, ქართულში - კომენტარისას. ამრიგად, ინგლისურ პოლიტიკურ მედიადისკურსში დისკურსის მარკერების საშუალებით აქცენტი მთლიანად კეთდება მსმენელ სუბიექტზე, საზოგადოებაზე, რომელსაც ინტერვიუ, როგორც შეტყობინება, უნდა მიეწოდოს, როგორც ინფორმაციული, ექსპრესიული, გამჭვირვალე და ამით ხორციელდება პოლიტიკური მედიადისკურსის უზენაესი ფუნქცია - იდეოლოგია. ქართულ მედიადისკურსში კი პრაგმატიკული მარკერებით



პრაგმატიკული მარკერებით გამოხატული ილოკუციური ძალის მიმართება  
 პოლიტიკური მედიადისკურსის ასპექტებთან და პრაგმატიკულ კატეგორიებთან



ვლინდება როგორც ადრესატთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიები (ექსპრესიულობისა და გამჭვირვალობისა), ისე ადრესანტთან დაკავშირებული კატეგორიები - შეფასების, ემოციურობისა და დისტანტურობისა.

## დასკვნა

პრაგმატიკულ მარკერთა თანამიმდევრული დახასიათებისა და მათი ფუნქციობის შესწავლის საფუძველზე ინგლისურსა და ქართულ მედიადისკურსში, დადგინდა საკვლევი ობიექტის ფუნქციობის შესაბამისობა ორ ენაში. პრაგმატიკულ მარკერთა ფუნქციობის შეპირისპირებით-სტატისტიკური ანალიზით მიღებული მონაცემების საფუძველზე შემუშავებული პრაგმატიკულ მარკერთა ფუნქციობის ორივე ველის ბირთვში მოთავსდა ძირითადი პრაგმატიკული მარკერები, რომლებიც, როგორც ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, ზოგად პრაგმატიკულ მნიშვნელობას გამოხატავს და ორივე ენაში (და სავარაუდოდ, ყველა ენაში) ძირითადია.

ინგლისურ და ქართულ მედიადისკურსში პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობა ალომორფული ხასიათისაა. ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ პრაგმატიკული მარკერების ინგლისურ ველში დისკურსის მარკერები I პერიფერიას იკავებს, კომენტარის მარკერები - II პერიფერიაში თავსდება. ქართულ ველში კი, კომენტარის მარკერები I პერიფერიას იკავებს, დისკურსის მარკერები - II პერიფერიაში ინაცვლებს. ეს ნიშნავს იმას, რომ ქართულ პოლიტიკურ მედიადისკურსში კეთდება გაცილებით მეტი კომენტარი, ვიდრე ინგლისურში, სადაც ნაკლები კომენტირების ილოკუციის გამომხატველი საშუალებებია დაფიქსირებული. ამ სეგმენტში კი თითქმის ორჯერ მეტი ყურადღება ეთმობა დისკურსის მენეჯმენტს.

ეს განსხვავება ამ ორი ენის მედიის კულტურათა სხვადასხვაობაზე მეტყველებს. ინგლისური ენის მსოფლიო დომინანტური ენის სტატუსი განაპირობებს ინგლისური მედიამეტყველების გამართულობას პრაგმატიკული თვალსაზრისით.

ქართულ მედიამეტყველებაზე კი ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მწვავედ დგას ჟურნალისტური მეტყველების პრობლემა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დისკურსის პრაგმატიკული მარკერები და შესაბამისად, დისკურსის მენეჯმენტის საკითხი ინგლისურ მედიამეტყველებასთან შედარებით ნაკლებად აქტუალურია ქართულში, მედიატექსტებიც ამ კუთხით ნაკლებად გამართულია.

ერთ-ერთი ისეთი ასპექტი, რომელიც მიღებული მონაცემებით დაემთხვა ორ ენაში, არის პარალელურ მარკერთა განლაგება პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის ველში. ორივე ენაში ამ ტიპის მარკერები III პერიფერიაში განლაგდა. ეს თანხვედრა შეიძლება აიხსნას პოლიტიკურ დისკურსში პარალელური შეტყობინებებისა და შესაბამისად, პარალელური მარკერების გამოყენების სიმცირით.

ყველაზე დიდი მაჩვენებელი ორ ენაში პრაგმატიკული მარკერების სხვადასხვა ქვეკლასმა აჩვენა: ინგლისურ ენაში ყველაზე დიდი დატვირთვა მოდის აზრის განვითარების მარკერებზე (დისკურსის მარკერთა კლასიდან) - 32%, ქართულ ენაში კი პირველი ადგილი სიცხადის მარკერებს უჭირავს (კომენტარის მარკერთა კლასიდან) - 32,7%.

ემპირიულმა კვლევამ კიდევ ერთი განსხვავება გამოავლინა: საანალიზო კორპუსის ქართულენოვანი სეგმენტი გამოირჩევა მრავალფეროვნებით. პრაგმატიკულ მარკერთა თითოეული ტიპი ქართულენოვან სეგმენტში გაცილებით მრავალფეროვანი ლექსიკური ფორმებით ვლინდება, ვიდრე პარალელურ ინგლისურენოვან სეგმენტში. მაგრამ, მიუხედავად მრავალფეროვნებისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მარკერების ნაწილი მსგავსი პრაგმატიკული ფუნქციით ოპერირებს, ანუ ერთსა და იმავე ილოკუციას გამოხატავს.

ორივე საკვლევ ენაში დომინირებს მსმენელ სუბიექტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიები. პოლიტიკურ მედიადისკურსში პრაგმატიკული მარკერები ემსახურება მკითხველზე, როგორც ადრესატზე იდეოლოგიური ზემოქმედების მიზნით ინფორმაციის გადაცემას სუბიექტურ პრიზმაში (ინტერვიუს, როგორც კომუნიკაციის პროცესის, ორმაგი ბუნების გათვალისწინებით აქ იგულისხმება როგორც რესპონდენტის, ისე მედიის სუბიექტურობა). ეს დასკვნა ვრცელდება ორივე ენაზე და უფრო მეტიც, ვფიქრობ, ეს ფაქტი უნივერსალური ბუნებისაა.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე ცხადია, რომ ინგლისურ პოლიტიკურ მედიადისკურსში დომინანტური ფუნქცია აქვს დისკურსის მარკერებს, ქართულში - კომენტარისას. ინგლისურ პოლიტიკურ მედიადისკურსში

დისკურსის მარკერების საშუალებით აქცენტი მთლიანად კეთდება მსმენელ სუბიექტზე, საზოგადოებაზე, რომელსაც ინტერვიუ, როგორც შეტყობინება, უნდა მიეწოდოს როგორც ინფორმაციული, ექსპრესიული, გამჭვირვალე და ამით ხორციელდება პოლიტიკური მედიადისკურსის უზენაესი ფუნქცია - იდეოლოგია. ქართულ მედიადისკურსში კი პრაგმატიკული მარკერებით ვლინდება როგორც ადრესატთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიები - ექსპრესიულობისა და გამჭვირვალეობის, ისე ადრესანტთან დაკავშირებული კატეგორიები - შეფასების, ემოციურობისა და დისტანტურობის.

ამრიგად, წინამდებარე კვლევამ, რომელიც წარმოადგენს პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის შეპირისპირებით ლინგვოპრაგმატიკულ შესწავლას ორი არამონათესავე (ინგლისური და ქართული) ენის მასალაზე, საშუალება მომცა გამომევილინა მოცემულ ასპექტში ამ ორ არამონათესავე ენას შორის არსებული მსგავსება-განსხვავებანი. ისინი საშუალებას იძლევა დადგინდეს ინგლისური და ქართული ენების შესწავლისას პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობასთან დაკავშირებული სიძნელები. მათი დაძლევისათვის მომავალში შეიძლება შემუშავდეს ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია, რაც საენათაშორისო და შიდაენობრივი ინტერფერენციის დაძლევას დაისახავს მიზნად.

## გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

1. აიმერი 2002 - Aijmer K. (2002). *English discourse particles. Evidence from a corpus*. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins.
2. აიმერი, საიმონ-ვანდენბერგენი 2003 - Aijmer K., Simon-Vandenberg A.M. (2003). *Well in English, Swedish and Dutch*. *Linguistics* 41(6).
3. აიმერი, საიმონ-ვანდენბერგენი 2006 - Aijmer K., Simon-Vandenberg A.M. (eds). (2006). *Pragmatic markers in contrast*. Amsterdam: Elsevier.
4. აიმერი, საიმონ-ვანდენბერგენი 2009 - Aijmer k., Simon-Vandenberg A.M. (2009). *Pragmatic Markers*, in Handbook of Pragmatics, ed. Östman J., Verschueren J., John Benjamins Publishing Company, Amsterdam/Philadelphia.
5. ალავიძე 2011 - ალავიძე მ. (2011), *ინტერვიუს ქვეტექსტის ლინგვისტური ანალიზი (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე)*, აწსუ-ს გამომცემლობა, ქუთაისი.
6. ანდერსენი, ფრეზეიმი 2000 - Andersen G., Fretheim T. (eds). (2000). *Pragmatic markers and propositional attitude*. Pragmatics & Beyond. New Series 79. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins.
7. არიელი 1994 - Ariel M. (1994), *Pragmatic Operators, The Encyclopedia of Language and Linguistics*. Oxford, Pergamon Press.
8. არნდტი 1960 - Arndt W. (1960). *Modal particles in Russian and German*. *Word* 16(3).
9. არუთინოვა 1990 - Арутюнова Н. Д. (1990): *Дискурс*. Лингвистический энциклопедический словарь, Москва.
10. ბაზანელა 1990 - Bazzanella C. (1990). *Phatic connectives as interactional cues in contemporary spoken Italian*. *Journal of Pragmatics* 14.
11. ბალი 1955 - Балли Ш. (1955). *Общая лингвистика и вопросы французского языка*. Москва, Изд. ин. лит.
12. ბახტოვი 1996 - Бахтин М.М. (1996). *Проблема речевых жанров*, Бахтин М.М. *Собрание сочинений в семи томах*, Москва, Русские словари., Т. 5

13. ბენვენისტი 1974 - Бенвенист Э. (1974). *Общая лингвистика*, Москва, Прогресс.
14. ბლექმორი 1987 - Blakemore D. (1987). *Semantic Constraints on Relevance*, Oxford, Blackwell.
15. ბლექმორი 1992 - Blakemore D. (1992). *Understanding utterances*. Oxford: Blackwell.
16. ბლექმორი 1996 - Blakemore D. (1996). *Are apposition markers discourse markers?* *Journal of Linguistics* 32.
17. ბლუმ-კულკა, ოლშტაინი 1984 - Blum-Kulka Sh., Olshain E. (1984), *Requests and Apologies: A Cross-Cultural Studies of Speech Act Realization Patterns (CCSARP)*, *Applies Linguistics*, Vol. 5, #3, 1984, მოძიებული 17.04.2012.
18. ბოგდანოვი, ვიაზემსკი 1971 - Богданов Н.Г., Вяземский Б.А. (1971). *Справочник журналиста*. Ленинград, Лениздат.
19. ბრინტონი 1996 - Brinton L. (1996). *Pragmatic markers in English. Grammaticalization and discourse functions*. Berlin/New York: Mouton de Gruyter.
20. გამყრელიძე et al 2003 - გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. (2003). *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
21. გალპერინი 1981 - Гальперин И.Р. (1981). *Текст как объект лингвистического исследования*. М.: Наука.
22. გრაბელნიკოვი 2001 - Грабельников А. А. (2001). *Работа журналиста в прессе: Уч. пособие*. – М.: Изд. РИП-холдинг.
23. გრაისი 1975 - Grice H.P. (1975). *Logic and Conversation*. In *Syntax and Semantics*, Vol. 3, *Speech Acts*, New York: Academic Press ed. by P. Cole & J. L. Morgan (141-58).
24. გოლანოვა 2000 - Голанова Е. И. (2000). *Публичный диалог вчера и сегодня (коммуникативно-речевая эволюция жанра интервью)*. *Русский язык сегодня*. Москва. Вып.1.

25. დენისტონი 1934 - Denniston, J. D. (1934). *The Greek particles*. Oxford: Clarendon.
26. დი პიეტრო 1971 - Di Pietro R. J., (1971). *Language Structures in Contrast*. Rouley, Mass.: Newbury House Publishers.
27. დობროსკლონსკაია 2008 - Добросклонская Т. Г. (2008), *Медиалингвистика: системный подход к изучению языка СМИ*, изд. Наука Флинта, Москва
28. ეგინსი 2004 - Eggins S. (2004). *An Introduction to Semantic Functional Linguistics*, 2nd Edition, Continuum, New-York, London.
29. ერმანი 1987 - Erman B. (1987). *Pragmatic expressions in English: A study of 'you know', 'you see' and 'I mean' in face-to-face conversation*. Stockholm: Almqvist & Wiksell.
30. ვაკუროვი et al 1978 - Вакуров В.Н., Кохтев Н.Н., Солганик Г.Я. (1978). *Стилистика газетных жанров*. Москва.
31. ვალგინა 2003 - Валгина Н. С. (2003). *Теория Текста*. Изд. „Менеджер“, Москва.
32. ვან დეიკი 1979 - *Pragmatic Connectives*, Journal of Pragmatics, 3(1979), 447-456.
33. ვან დეიკი 1989 - Деик ван Т.А. (1989). *Язык, познание, коммуникация*. Москва. Прогресс.
34. ვან დეიკი 1991 - Dijk T. A. van (1991). *The Interdisciplinary Study of News as Discourse*, Handbook of Qualitative Methods in Mass Communication Research Ed. by K. Bruhn - Jensen, N. Jankovski, London.
35. ვეჟბიცკა 1997 - Вежбицкая А. (1997). *Речевые жанры*. Жанры речи. Саратов, СГУ.
36. ვორშილოვი 1999 - Ворошилов В. В. (1999). *Журналистика*. – Учебник. – СПб.: Изд-во Михайлова В. А.
37. ზვიკი 1985 - Zwicky A. (1985). *Clitics and Particles*. Language 61:283-305.



38. თევდორაძე 2010 - თევდორაძე ნ. (2010). *ტექსტის ლინგვისტიკა*. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
39. იარცევა 1981 - Ярцева В.Н. (1981). *Контрастивная грамматика*. Москва, Наука.
40. ივანოვა 2008 - Иванова С. В. (2008): *Политический медиа-дискурс в фокусе лингвокультурологии*. Политическая лингвистика, Вып. 1(24), Екатеринбург, с.29-33.
41. იულე 1996 - Yule G. (1996). *Pragmatics*. Oxford. Oxford University Press.
42. კარასიკი 2000 - Карасик В.И. (2000). *О типах дискурса*. Языковая личность: Языковая личность: институциональный и персональный дискурс: Сб. науч. тр. Волгоград: Перемена, С. 5-20.
43. კაშკინი 2007 - Кашкин В.Б. (2007). *Сопоставительная Лингвистика*. Воронеж. Федеральное агентство по образованию.
44. კირვალიძე 2008 - კირვალიძე ნ. (2008). *გრამატიკის თანამედროვე თეორიები*. თბილისი. ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა.
45. კნოტი, დეილი 1994 - Knott A., Dale, R. (1994). *Using Linguistic Phenomena to Motivate Coherence Relations*. Discourse Processes 18(1), 35-62.
46. კომლევა 2011 - Комлева, Е. В. *Соотношение понятий «речевой жанр» и «речевой акт» (на материале немецких апеллятивных текстов)*. Теория и практика общественного развития [Электронный ресурс] / Е.В.Комлева. // Научный журнал. [www.teoria-praktica.ru](http://www.teoria-praktica.ru) N 5.- 2011. – С. 296–301.
47. კონორი 1996 - Connor U. (1996). *Contrastive Rhetoric: Cross-Cultural Aspects of Second Language Writing*. Cambridge University press, Cambridge.
48. კორუმბი 1975 - Corum C. (1975). *A pragmatic analysis of parenthetical adjuncts*. In *Papers from the Eleventh Regional Meeting of the Chicago Linguistic Society*. Grossman et al (eds). Chicago: Chicago Linguistic Society, pp. 131-141.
49. კრისტალი 1987 - Crystal D. (1987). *The Cambridge Encyclopedia of Language*. Cambridge University Press. Cambridge.

50. კრონი 1995 - Kroon C. (1995). *Discourse particles in Latin: a study of nam, enim, autem, vero, and at*. Amsterdam: Gieben.
51. კუტიური 1986 - Couture B. (1986). *Functional Approaches to Writing: Research Perspectives*. - Norwood N. J. Ablex.
52. ლაბოვი, ფანშელი 1977 - Labov W., Fanshel D. (1977). *Therapeutic Discourse*. New York.: Academic Press.
53. ლადო 1957 - Lado R. (1957). *Linguistics Across Cultures. Applied linguistics for language teachers*. University of Michigan Press: Ann Arbor.
54. ლაიონსი 1977 - Lyons J. (1977). *Semantics*. Vol.s 1&2. Cambridge, Cambridge University Press.
55. ლეხანიძე 2004 - ლეხანიძე გ. (2004), *კომუნიკაციურ ლინგვისტიკა*. თბილისი. გამომც. ენა და კულტურა.
56. ლევინსონი 1983 - Levinson S. C. (1983). *Pragmatics*. Cambridge, Cambridge University Press.
57. ლენკი 1998 - Lenk, Uta.1998. *Marking discourse coherence. Functions of discourse markers in spoken English*. Tübingen: Gunter Narr Verlag.
58. ლოტმანი 1992 - Лотман Ю. М. (1992). *Культура и взрыв*. Москва.
59. ლუკინა 2003 - Лукина М. (2003). *Технология интервью*. Учебное пособие для вузов. Москва. Аспект пресс.
60. მანი, ტომპსონი 1987 - Mann, W. and S. Thompson, (1987). *Rhetorical structure theory: A theory of text organization*. Technical Report RR/87/190, Information Sciences Institute, Marina del Rey, CA.
61. მანი, ტომპსონი 1988 - Mann, W. and S. Thompson, (1988). *Rhetorical structure theory: Toward a functional theory of text organization*. Text 8: 243-281.
62. მარტინი, როზერი 1986 - Martin J.R., Rothery J. (1986). *Working Papers in Linguistics 4: Writing Project Report*. - Sydney: University of Sydney.
63. მეგრელიშვილი 1986 - მეგრელიშვილი, მ. (1986). *ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინგლისურ ენაში*. თბილისი. გამომცემლობა „განათლება“.

64. მეგრელიშვილი et al 2012 - მეგრელიშვილი მ., გვილავა რ., ალავიძე მ., ნიჟარაძე ნ., ზვიადაძე ნ. (2012). *ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი ლინგვისტიკა (ზმნის კატეგორიათა მასალაზე)*. ქუთაისი. აწსუ გამომცემლობა.
65. მერაბიშვილი 2011 - მერაბიშვილი თ. (2011). *სამეტყველო აქტების თეორია უახლეს ლიტერატურაში*, კულტურათაშორისი კომუნიკაციები #15. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge), მოძიებული - აპრილი, 2012.
66. მინსკი 1979 - Минский М. (1979). *Фреймы для представления знаний*. Ред. Кулаков Ф. М., Москва, Энергия.
67. ნებიერიძე 1991 - ნებიერიძე გ. (1991). *ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი: გამომც. „განათლება“.
68. ნიკიტინა 2006 - Никитина К. В. (2006). *Политический дискурс СМИ и его особенности, создающие предпосылки для манипуляции общественным сознанием*. Управление общественными и экономическими системами: многопредмет. науч. журн №2. / – Орел: Орел ГТУ.
69. ნიჟარაძე 2010 - ნიჟარაძე ნ. (2010). *საკომუნიკაციო კომპეტენცია და სინტაქსური სინონიმია, როგორც ფსიქოლინგვისტური პრობლემა*. დისერტაცია. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
70. ოსტინი 1962 - Austin J. L. (1962). *How to Do Things With Words*. London, Oxford University Press.
71. ოსტმანი 1981 - Östman J-O. (1981). *You know A discourse-functional approach*. Amsterdam: John Benjamins.
72. ოსტმანი 1995 - Östman J-O. (1995). *Pragmatic particles twenty years after*. In Wårvik, Brita, Tanskanen, Sanna-Kaisa & Risto Hiltunen, *Organization in discourse. Proceedings from the Turku Conference*. Turku: University of Turku, pp. 95-108 .
73. ოსტმანი 2006 - Östman J-O. (2006). *Constructions in cross-language research: Verbs as pragmatic particles in Solv*. In Pragmatic markers in contrast, 2, edited by K. Aijmer, A-M. Simon-Vandenberg . Amsterdam: Elsevier. pp. 237-257.
74. ოუ 2000 - Oh S-Y. (2000). *Actually and in fact in American English: a data-based analysis*. *English Language and Linguistics* 4 (2): 243-268.

75. რედეკერი 1991 - Redeker, G. (1991). *Review article: Linguistic markers of discourse structure*. *Linguistics*, 29(6): 1139-72.
76. რულემანი 2007 - Rühlemann, Christoph. 2007. *Conversation in context. A corpus-driven approach*. London: Continuum.
77. სადოკი 1974 - Sadock J. M. (1974). *Toward a Linguistic Theory of Speech Acts*. Academic Press: New York.
78. სანდერსი et al 1992 - Sanders T., Spooren W., Noordman L., (1993). *Coherence relations in a cognitive theory of discourse representation*. *Cognitive Linguistics* 4: 93-133.
79. სედოვი 2007 - Седов К.Ф. (2007). *Антология речевых Жанров*. Москва.
80. სერლი 1969 - Searle J. R. (1969). *Speech Acts*. Cambridge, Cambridge University Press.
81. სერლი, ვანდერვეკენი 1985 - Searle J.R., Vanderveken D. (1985). *Foundations of Illocutionary Logic*. Cambridge, Cambridge University Press.
82. სერლი 1986 - Серль Дж. (1986). *Классификация иллокутивных актов*. Новое в зарубежной лингвистике. Вып. XVII.. Москва. С 170-194.
83. სმითი, ჯაკერი 2000 - Smith, Sara W. and Andreas H. Jucker. 2000. *Actually* and other markers of an apparent discrepancy between propositional attitudes of conversational partners. In Andersen and Fretheim (eds.), pp. 207-237.
84. სორნი 1997 - Thorne S. (1997). *Mastering Advanced English Language*. Palgrave Master Series. Palgrave Mcmillan.
85. სტრელცოვი 1990 - Стрельцов Б.В. *Основы публицистики. Жанры*. Минск, 1990. С. 51.
86. სუელსი 1990 - Swales J. M. (1990). *Genre Analysis*. Cambridge, Cambridge University Press.
87. ტერტიჩნი 2000 - Тертычный А.А. (2000). *Жанры периодической печати*, Учебное пособие, Москва. Аспект Пресс.
88. ტრაუგოტი, დაშერი 2002 - Traugott E. C., Dasher R. B. (2002). *Regularity in semantic change*. Cambridge: Cambridge University Press.

89. უაიტი 2003 - White P. (2003). *Beyond modality and hedging: a dialogic view of the language of intersubjective stance*. Text 23 (2): 259-284.
90. უილსონი, სპერბერი 1993 - Wilson, D., Sperber D. (1993). *Linguistic form and relevance*. Lingua 90:1-25.
91. ურმსონი 1952 - Urmson J.D. (1952). *Parenthetical Verbs*. Mind 61, 480-496.
92. ფედოსიუკი 1997 - Федосюк М.Ю. (1997). *Нерешенные вопросы речевых жанров*. Вопросы языкознания №5, С 49-57.
93. ფიშერი 1998 - Fischer K. (1998). *Validating semantic analyses of discourse particles*. Journal of Pragmatics 29: 111-127.
94. ფლეიშმანი, იაგუელი 2004 - Fleischman S., Yaguello M. (2004). *Discourse markers across languages? Evidence from English and French*. In: Moder, Carol Lynn and Aida Martinovic-Zic (eds.). *Discourse across languages and cultures*. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins, pp. 129–147.
95. ფრანჩი 1998 - Franch B.P. (1998). *On Pragmatic Transfer, Studies in English Language and Linguistics*, 0: 5-20. <http://www.uv.es/~boup/PDF/sell-98.pdf>, მოძიებული 4.04.2012.
96. ფრეიზერი 1987 - Fraser B. (1987). *Pragmatic Formatives*. The pragmatic perspective, ed. by Jef Verschueren & Marcella Bertucelli-Papi. John Benjamins.
97. ფრეიზერი 1988 - Fraser B. (1988). *Types of English discourse markers*. Acta Linguistica Hungarica 38, 19-33.
98. ფრეიზერი 1990 - Fraser B. (1990). *An approach to discourse markers*. Journal of Pragmatics 14: 383-95.
99. ფრეიზერი 1996 - Fraser B., (1996). *Pragmatic Markers*, Pragmatics 6(2), ed. Briggs Ch. et al, June 1996.
100. ფრეიზერი 1999 - Fraser B. (1999). *What are discourse markers?* Journal of pragmatics 31: 931-952.
101. ფრეიზერი 2005 - Fraser B. (2005). *Towards a theory of discourse markers*. In Approaches to Discourse Particles edited by K. Fischer. Elsevier Press.

102. ფრეიზერი, მალმაუდ-მაკოვსკი 1996 - Fraser B., Malmaud-Makowski M. (1996). *English and Spanish contrastive markers*. Language Sciences 18: 863-881.
103. ფრისკე 1987 - Friske J. (1987). *Television Culture*. London, Menthuen.
104. ფურცელაძე 1998 - ფურცელაძე ვ. (1998). *ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება*. ნაწილი პირველი. გამომც. „სამშობლო“, თბილისი.
105. შაიმიევა 2011 - Шаймиева Л. В. (2011). *Виды диалогизации и диалогичности в текстах радиointервью (на примере передач радио «Эхо Москвы»)*, Материалы Международного молодежного научного форума «ЛОМОНОСОВ-2011» / Отв. ред. А.И. Андреев, А.В. Андриянов, Е.А. Антипов, М.В. Чистякова. [Электронный ресурс] — Москва. МАКС Пресс, 2011. <http://lomonosov-msu.ru>, მოძიებული 23.01.2013.
106. შეიგალი 2004 - Шейгал Е.И. (2004). *Семиотика политического дискурса*, Гнозис, Москва.
107. შიფრინი 1987 - Schiffrin D. (1987). *Discourse markers*. Cambridge: Cambridge University Press.
108. შიბაევა 2001 - Шибаева Л.В. (2001). *Жанры в теории и практике журналистики*. Ростов: Изд-во Ростовского гос. ун-та.
109. შმელევა 1997 - Шмелева Т.В. (1997). *Модель речевого жанра*. Антология речевых жанров. Москва.
110. შორაპი 1985 - Schourup L. C. (1985). *Common discourse particles in English conversation*. New York: Garland.
111. შოსტაკი 1998 - Шостак А.В. (1998). *Журналист и его произведение*. Москва.
112. შჩერბა 1947 - Щерба Л.В. (1947). *О частях речи в русском языке*. В кн. : Щерба Л.В. Языковая система и речевая деятельность/ под. ред. Л.Р Зиндера и М.И. Матусевич. Ленинград. Наука.
113. ჭრელაშვილი 2001 - ჭრელაშვილი ვ. (2001). *ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია*. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

114. ხახუტაიშვილი 2012 - ხახუტაიშვილი ნ. (2012): *პურსუაზიული კომუნიკაციის გადმოცემის ენობრივი საშუალებები წინასაარჩევნო პოლიტიკურ დისკურსში*, www. education.ge, მოდიებული - თებერვალი, 2013.
115. ჯაკერი 1993 - Jucker A. (1993). *The discourse marker well. A relevance-theoretical account*. Journal of Pragmatics 19(5): 435-53.
116. ჯაკერი 1986 - Jucker A. (1986). *News Interviews. A Pragmalinguistic Analysis*. (Pragmatics & Beyond VII:4). Amsterdam: John Benjamins.
117. ჯაკერი, ზივი 1998 - Jucker A. and Ziv Y. (eds). 1998.*Discourse markers. Description and theory*. Amsterdam: John Benjamins.
118. ჯაკერი, სმიტი 1998 - Jucker A., Smith S. W. (1998). *And people just you know like 'wow': Discourse markers as negotiating strategies*. In Jucker and Ziv(eds.),pp. 171-201.
119. ჯონსონი, ჯონსონი 1999 - Johnson K., Johnson H. (1999). *Encyclopedic Dictionary of Applied Linguistics*, Blackwell Publishers.
120. ჰაიმსი 1974 - Hymes D. (1974). *Foundations in Sociolinguistics - an Ethnographic Approach*. Philadelphia, University of Pensilvania Press.
121. ჰალიდეი 1978 - Halliday M. A. K. (1978). *Language as social semiotic: The social interpretation of language and meaning*. London. Edward Arnold.
122. ჰალიდეი, ჰასანი 1976 - Halliday M. A. K., Hasan R. (1976). *Cohesion in English*. London: Longman.
123. ჰალიდეი, ჰასანი 1985 - Halliday M. A. K., Hasan R. (1985). *Language, Context and Text. Aspects of Language in a Social-Semiotic Perspective*. Geelong, Vic. Deakin University Press.
124. ჰანსენი 1998 - Hansen Maj-Britt M. (1998). *The function of discourse particles. A study with special reference to spoken standard French*. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company.
125. ჰატჩინსონი 2003 - Hutchinson B. (2003). *Automatic Classification of Discourse Markers on the Basis of their Co-occurances*, Proceedings of the ESSLLI Workshop

The Meaning and Implementation of Discourse Particles, Chapter 1., ed. Manfred Stede and Henk Zeevat, Edinburg.

126. ჰინენკამპი 1995 - Hinnenkamp V. (1995). *Intercultural Communication*. in: Verschueren et al. Handbook of pragmatics, Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publ.Co., <http://www.ciesas.edu.mx/biblioteca/BIBLIOGRAFIAS/MAS-E.SALGADO/V.HINNENKAMP.PDF>, მოძიებული 4.04.2012.

127. ჰოლკერი 1988 - Hölker K. (1988). Zur Analyse von Markern, Korrektur-und Schlussmarker des Französischen. (Zeitschrift für französische Sprache und Literatur –Beiheft 15). Stuttgart: Steiner.

### გამოყენებული ლექსიკონები

1. (OALD 2000) - *Oxford Advanced Learners' Dictionary*. Oxford, Oxford University Press.
2. ელექტრონული ლექსიკონი - ABBYY Linguo x5.
3. [www.dictionary.cambridge.org](http://www.dictionary.cambridge.org)



გამოყენებული მასობრივი საინფორმაციო საშუალებები

(საანალიზო კორპუსი)

1. [http://www.realclearpolitics.com/articles/2007/03/interview\\_with\\_mike\\_huckabee.html](http://www.realclearpolitics.com/articles/2007/03/interview_with_mike_huckabee.html)
2. [http://www.realclearpolitics.com/articles/2007/04/interview\\_with\\_secretary\\_of\\_st.html](http://www.realclearpolitics.com/articles/2007/04/interview_with_secretary_of_st.html)
3. <http://www.theguardian.com/media/2012/nov/15/interview-lord-mcalpine-radio-4>
4. [http://www.realclearpolitics.com/articles/2008/07/interview\\_with\\_governor\\_bredes.html](http://www.realclearpolitics.com/articles/2008/07/interview_with_governor_bredes.html)
5. [http://www.realclearpolitics.com/articles/2013/01/25/interview\\_with\\_rnc\\_chairman\\_reince\\_priebus\\_116826.html](http://www.realclearpolitics.com/articles/2013/01/25/interview_with_rnc_chairman_reince_priebus_116826.html)
6. [http://www.realclearpolitics.com/articles/2013/02/07/interview\\_with\\_representative\\_peter\\_king\\_116966.html](http://www.realclearpolitics.com/articles/2013/02/07/interview_with_representative_peter_king_116966.html)
7. [http://www.realclearpolitics.com/articles/2013/01/28/interview\\_with\\_senator\\_john\\_mccain\\_116845.html](http://www.realclearpolitics.com/articles/2013/01/28/interview_with_senator_john_mccain_116845.html)
8. <http://www.independent.co.uk/news/uk/politics/transcript-of-ithe-iosi-interview-with-nick-griffin-1704933.html>
9. <http://www.rollingstone.com/politics/news/ready-for-the-fight-rolling-stone-interview-with-barack-obama-20120425>
10. [http://www.nytimes.com/2013/02/03/us/politics/interview-with-hillary-clinton.html?pagewanted=all&\\_r=0](http://www.nytimes.com/2013/02/03/us/politics/interview-with-hillary-clinton.html?pagewanted=all&_r=0)
11. <http://www.rollingstone.com/politics/news/obama-in-command-br-the-rolling-stone-interview-20100928>
12. ასავალ-დასავალი, 4-10/02, 2013, #5 (955) გვ.8
13. კვირის პალიტრა, 20-26/12, 2010, #51 (855), გვ.3
14. კვირის პალიტრა, 20-26/12, 2010, #51 (855), გვ.6
15. კვირის პალიტრა, 20-26/12, 2010, #51 (855), გვ.7
16. კვირის პალიტრა, 20-26/12, 2010, #51 (855), გვ.7
17. კვირის პალიტრა, 17-23/01, 2011, # 3 (859), გვ.3

18. კვირის პალიტრა, 14-20/03, 2011, # 11(867), გვ.3
19. კვირის პალიტრა, 14-20/03, 2011, # 11(867), გვ.7
20. კვირის პალიტრა, 14-20/03, 2011, # 11(867), გვ.7
21. კვირის პალიტრა, 2-8/07, 2012, # (27), გვ.5
22. კვირის პალიტრა, 10-16/11, 2012, # 37(945), გვ.3
23. კვირის პალიტრა, 19-25/11, 2012, # 47(955), გვ.3
24. კვირის პალიტრა, 26/11-2/12, 2012, # 48(956), გვ.3
25. კვირის პალიტრა, 3-9/12, 2012, # 49(957), გვ.3
26. კვირის პალიტრა, 17-23/12, 2012, # 51(959), გვ.3
27. კვირის პალიტრა, 31/12-6/01, 2013, # 1(961), გვ.3
28. კვირის პალიტრა, 14-20/01, 2013, # 3(963), გვ.3
29. კვირის პალიტრა, 11-17/02, 2013, # 7(967), გვ.3
30. კვირის პალიტრა, 11-17/02, 2013, # 7(967), გვ.5
31. კვირის პალიტრა, 11-17/03, 2013, # 11(971), გვ.3
32. კვირის პალიტრა, 11-17/03, 2013, # 11(971), გვ.5
33. ქრონიკა, 12-18/03, 2012, #11 (533), გვ.6
34. ქრონიკა, 12-18/03, 2012, #11 (533), გვ.14
35. ქრონიკა, 12-18/03, 2012, #11 (533), გვ.53
36. <http://www.interpressnews.ge/ge/interviu vakhtang-dzabiradze> 16:56 01-02-2013
37. <http://www.interpressnews.ge/ge/interviu nikolai-silaevi> 16:29 03-02-2013
38. <http://www.interpressnews.ge/ge/interviu ramaz-sakvarelidze> 18:18 05-02-2013
39. <http://www.interpressnews.ge/ge/interviu nodar-sarjveladze> 17:27 09-02-2013
40. <http://www.interpressnews.ge/ge/interviu giorgi-khutsishvili> 18:07 12-02-2013
41. <http://www.interpressnews.ge/ge/interviu/227529-thengiz-fkhaladze> 16:21 26-01-2013
42. <http://www.interpressnews.ge/ge/eqskluzivi/229750-zurab-abashidze> 18:14 14-02-2013
43. <http://www.interpressnews.ge/ge/eqskluzivi/230528> 10:48 22-02-2013
44. <http://www.interpressnews.ge/ge/interviu/232966-thengiz-fkhaladze> 18:16 15-03-2013

45. <http://www.interpressnews.ge/ge/eqskluzivi/233151> 10:40 18-03-2013
46. <http://www.interpressnews.ge/ge/interviu/233403-aleqsandre-thvaltcrelidze> 18:15 19-03-2013
47. <http://www.interpressnews.ge/ge/interviu/233791-joni-khecuriani> 10:53 22-03-2013